ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ნოდარ ლომოური

ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან

(III საუკუნეში და IV ს. დასაწყისში)

გამომცემლობა „მეცნიერება"
1975

„ნარკვევებში“ განხილულია ქართლის სამეფოს ისტორიის შედარებით ნაკლებშესწავლილი პერიოდის, III საუკუნის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ ქართლის სასანურ ირანთან და რომის იმპერიასთან ურთიერთობის ისტორია. რომაულ-ბიზანტიურ, ქართულ და სომხურ ლიტერატურულ წყაროებთან ერთად, გამოყენებულია სპარსული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ასე სრულად და დაწერილებით განხილული არ ყოფილა. ამ მასალებზე დაყრდნობით დაზუსტებულია სასანურ ირანთან ქართლის სამეფოს ურთიერთობის რიგი კონკრეტული საკითხი, გარკვეულია ამ პერიოდში ირანზე ქართლის დამოკიდებულების რეალური ხასიათი. ამას გარდა „ნარკვევებში“, სხვადასხვა წყაროთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გაკეთებულია ცდა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის დაზუსტებისა, რაც ხელს შეუწყობს ამ მნიშვნელოვანი მოვლენის კონკრეტული ისტორიული პირობების შესწავლას. ბოლოს, „ნარკვევებში“ მოცემულია ქართლის გაქრისტიანების გარეპოლიტიკური მნიშვნელობის გარკვევა, ნაჩვენებია კავშირი სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა ახალი რელიგიის გარშემო ბრძოლისა და საგარეო ორიენტაციის გარშემო ქიშპობისა. წყაროებში შენახული ცნობები ამ ასპექტში აქ პირველადაა განხილული.

ᲒᲛ 10304 / 1 M 603 (03)—75
© ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმი, 1974

წინასიტყვაობა

ახ. წ. III ს. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის და აგრეთვე ამიერკავკასიის სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება. სასანიანთა გაბატონებამ ირანში და ძლიერი სპარსული სახელმწიფოს შექმნამ საგრძნობად შეცვალა აქ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა და ახალი საგარეო პრობლემები დააყენა ირანის მეზობელ პოლიტიკურ ერთეულთა წინაშე.

ამიერკავკასიის ერთერთი წამყვანი სახელმწიფოს — ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორია III საუკუნეში შედარებით სუსტად არის შესწავლილი. ეს აიხსნება, პირველ რიგში, წყაროთა მონაცემების სიმწირით. ამ პერიოდის რომაელი მწერლები მხოლოდ მოკლედ და აქა-იქ თუ ახსენებენ იბერიას, ხოლო შედარებით გვიანდელი ქართული და სომხური ნარატიული წყაროები ბევრ შეუსაბამობას, ანაქრონიზმს და აშკარა შეცდომას შეიცავენ. სწორედ ამის შედეგია, რომ III საუკუნის ქართლის ისტორია მეტად ზოგადად იყო გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ამავე დროს, მკვლევართა განკარგულებაში ამჟამად არის საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროები — სპარსული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა მონაცემები, მიუხედავად მათი ლაკონიურობისა, მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ქართლის სამეფოს ამდროინდელი ისტორიისათვის, სხვა წყაროთა ცნობების დაზუსტებისა და მათში კორექტივების შეტანისათვის.

ამ ძეგლთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შაჰანშაჰ შაბურ I-ისა და ირანის დიდი მაგუპატის კარტირის წარწერებს ე. წ. „ზოროასტრის ქააბაზე". ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ წარწერებიდან პირველი — შაბურის სამენოვანი წარწერა პირველად გამოიყენა გ. მელიქიშვილმა, რომელმაც გააანალიზა წარწერის ის ადგილები, რომლებიც უშუალოდ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს (მახელონია, იბერია) და ქართლის მეფე ამაზასპს ასახე-

ლებენ. ამ მონაცემებმა მკვლევარს საშუალება მისცეს ახლებურად დაესვა III საუკუნის ქართლის პოლიტიკური ისტორიის რიგი საკითხი.

მაგრამ, როგორც ირკვევა, შაბურ I-ის წარწერის სხვა ადგილებიც მნიშვნელოვანია იბერიის ამდროინდელი ისტორიისათვის, კერძოდ ირანზე ქართლის დამოკიდებულების დამყარების დროის დასადგენად და ამ დამოკიდებულების ხასიათის გასარკვევად. ასევე საყურადღებოა მაგუპატ კარტირის წარწერის ცნობებიც. როჭლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გამოყენებული არ ყოფილა. ჩვენ ნაშრომში მოტანილია აღნიშნულ წარწერათა საკმაოდ მოზრდილი პასაჟების ქართული თარგმანიც, რაც დაინტერესებულ მკითხველს და მკვლევართაც საშუალებას მისცემს წარწერების ტექსტის იმ ნაწილებს გაეცნონ, რომლებიც საქართველოს შეეხება.

ამას გარდა, ჩვენ ცალკე ნარკვევი მივუძღვენით ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადების თარიღის დაზუსტებას. ამასთან შევეცადეთ გაგვერკვია მეცნიერთა შორის საკამათოდ ქცეული საკითხი: ვინ იყო ქართლის ის მეფე, რომელმაც ახალი რელიგია სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოაცხადა. ცნობილია, რომ ქრისტიანობის გამარჯვება ყველა ხალხის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა და ასახავდა ხალხის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების გარკვეულ დონეს. ამდენად ამ მოვლენის ზუსტი თარიღის გარკვევა თავისთავადაც საინტერესოა. ამას გარდა, ქართლის ისტორიისათვის მას სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა: სულ სხვა იყო ქართლის პოლიტიკური ვითარება IV ს-ის 30-იან წლებში, როცა ქართლის გაქრისტიანებას ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, და სულ სხვა 50—60-იან წლებში, რომელთაც კ. კეკელიძე და ი. მარკვარტი მიიჩნევდნენ ქართლის მოქცევის თარიღად. ამრიგად ამ აქტის ზუსტი დათარიღება საშუალებას მოგვცემს ავხსნათ ის კონკრეტული ისტორიული პირობები, რომელშიაც მოხდა ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება. სწორედ ამიტომ ჩავთვალეთ ჩვენ მიზანშეწონილად, კვლავ დავბრუნებოდით ამ საკითხს და მისი უფრო მეტად დაზუსტება გვეცადა.

ქართლის სამეფოს პოლიტიკური ვითარება III საუკუნეში

ახ. წ. III ს. დასაწყისში მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე ძნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ეს ცვლილებები შეეხო როგორც რომის იმპერიას, ისე მის ძირითად მეტოქეს — პართიის სახელმწიფოს, ე. ი. ორივე სახელმწიფოს, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე წარმართავდნენ პოლიტიკურ ურთიერთობას მსოფლიოს ამ ნაწილში.

II ს. მეორე ნახევრიდან რომის იმპერიაში სულ უფრო აშკარად შეიმჩნევა მონათმფლობელური წყობილების კრიზისის ნიშნები, რომლებიც მეღავნდება როგორც იტალიის, ისე პროვინციების ეკონომიკის დაცემაში, წვრილ და საშუალო მიწათმფლობელთა გაღატაკებაში, მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდასა და კოლონატის განვითარებაში, მმართველი კლასის შიგნით წინააღმდეგობათა გამწვავებაში[1].

რომის სახელმწიფოს სხვადასხვა პროვინციებში სულ უფრო აქტიური ხდება კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც ეწევიან მონები და კოლონები, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენები უერთდება (მონათა აჯანყებები სიცილიაში, კოლონებისა და გლეხების გამოსვლები აფრიკაში, მავრიტანულ ტომთა აჯანყება, ისავრების გამოსვლა მცირე აზიაში, „ბუკოლებისა“ და „ბაგაუდების“ მოძრაობა და სხვ.[2].

---

[1] С. И. Ковалев, Е. М. Штаерман, Очерки истории древнего Рима, М., 1956, стр. 265-273.

[2] Н. А. Машкин, К вопросу о революционном движении рабов и колонов в Римской Африке, ВДИ, 1949, № 4, стр. 51-61; А. Д. Дмитриев, Движение багаудов, ВДИ, 1940, № 3—4, стр. 101—104; Его же, Буколы, ВДИ, 1964, № 4, стр. 92—100; Его же, Движение latrones, как особая форма классовой борьбы в Римской империи, ВДИ, 1951, № 4, стр. 61—72.

„ეს გამოსვლები განსხვავდებოდა ძვ. წ. II—I სს. აჯანყებებისაგან იმით, რომ მათი მთავარი მამოძრავებელი ძალა იყვნენ არა მონები (თუმცა მონებიც ღებულობდნენ მათში აქტიურ მონაწილეობას), არამედ ექსპლუატირებულ მიწისმომქმედთა სხვადასხვა კატეგორიები. ისინი იბრძოდნენ მათ დამმონებელ მსხვილ მესაკუთრეთა წინააღმდეგაც, გადასახადებითა და ბეგარით მათ გამჩანაგებელ საიმპერატორო ხელისუფლებისა, მის ანგარებიან მოხელეთა და მოსახლეობის შემავიწროებელ ჯარისკაცთა წინააღმდეგაც“[3].

საერთო ეკონომიურმა დაცემამ და სოციალურმა კრიზისმა გამოიწვია პოლიტიკური კრიზისიც. ძლიერდება წინააღმდეგობანი სენატორულ დიდკაცობასა, პროვინციების მიწათმფლობელ მაგნატთა და საიმპერატორო ხელისუფლებას შორის; არმია თვითნებურად ნიშნავს და ამხობს იმპერატორებს, სახელმწიფოში ხშირად ერთდროულად რამდენიმე იმპერატორია გამოცხადებული და მათ შორის გაუთავებელი ომი მიმდინარეობს. 50-იან წლებში თითქმის ყველა პროვინციაში ჩნდებიან უზურპატორები, რომელთა ხელისუფლება, როგორც წესი, მეტად ხანმოკლეა — ზოგიერთს არმია უსწორდება, ზოგს ამბობს სენატორული ზედაფენა. ნ. მაშკინის სიტყვით „აღვირახსნილმა პრეტორიანულმა გვარდიამ, პროვინციალურმა არმიებმა და დიდკაცობამ საიმპერატორო ტახტზე თავისებური „აუქციონი“ გამოაცხადეს“[4]. საკმარისია აღინიშნოს, რომ სევერუსთა დინასტიის (193—235) ხუთი წარმომადგენლიდან მხოლოდ პირველი — სეპტიმიუსი გარდაიცვალა თავისი სიკვდილით, დანარჩენები შეთქმულების მსხვერპლნი გახდნენ.

რომის იმპერიამ დაშლა იწყო. გალია, ესპანეთი, ბრიტანეთი განუდგნენ მას, იმპერატორად პოსტუმიუსი გამოაცხადეს და ოცეულ ოთხმეტი წლის მანძილზე დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. იმპერატორი გალიენი (253—268), რომელიც გაჭირვებით იგერიებდა ფრანკთა, ალემანთა და გუთთა თავდასხმებს, იძულებული იყო „გალიის იმპერია“ ეცნო.

აღმოსავლეთში, სირიაში, შეიქმნა პალმირის სამეფო. ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელი ოდენატი ახერხებს სირიულ და არაბულ ტომთა გაერთიანებას, ამარცხებს ევფრატზე გადმოსულ სპარსელებს და თავს დამოუკიდებელ მმართველად აცხა-

---

[3] С. И. Ковалев, Е. М. Штаерман, Очерки..., стр. 272.
[4] Н. А. Машкин, История древнего Рима, М., 1956, стр. 518.

დებს. გალიენს მისი იმპერატორად და „რომაელ დუკად“ ცნობა მოუხდა[5].

ოდენატი დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებს, მოხერხებულად იყენებს რა რომსა და სპარსეთს შორის წინააღმდეგობას, ხოლო მისი ქვრივი — ზენობია სრულიად უარს ამბობს რომისაგან ყოველგვარ დამოკიდებულებაზე და თავის სამფლობელოებს მცირე აზიის საკმაოდ დიდ ნაწილსა და ეგვიპტეს უერთებს[6].

III ს. იმპერია რამდენიმე მძიმე მარცხს განიცდის: 251 წ. ქ. ბერიტასთან გუთებთან ბრძოლაში რომის არმია განადგურდა და ბრძოლის ველზე დაეცა იმპერატორი დეციუსი. 244 წ. მესოპოტამიაში, სპარსელებთან ბრძოლაში მარცხდება და იღუპება იმპერატორი გორდიანუსი, ხოლო 260 წ. რომაელებმა მარცხი განიცადეს სპარსელებთან ომში, იმპერატორი ვალერიანე ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაში გარდაიცვალა.

III ს. მეორე ნახევარში საბალხო აჯანყებების მძლავრი აღმავლობით დაშინებული მიწისმფლობელი მაგნატები საიმპერატორო ხელისუფლებასთან მორიგებას ცდილობენ. დიდკაცობის სხვადასხვა დაჯგუფებები ერთიანდებიან და იმპერატორების კლავდიუს II (268—270) და ავრელიანეს (270—275) დროს იმპერია თანდათან კვლავ ძველ საზღვრებში აღდგება. III ს. ბოლოსთვის გაბატონებული კლასი ახერხებს წარმოების მონათმფლობელური წესის კრიზისის დროებით დაძლევას. იმპერიის, როგორც ექსპლუატირებული მასების დათრგუნვის ორგანოს, შენარჩუნებას. იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობაში (284—305) იწყება რომის იმპერიის მოჩვენებითი განმტკიცების უკანასკნელი, საკმაოდ ხანმოკლე პერიოდი[7].

მაგრამ ამ ერთგვარი სტაბილიზაციის შემდეგაც იმპერია მაინც საგრძნობლად იყო დასუსტებული როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად[8].

ასეთ პირობებში ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულებს თითქოს ხელსაყრელი კონიუნქტურა უნდა შექმნოდათ რომთან ურ-

---

[5] Всемирная история, т. II, стр. 737

[6] Т. Моммзен, История Рима, т. V, М., 1949, стр. 389—396.

[7] С. И. Ковалев, Е. М. Штаерман, Очерки..., стр. 280—283.

[8] Н. А. Машкин, Из истории африканских городов в II—III вв. н. э., ВДИ, 1951, № 2, стр. 70—83; С. И. Ковалев, К вопросу о характере социального переворота III—V вв. в Западной Римской империи, ВДИ, 1951, № 3, стр. 39—44.

თიერთობაში: ქართლს (იბერიას) შეეძლო უფრო თავისუფლად ემოქმედა და განევითარებინა თავისი წარმატებები, რომლებსაც ახ. წ. II ს-ში მიაღწია, ხოლო დასავლეთ ქართულ სამეფოებს უნდა ზეტი დამოუკიდებლობისათვის მიეღწიათ. მაგრამ სწორედ ამ დროს აღმოსავლეთში, ირანში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთაც არა მარტო ხელი შეუშალეს ქართულ სახელმწიფოთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ კიდევ უფრო გაართულეს იგი. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია შეექმნა ქართლის სამეფოს.

III ს. დასაწყისისათვის მწვავე შინაგანმა კრიზისმა მოიცვა პართიის სამეფოც. შინაგანმა წინააღმდეგობებმა, გამუდმებულმა ვადატრიალებებმა სამეფო კარზე, ცალკეულ ოლქთა მმართველების სეპარატისტულმა ტენდენციებმა, მის შემადგენლობაში მყოფ სხვადასხვა ტომთა აჯანყებებმა დაასუსტეს პართიის სახელმწიფო; მას უკვე აღარ ძალუძს წინ აღუდგეს დასუსტებულ რომის იმპერიასაც კი და იძულებულია დაუთმოს მას პოზიციები მესოპოტამიასა და ამიერკავკასიაში.

სწორედ ამ დროს ირანის ზეგანის ოლქებს შორის შესამჩნევად დაწინაურდა ფარსის პროვინცია (ბერძნულად — „პერსიდა"), სადაც ოდესღაც აქემენიდების მძლავრ სამეფოს ჩაეყარა საფუძველი. ამ ხანებისათვის პართული არისტოკრატიის ნაწილი შეიგნებს ცენტრალიზაციის აუცილებლობას და ამ გზით სახელმწიფოს განმტკიცებისათვის იხრება. მაგრამ საამისო ძალა არშაკიდების დინასტიას უკვე აღარ შესწევდა. მისი მმართველობით უკმაყოფილო დიდკაცობა, გვაროვნული არისტოკრატია, თავს იყრის ორი უმთავრესი ცენტრის სტახრისა (ისტახრი, ბერძნ. პერსეპოლისი) და ფასარგადის გარშემო; სწორედ ამ ორ ქალაქში განსაკუთრებით ძლიერი იყო ზოროასტრიზმის რელიგიური სისტემა, რომელიც ბითრას პართულ კულტსა და ელინისტურ რელიგიურ რწმენებს უპირისპირდებოდა[9].

ზოროასტრულ ქურუმებად სტახრში იყვნენ სასანიანთა გვარის წარმომადგენლები. სწორედ ეს საგვარეულო გამოდის ფარსის გამაერთიანებელთა და არშაკიდების წინააღმდეგ ბრძოლაში გვაროვნული არისტოკრატიის ბელადთა როლში. ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი არდაშირ პაპაკის ძე, რომელსაც მხარს უჭერს არა მარტო სპარსელი არისტოკრატია, არამედ

---

[9] ვ. გაბაშვილი, სასანიდური ირანის სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 22—23.

ორი გავლენიანი პართული საგვარეულოც — კარენებისა და სურენების — აერთიანებს მთელ ფარსს, იმორჩილებს ცენტრალურ ირანს, კერმანისა და ჯეის (აწინდ. ისფაჰანი) სამთავროებს და იპყრობა ხუზისტანში, დასავლეთ ირანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ოლქში. აქედან არდაშირი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა და მიდიაში, ორმიზდაგანის ველზე 224 წ. სასტიკად დაამარცხა პართიის უკანასკნელი მეფე არტაბან V, რომელიც აქვე, ბრძოლის ველზე იღუპება. სწორედ ეს თარიღი არის ბოლო ხანებში მიღებული ირანის ისტორიაში სასანური ხანის დასაწყისად[10], თუმცა არდაშირის ოფიციალური კურთხევა ირანის მეფედ ქტეზიფონში 226 თუ 227 წ. მოხდა[11].

მეფედ კურთხევის შემდეგ არდაშირი თანამიმდევრულად განაგრძობს დაპყრობებს, რის შედეგადაც ძირითადში გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოში სპარსული ოლქები, ისე როგორც ეს აქემენიდების დროს იყო[12].

სასანიანთა გამეფება როდი წარმოადგენდა ჩვეულებრივ გადატრიალებას სამეფო კარზე; ის ირანში მიმდინარე რთული პროცესებით, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებით იყო გამოწვეული და დიდკაცობის სხვადასხვა დაჯგუფებების ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისადმი მისწრაფების შედეგს წარმოადგენდა.

სასანიდების გამეფება მოასწავებდა სახელმწიფოს შემდგომ ცენტრალიზაციას, სამმართველო აპარატის მოწესრიგებასა და განმტკიცებას. ადგილობრივი მმართველები, ჩატარებული რეფორმების შედეგად, კარგავენ ოდინდელ დამოუკიდებლობას და უფრო მეტად ემორჩილებიან შაჰან-შაჰის ძლიერ ხელისუფლებას[13].

რეორგანიზაცია განიცადა არმიამაც. უკვე არდაშირ I დროს ფართოდ იქნა გამოყენებული, ადგილობრივ თავისუფალ მწარმოებელთა (აზატთა) ლაშქრის გვერდით, დაქირავებული რაზმები,

---

[10] A. Christensen, L'Iran sous les Sasanides, Copenhague, 1944, გვ. 88. Б. Н. Захолдер, Сасанидский Иран. ИЖ, 1938, № 12.

[11] Th. Nöldeke, Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden, Leiden, 1879, გვ. გვ. 13—15, 409—411; F. Sarre, E. Herzfeld, Iranische Felsreliefs, Berlin, 1910, გვ. 98.

[12] Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский и др., История Ирана, М.-Л., 195 , стр. 39—40.

[13] A. Christensen, L'Iran..., გვ. გვ. 144, 278—280, 410—412; Th. Nöldeke, Geschichte der Perser..., გვ. 448—450.

რომლებიც ქირას შაჰან-შაჰისაგან იღებდნენ და ამიტომ მისი ერთგულნი იყვნენ. შეიქმნა აგრეთვე სამეფო გვარდია, ე. წ. „უკვდავები". დაქირავებული რაზმების ორგანიზაციამ და სამეფო გვარდიის ჩამოყალიბებამ, მეფეს დანარჩენ არმიაზედაც მოუპოვა გავლენა და ის ამიერიდან მეფის ხელისუფლების უფრო მორჩილი გახდა[14].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ძველი ირანული რელიგიის — ზოროასტრიზმის აღდგენასაც. ზოროასტრიზმი არშაკიდების დროსაც რჩებოდა ძალაში, მაგრამ მას არ ჰქონდა უპირატესი მდგომარეობა, სასანიანთა დროს კი ლეგენდარული ზარატუშტრას მოძღვრება თანდათანობით დოგმატურ, მებრძოლ რელიგიურ სისტემად იქნა გამოცხადებული და სახელმწიფოებრივ იდეოლოგიურ სისტემად იქცა. ამით სასანიანებმა მოახდინეს კულტის ცენტრალიზაცია, რამაც მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებასაც შეუწყო ხელი[15].

ამრიგად, III ს. 20-იან წლებში აღმოსავლეთში გაუთავებელი შინაომებით დასუსტებული, დეცენტრალიზებული, სუსტი არშაკიდური პართიის ნაცვლად, შეიქმნა უფრო მტკიცე, შეკავშირებული, უკეთ ორგანიზებული სასანიდების სახელმწიფო. ამ გარემოებას არ შეეძლო მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოეხდინა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაში.

პოლიტიკური ორგანიზაციისა და სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისითაც სასანური ირანი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პართული სახელმწიფოსაგან, მაგრამ საგარეო პოლიტიკის მხრივ ის, ძირითადში, არშაკიდების ხაზის გამგრძელებლად გვევლინება, ოღონდ სასანიდები ამ პოლიტიკას უფრო ენერგიულად ატარებდნენ და უფრო აგრესიულ ძალას წარმოადგენდნენ.

სასანურ ეპოქაშიაც ირანის ძირითად მეტოქეს რომის იმპერია წარმოადგენდა და უკანასკნელთან ბრძოლის მიზეზებიც იგივე რჩებოდა. რაც რომისა და პართიის ომების დროს: ბრძოლა ნადავლისა და მონათა წყაროებისათვის „ბარბაროსულ ქვეყნებში" და სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე გაბატონებისათვის[16].

რომთან პირველი შეტაკებები უკვე სასანური სახელმწიფოს

---

[14] A. Christensen, L'Iran..., გვ. გვ. 130—132, 206—218; М. М. Дьяконов, Очерки истории древнего Ирана, М., 1961, стр. 288—289.

[15] Th. Nöldeke, Geschichte der Perser..., გვ.გვ. 181, 459—461; М. М. Дьяконов, Очерки..., стр. 292 и сл.

[16] ე. გაბაშვილი, სასანური ირანის სახელმწიფო, გვ. 27.

დაშაარსებლის არდაშირ I-ის დროს ხდება, როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე სეევერუსმა (222—235) დიდი გაჭირვებით შეალო თავისი სამფლობელოების სპარსელთაგან დაცვა მესოპოტამიასა და სირიაში. მაგრამ განსაკუთრებით აქტიურად ებრძვის რომს არდაშირის ვაჟი და მემკვიდრე შაბურ I (243—272).

შაბურ I ამარცხებს რომაელებს ცენტრალურ მესოპოტამიაში, ამასთან ბრძოლის ველზე იღუპება იმპერატორი გორდიანუს III (238—244). უკანასკნელის მემკვიდრე ფილიპე არაბი (244—249) იძულებულია შაბურთან ზავი დასდოს და ძვირი კონტრიბუცია გადაიხადოს[17].

მალე სპარსეთსა და რომს შორის კვლავ ომი დაიწყო. შაბურ I-მა გაანადგურა რომის არმია შუა ევფრატის მარჯვენა ნაპირზე, რასაც სპარსელთა სირიაში, კილიკიასა, კაპადოკიასა და მცირე არმენიაში შეჭრა და აქაური ქალაქების დაკავება მოჰყვა. ბოლოს ქ. ედესასთან 260 წ. რომაული არმია კვლავ სასტიკად დამარცხდა და იმპერატორი ვალერიანე ტყვედ ჩავარდა[18]. როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. დიაკონოვი, ეს გამარჯვება უფრო მეტად რომაელთა სისუსტის, ვიდრე სპარსელთა სიძლიერის შედეგი იყო; ეს კარგად დაადასტურა თუნდაც იმ გარემოებამ, რომ ამ ძლევამოსილი ლაშქრობიდან მომავალი შაბურ I დაამარცხა პალმირის მეფემ ოდენატმა, რომელმაც არა მარტო დიდი ზიანი მიაყენა სპარსელებს მათი ევფრატზე გადასვლის დროს, არამედ შემდეგ თვით გადალახა ეს მდინარე, წაართვა სპარსელებს მათ მიერ დაკავებული ქალაქები ნისიბისი და კარა და ქტეზიფონამდეც კი მიაღწია[19].

მიუხედავად ცალკეული მარცხებისა, შაბურ I შეძლო თავისი სახელმწიფოს საზღვრების მნიშვნელოვნად გაფართოება და მესოპოტამიასა და არმენიაში თავისი ძალაუფლების დამკვიდრება.

272 წ. გარდაიცვალა შაბურ I და მისი მემკვიდრეების დროს ირანსა და რომს შორის ბრძოლა უკანასკნელისათვის უფრო ხელსაყრელად წარიმართა. ასე მაგალითად, იმპერატორი კარუსი (282—283) შეიჭრა ირანში და მიაღწია სასანიანთა დედაქალაქ ქტეზი-

---

[17] E. Honigmann, A. Maricq, Recherches sur les Res gestae divi Saporis, Bruxelles, 1953, გვ. 111—130.

[18] Т. Моммзен, История Рима, т. V, стр. 386—387; W. B. Henning, The Great Inscription oi Sāpūr I, BSOAS, vol. IX, 1939, გვ. 823 და შემდ.

[19] М. М. Дьяконов, Очерки..., стр. 263.

ფონამდე, რის შედეგადაც დაიდო რომისათვის სასარგებლო ზავი: სპარსეთი ჰკარგავს არმენიაზე კონტროლს[20].

უფრო გვიან, უკვე იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს (284—305), რომაელებმა მარცხი აგემეს მეფე ნარსეს (293—302). რომელმაც მანამდე არმენიის დაბრუნება სცადა და იქიდან რომაელთა მიერ გამეფებული თრდატ IV-ის განდევნა. ამ მარცხის შემდეგ ნარსე იძულებული იყო დაედო არახელსაყრელი ზავი. ეს იყო 298 წლის ნისიბისის ზავი, რომლითაც არმენია და მესოპოტამიის ნაწილი რომის ხელქვეითად იყო აღიარებული[21].

ეს წარმატებები ერთი მხრივ დიოკლეტიანეს დროს რომის დროებითი სტაბილიზაციითა და ერთგვარი გაძლიერებით, ხოლო მეორე მხრივ, ირანში შინაგანი არეულობითა და ე. წ. მანიქეველთა ფართო მოძრაობით იყო გაპირობებული[22].

ნისიბისის საზავო ხელშეკრულების შემდეგ ვიდრე IV ს. შუა წლებამდე მახლობელ აღმოსავლეთში შედარებითი მშვიდობა დამყარდა. რომსა და ირანს შორის საკამათო ოლქები რომის ძალაუფლების ან მისი პროტექტორატის ქვეშ რჩებოდა. მაგრამ ორივე მხარეს კარგად ესმოდა, რომ ბრძოლა მათ შორის არ იყო დამთავრებული და ორივე ემზადებოდა ახალი ომისათვის. ბრძოლა IV ს. შუა წლებში განახლდა, მაგრამ ამიერიდან სასანიანთა წინააღმდეგ გამოდის უკვე არა ერთიანი რომის იმპერია, არამედ მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ისტორიოგრაფიაში ბიზანტიის იმპერიის სახელითაა ცნობილი.

* * *

იმ ცვლილებებმა, რომლებიც ირანში სასანიანთა გამეფებამ გამოიწვია, დიდი გავლენა მოახდინეს ამიერკავკასიის პოლიტიკურ სიტუაციაზე და კერძოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართლის (იბერიის) სამეფოს მდგომარეობის ცვლილებაში.

როგორც ცნობილია, ახ. წ. II ს. ქართლის სამეფო საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. იგი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა და არამც თუ რომსა და პართიას არ ემორჩილებოდა, არამედ ხშირად მათ წინააღმდეგ მტრულ აქ-

---

[20] A. Christensen, L'Iran..., გვ. 222.

[21] J. Marquart, Eranšahr nach der Geographie des Pseudo-Moses Chorenaci, Berlin, 1901, გვ. 115.

[22] М. М. Дьяконов, Очерки..., стр. 263—264; Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский и др., История Ирана, стр. 43.

ციებსაც არ ერიდებოდა. აშკარად რომის ინტერესთა საზიანოდ მოხდა, მაგალითად, ფარსმან II-ის დროს იბერიის მიერ დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოსახლე ზიდრიტთა ტომის დამორჩილება, რის შედეგადაც იბერია რომაულ სამფლობელოთა შორის ხოლოვით შეიჭრა და შავ ზღვაზე გავიდა. არ ერიდება ფარსმან II პირთიასაც და მოკავშირე ჩრდილოკავკასიურ ტომთა ძალებით მასზე და რომის პროვინციებზე თავდასხმებს უკეთებს ორგანიზაციას[23].

III ს. ვითარება ამიერკავკასიაში საგრძნობლად შეცვლილი ჩანს. ამ დროისათვის ჩვენს განკარგულებაშია მნიშვნელოვანი ეპიგრაფიული ძეგლი, რომელიც შეიცავს მეორე სასანიანი მეფის — შაბურ I-ის მოღვაწეობის აღწერას მისი მეფობის პირველ ოცწლეულში. ესაა სამენოვანი (პართულ-ფალაური, სასანურ-ფალაური და ბერძნული) წარწერა, გამოკვეთილი პერსეპოლისის მახლობლად, ნაკშ-ი რუსტამში მდებარე ზოროასტრის ტაძრის ე. წ. „ზოროასტრის ქაბის“ (Ka'ba-i Zardost). ამ წარწერაში შაპან-შაპის ქვეშევრდომთა შორის დასახელებულია — ბერძნულ ტექსტში ქვეყანა მ ა ხ ე ლ ო ნ ი ა (Μαχελονία), ხოლო ფალაური ტექსტის შესაბამის ადგილას—ქვეყანა სიკან (Syk'n)[24].

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ეს ქვეყანა იდენტურია ანტიკურ წყაროებში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე დასახელებულ მაკრონების (ვარიანტ. მახელონების) სამეფოსი[25]. ახ. წ. II ს., როგორც ეს რომაელი მწერლის ფლავიუს არიანეს ცნობებიდან ჩანს, მაკრონებსა (მახელონებსა) და მათ მეზობელ ჰენიოხებს ერთიანი სამეფო ჰქონიათ, რომელიც რომის „მოკავშირე“, ანუ ფაქტიურად ვასალური სახელმწიფო ყოფილა. სწორედ ამ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ჩრდილოეთიდან ემეზობლებოდნენ ზ ი დ რ ი ტ ე ბ ი, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, იბერიის მეფეს ფარსმან II-ეს ემორჩილებოდნენ[26].

როგორც შაბურ I წარწერიდან ირკვევა, მაკრონ-ჰენიოხების

---

[23] მ. ი ნ ა ძ ე, იბერიისა და რომის ურთიერთობა II ს-ის პირველ ნახევარში, იიშ, ტ. I, 1955, გვ.გვ. 321—332, 353—362; Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тбилиси, 1953, стр. 354—359.

[24] E. H o n i g m a n n, A. M a r i c q, Recherches..., გვ. 11.

[25] იქვე, გვ. 64—76; Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории др. Грузии, стр. 380—390.

[26] A r r i a n, PPE, § 11; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ეგრისის სამეფოს ისტორია, 1968, გვ. 7—10.

სამეფოს III ს. 60-იან წლებში (წარწერა 262 წ. არის ამოკვეთილი) თითქოს დამოუკიდებლობა დაუკარგავს და სპარსეთის მეფის ხელქვეით და მოხარკე ქვეყნად ქცეულა. ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო მახელონიის ირანზე დამოკიდებულების რეალური ხასიათი, ან იყო თუ არა იგი ნამდვილად დაპყრობილი შაბურ I-ის დროს: საქმე ისაა, რომ, როგორც ქვევით დავინახავთ, „ზოროასტრის ქაბის" წარწერაში ირანის შაჰან-შაჰის მოხარკე ქვეყნებს შორის დასახელებულია ზოგჯერ ისეთებიც, რომლებიც მას უშუალოდ არ დაუპყრია, არანად ან ბრძოლაში დაუმარცხებია, ან დაულაშქრავს. ერთი კი ცხადია, თუ კი მახელონია მართლაც შედიოდა სპარსეთის ხელქვეით ოლქთა შემადგენლობაში, ეს შეიძლებოდა მხოლოდ ხანმოკლე დროით მომხდარიყო. საქმე ისაა, რომ შაბურ I-ის შემდეგ რომაელებმა სპარსელებთან ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: იმპერატორი კარუსი შეიჭრა მესოპოტამიაში, სპარსელებმა დაკარგეს კონტროლი არმენიაზე (283 წ.), ხოლო ნისიბისის საზავო ხელშეკრულებით (298 წ.), ირანმა კარგა ხნით დაკარგა ძალაუფლება სომხეთსა და მესოპოტამიაში. ცხადია, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია ირანს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე რაიმე გავლენა შეენარჩუნებინა. ამდენად, თუ კი მახელონია როდისმე ირანის ქვეშევრდომ ქვეყნებში შედიოდა, III ს. 80—90-იან წლებში რომს ის უკან უნდა დაებრუნებინა.

რაც შეეხება იბერიის ქვეშევრდომობაში მყოფ ზიდრიტებს, ისინი შემდეგდროინდელ წყაროებში არ იხსენიებიან და რომაელთა სამფლობელოს უშუალოდ ემეზობლება ლაზეთის (ეგრესის) სამეფოს ტერიტორია[27]. როგორც ქვევით დავინახავთ, შაბურ I-ის დროს იბერია საკმაოდ რთულ ვითარებაში მოექცა და მასაც უნდა გარკვეული ხნით ირანის ქვეშევრდომობა თუ არა, მასზე გარკვეული დამოკიდებულება ეცნო (იხ. გვ. 35). ვფიქრობთ, რომ მახელონიის დამორჩილება თუ დალაშქვრა უნდა მომხდარიყო იმავე ხანებში, როდესაც შაბურმა რომთან ბრძოლაში საერთო წარმატებებს მიაღწია და ამიერკავკასიის ქვეყნებშიაც თავისი გავლენა გაავრცელა. ასეთ სიტუაციაში საეჭვოა იბერიას მახელონიის მეზობელ ზიდრიტთა ტერიტორია შეენარჩუნებინა, ხოლო შემდეგ, როცა რომმა მახელონია კვლავ დაიბრუნა, მას უნდა ზიდრატთა ტომის მიწაწყალიც თავის ხელქვეითად გაეხადა — ის, როგორც ჩანს, რომის მოკავშირე ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში შევიდა[28].

[27] Г. А. Меликишвили, К истории др. Грузии, стр. 390.

[28] ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 66—70.

ამრიგად, მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ იბერიას პირველ რიგში იმ ხრივ მიაყენა ზიანი, რომ მან დაკარგა მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი გასასვლელი შავ ზღვაზე.

ამას გარდა, ჩვენ მოგვეპოვება წყაროთა სხვა მონაცემები, რომლებიც ამიერკავკასიის ქვეყნებისა და კერძოდ ქართლის სასანურ ირანთან ურთიერთობაზე მოგვითხრობენ ამ დინასტიის პირველ წარმომადგენელთა დროს.

X ს. დასაწყისის არაბმა ისტორიკოსმა ტ ა ბ ა რ ი მ შემოგვინახა ცნობა, რომ არტაბანზე გამარჯვების შემდეგ, არდაშირ I გაემართა ჰამადანისაკენ (ე. ი. მიდიისაკენ), „ძალით დაიპყრო იგი, აგრეთვე დანარჩენი მთიანეთი, ადორბაიგანი (ირანის აზერბაიჯანი), არმენია, მოსულის ოლქი და ასურისტანი"[29]. ამ ცნობიდან გამოდის, რომ უკვე პირველი სასანიანი მეფის — არდაშირ I-ის დროს სპარსელები უშუალოდ დაუმეზობლდნენ ქართლს. მაგრამ ტაბარის ამ ცნობის შედარებამ სხვა მონაცემებთან, კერძოდ დიონ კასიუსის „რომის ისტორიის" და არდაშირ 1-ის „ცხოვრების", ანუ „კარნამაკის" მონაცემებთან საფუძველი მისცა თ. ნიოლდეკეს დაესკვნა, რომ ტაბარის ცნობა გვიანდელ ინტერპოლაციას წარმოადგენს და რეალურ ისტორიულ ვითარებას არ შეეფერება. შესაძლოა, აღნიშნავს თ. ნიოლდეკე, არდაშირი ამ მიმართულებით მართლაც აწარმოებდა ბრძოლებს. მაგრამ წარმატებისთვის არ მიუღწევია, ყოველშემთხვევაში არმენია არ დაუპყრია[30]. ასეთივე შეხედულებისა არიან სხვა მკვლევარნიც[31].

ტაბარის, როგორც ირკვევა, სხვა შეცდომებიც მოსდის: კერძოდ, ეჭვს იწვევს მისი ცნობა არდაშირის მიერ ქუშანის დაპყრობის შესახებ და საერთოდ მისი მონაცემები ეწინააღმდეგება მოვლენათა თანამედროვე წყაროების ჩვენებებს არდაშირის აღმოსავლურ დაპყრობათა შესახებ[32].

---

[29] T h. N ö l d e k e, Geschichte der Perser..., გვ. 15.

[30] Th. N ö l d e k e, Geschichte des Ardašir-i Pāpākān, BKIS, 4. Bd., Göttingen, 1878, გვ. 30—31.

[31] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სასანური ირანის სახელმწიფო, გვ. 27; A. C h r i s t e n s e n, L'Iran..., გვ. 219; M. M. Д ь я к о н о в, Очерки..., стр. 260.

[32] T h. N ö l d e k e, Geschichte der Perser..., გვ. 17; В. Г. Л у к о н и н, Завоевание Сасанидов на востоке и проблема кушанской абсолютной хронологии, ВДИ, 1969, № 2, стр. 22—27.

არსებობს მოსაზრება, რომ ტაბარისთან მოცემული ჩამოთვლა თითქოსდა არდაშირ I-ის მიერ დაპყრობილი ქვეყნებისა, რეალურად უნდა იყოს უფრო გვიანდელი ხანის ირანის ადმინისტრაციული დაყოფის სურათი, ე. ი. ტაბარის წყაროში აღწერილი იყო არა არდაშირის ნამდვილი დაპყრობები, არამედ ჩამოთვლილი იყო ის ოლქები, რომლებიც მას უნდა დაემორჩილებინა[33].

რომ არმენია არამცთუ დაპყრობილი არ ყოფილა არდაშირის დროს, არამედ რომის ხელქვეით რჩებოდა, ამაზე მიუთითებს არდაშირ I-ის თანამედროვე იმპერატორის ალექსანდრე სეევერუსის ბიოგრაფის ელიუს ლამპრიდიუსის ცნობა, რომ არმენიაში დანიშნული იყო მხედართმთავარი იუნიუს პალმატუსი და რომ აქაც, ისევე როგორც მავრიტანიასა, ილირიასა და სხვა ადგილებში ალექსანდრეს „საქმენი ბედნიერად წარიმართებოდა“[34].

საინტერესოა, რომ არდაშირის გამეფებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ ცნობები შენოგვინაზეს სომხურმა და ქართულმა წყაროებმაც.

განსაკუთრებით დაწვრილებით აგვიწერს არტაბანის დაღუპვას, არდაშირის გამეფებასა და სახელმწიფოს გაერთიანება-შემომტკიცებისათვის ხანგრძლივ ბრძოლებს მოვსეს ხორენაცი (V ს.). სომეხი ისტორიკოსის ცნობით, ამ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობს სომხეთის მეფე ხოსროვი, რომელიც ცდილობს დახმარება გაუწიოს თავის ნათესავებს „კარენ-ფაჰლავის გვარს“ არდაშირის წინააღმდეგ აჯანყებაში; მაგრამ მას შემდეგ, რაც ირანის ყველაზე გავლენიანმა გვარებმა — სურენებმა და სპახპატებმა არ დაუჭირეს მხარი ხოსროვს და არდაშირმა კი გაანადგურა კარენ-ფაჰლავის გვარი, ხოსროვი, ჯერ რომის იმპერატორის ფილიპე არაბის დახმარებით, ხოლო შემდეგ რომაელთა დაუხმარებლად, ამარცხებს არდაშირს, სდევნის მას ვიდრე ინდოეთამდე. ამის მერე არდაშირი მიუგზავნის ხოსროვს მკვლელს — სურენთა გვარის წარმომადგენელს ანაკს, რომელიც წარმატებით ასრულებს დავალებას; ხოსროვის მოკვლის შემდეგ არდაშირი იჭრება სომხეთში; აქაური ნახარარები ხოსროვის ვაჟთან თრდატთან ერთად თავს აფარებენ „საბერძნეთს“, ე. ი. რომს; იმპერატორი ტაციტუსი მოდის სომეხთა დასახმარებლად, მაგრამ მარცხდება და სომხეთი ირანის ძალა-

---

33 В. Г. Луконин, Завоевание Сасанидов на востоке..., стр. 23.

34 SHA, XVIII, 58, 1; შეად. J. Harmatta, Minor Bactrian Inscriptions, AAH, XIII, 1—2, 1965, გვ. 190—192.

ეფლების ქვეშ რჩება[35]. მოვსეს ხორენაცით, არდაშირს ურთიერთობა აქვს იმპერატორ პრობუსთან, მის წინააღმდეგ იბრძვის იმპერატორი კარუსი და მის დროსვე იღუპება იმპერატორი ნუმერიანე და ტახტზე ადის დიოკლეტიანე[36]. მხოლოდ ამის შემდეგ კვდება არდაშირი და სპარსეთის მეფე ხდება მისი ძე შაპუჰი, ანუ შაბური[37].

როგორც თვით მოვსეს ხორენაცი იუწყება, აღწერილი მოვლენები მას გადმოცემული აქვს ძირითადად ორი წყაროს საფუძველზე: პირველი ესაა ხოსროვის ვაჟის თრდატის მდივანი ა გ ა თ ა ნ გ ე ლ ო ს ი, რომელსაც მოკლედ ჰქონია მოთხრობილი სასანიანთა გამეფების, ხოსროვის ირანში ძლევამოსილი ლაშქრობების და ხოსროვის ანაკისაგან მოკვლის ამბები[38].

მაგრამ, მოვსეს ხორენაცისავე თქმით, ძირითადი წყაროს მისთვის ყარის „ისტორიული წიგნი უძველეს დროთა შესახებ", რომელსაც სპარსელები „როსტესხუნ"-ს („მართალი სიტყვა") უწოდებენ და რომელიც შაბურ II თანამედროვეს ბ ა რ ს უ მ ა ს (თუ ბარსუმეს?) დაუწერია. ეს ნაწარმოები, ხორენაცის სიტყვით, ბერძნულად უთარგმნია შაბურ II-ის მდივანს ხორხბუტს, რომელიც ბარსუმასთან ერთად IV ს. 60-იან წლებში ტყვედ ჩაუგდიათ რომაელებს[39].

ამრიგად, მოვსეს ხორენაცის წყაროები III და IV საუკუნეებს განეკუთვნება და ამდენად თითქოს საკმაო ნდობას იმსახურებს. აშკარაა, რომ სომეხი ისტორიკოსის მონათხრობში ბევრი ისტორიული ფაქტი აისახა. ასე, მაგალითად, ხოსროვის ბრძოლა არდაშირის წინააღმდეგ და მისი წარმატებები, როგორც ჩანს, ასახავს, ცხადია კაზვიადებით, არდაშირის მარცხს არმენიაში. გასათვალისწინებელია სომხეთის დაპყრობის ცალკეული დეტალებიც, რომელთაც ისეთი ნიშანდობლივი სახე აქვთ, რომ ძნელი დასაშვებია ისინი გამოგონილი იყოს. მაგრამ, ამასთან ერთად, მოვსეს ხორენაცი სრულიად აშკარა შეცდომებს უშვებს, განსაკუთრებით მოვლენათა ქრონოლოგიაში. ასე მაგალითად, არდაშირის მიერ უკანასკნელი პართელი მეფის არტაბანის მოკვლა მოვსეს ხორენაცის რომის იმპერა-

---

[35] მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, სომხეთის ისტორია, II, 71—76.
[36] იქვე, II, 77—79.
[37] იქვე, II, 81.
[38] იქვე, II, 74.
[39] იქვე, II, 69—70.

ტორის ფილიპე არაბის ხანაში აქვს გადმოტანილი: როგორც კი ხოსროვმა შეიტყო, რომ არტაბანი მოკლეს და სპარსეთში ხელისუფლება არდაშირმა იგდო ხელთ, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინა ფილიპეს[40]. ფილიპე არაბი კი 244 წელს გამეფდა, ე. ი. არდაშირის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ.

საერთოდ მოვსეს ხორენაცის მიხედვით, არდაშირი თანამედროვეა არა მარტო ფილიპე არაბისა, არამედ დეციუსის, ვალუსის, ვალერიანეს, კლავდიუს II, ავრელიანეს, ტაციტუსის, პრობუსის, კარუსის და ნუმერიანესი, ე. ი. გამოდის, რომ მას 284 წ-დე უცოცხლია (ამ წელს მოკლეს ნუმერიანე და გამეფდა დიოკლეტიანე). ცხადია ამდენად, რომ მოვსეს ხორენაცის არდაშირის სახელით გააერთიანა სასანიანთა რამდენიმე მეფე, ისტორიკოსი ყოველთვის ვერ ადგენს, კონკრეტულად რომელი მეფის დროს მოხდა ესა თუ ის მოვლენა. ასეთივე შეცდომები მოსდის ხორენაცის პირველ სასანიანთა აღმოსავლური პოლიტიკის აღწერისას, რის გამოც, როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, „სომხეთის ისტორიის“ ცნობები ძნელი გამოსაყენებელია სასანიანთა აღმოსავლური პოლიტიკის რეკონსტრუქციისათვის[41].

მსგავსი ცნობები შენახულია აგრეთვე X ს. სომეხი ისტორიკოსის უხტანესის „ისტორიაში“; აქ მოთხრობილია, რომ სომეხთა მეფემ ხოსროვმა შეკრიბა ჯარი ალბანეთიდან, იბერიიდან, ლბინთა, ჯილბთა, კასპიათა და სხვა ტომთაგან და მარცხი აგემა არდაშირ პაპაკანს, ამასთან სასანიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში მას დახმარება გაუწია რომაელთა მეფემ ფილიპემ[42]. უკანასკნელის მოხსენიება ცხადჰყოფს რომ უხტანესიც შეცდომას უშვებს და მის მიერ აღწერილი მოვლენები შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ შაბურ I-ის დროს, რამდენადაც სწორედ ამ უკანასკნელის თანამედროვე იყო ფილიპე არაბი, მეორეს მხრივ, შაბურ I-ის დროს საეჭვოა ხოსროვის ასეთ წარმატებებზე შეიძლებოდეს ლაპარაკი, რადგან, როგორც ნაჩვენები იყო, სწორედ ფილიპე არაბი იყო იძულებული

---

[40] მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, სომხეთის ისტორია, II, 71.

[41] В. Г. Л у к о н и н, Завоевание Сасанидов на востоке, стр. 27—30.

[42] M. B r o s s e t, Deux historiens arméniens: Kirakos de Gantzac, XIIIe s., Histoire d'Arménie; Oukhtanès d'Ourha, Xe s., Histoire en trois parties, Liv. I—II, St.-Ptb., 1870—71.

არახელსაყრელი ზავი დაედო სასანიანებთან და კონტრიბუცია გადაეხადა.

ამრიგად, როგორც მოვსეს ხორენაცის, ისე უხტანესის მონათხრობში ერთმანეთს შეეწყო ორი სხვადასხვა დროის მოვლენა: არდაშირის წარუმატებლობა სომხეთში და ფილიპე არაბის მონაწილეობა სომხეთისათვის დაკარგულ პირველის (არდაშირის მარცხი არმენიაში) ზეგავლენით, სომხურ წყაროებში ფილიპე არაბის ფაქტიური მარცხი (არახელსაყრელი ზავის დადება) პირიქით წარმატებად იქცა და წამყვანი კი ამ წარმატებებში გახდა სომეხთა მეფე.

ერთი რამ, ყოველშემთხვევაში, სრულიად უდავოა: სომხეთის დაპყრობა ირანის მიერ, მოვსეს ხორენაცის და უხტანესის მიხედვითაც შეუძლებელია არდაშირ I-ის ხანას მივაკუთვნოთ და რეალურად ეს უნდა მომხდარიყო მისი მემკვიდრის შაბურ I-ის დროს. სწორედ უკანასკნელის თანამედროვენი იყვნენ იმპერატორი ფილიპე არაბი და ხორენაცის მიერ დასახელებული მისი მომდევნო იმპერატორებიც ვიდრე ავრელიანემდე. ასეთი კორექტივით მოვსეს ხორენაცის მონაცემთა გამოყენება სომხეთ-ირანის ურთიერთობის შესწავლისას, სავსებით შესაძლებელია.

სასანიანთა მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება აისახა ქართულ წყაროებშიაც, კერძოდ ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს „მეფეთა ცხოვრებაში". ლეონტი მოგვითხრობს, რომ ქართლში ოცდამესამე მეფის ასფაგურის მმართველობაში „მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშირვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აფღალანიანნი, რომელი იცნობების არდაბირობით (ვარ. არდაშირობით), ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა"[43].

შემდგომი მოვლენები ქართულ მატიანეშიაც იმავე თანმიმდევრობითაა აღწერილი, როგორც მოვსეს ხორენაცისთან, მაგრამ, უკანასკნელისაგან განსხვავებით, სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ლეონტი მროველი უფრო მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ქართველებს: სწორედ ქართლის მეფე ასფაგურს გადმოჰყავს ჩრდილოეთ კავკასიიდან ოვსნი, ლეკნი, ხაზარნი, მისი შეწევნით იმარჯვებს სომეხთა მეფე კოსარო (იგივე ხოსროვი) და ისინი ერთობლივ იწყებენ „შესლვას სპარსეთად და ტყუევნას სპარსეთისა". ამას გარდა, შემდეგ, როცა ხოსროვ-კოსარო მოკლეს, ლეონტის თანახმად, პირველმა სასანიანმა მეფემ, სომხეთთან ერთად, ქართლიც მოაოხრა და აქაც გაბატონდა[44].

---

[43] ქართლის ცხოვრება, წ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1955, გვ. 59.
[44] იქვე, გვ. 59—62.

როგორც დავინახეთ, სპარსეთში დინასტიის შეცვლას[45] ლეონტი მროველი მიაწერს ქასრე ანუშირვანს, „რომელი იცნობების არდაშირობით“. ამ მხრივ ლეონტის ცნობა სრულიად განსხვავდება სხვა წყაროთა, მათ შორის მოვსეს ხორენაცის მონაცემებისაგან. ლეონტი აქ აშკარა შეცდომას უშვებს, როცა ერთ პიროვნებაში აერთიანებს გვიანდელი ხანის სპარსეთის მეფეს ხოსრო ანუშირვანს (531—579) და არდაშირ I. უნდა ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველის რომელიღაც წყაროში ხოსრო ანუშირვანი არდაშირის ტიტულით იყო მოხსენიებული[46] და სწორედ ეს გახდა შეცდომის წყარო მემატიანისათვის, რომელმაც VI ს. მეფე სასანიანთა დინასტიის ფუძემდებლად გამოაცხადა. მეორე მხრივ, რამდენადაც ლეონტი მროველის მიერ აღწერილი მოვლენები, კერძოდ სომეხთა მეფის მოკვლა და სომხეთის დაპყრობა, სომეხთა ისტორიკოსების მიერაც არდაშირ I-ის მეფობაშია გადატანილი და რეალურად კი არ შეიძლებოდა შაბურ I-მდე მომხდარიყო, აპარსელთა მიერ ქართლის დარბევაც არ შეიძლება პირველი სასანიდის დროს ვივარაუდოთ.

როგორც აღნიშნული იყო, არდაშირმა ვერც არმენიაში და ვერც ბიდიაში წარმატებებს ვერ მიაღწია; ცხადია, რომ მას მით უფრო არ შეეძლო ქართლზე თავდასხმა, მისი აოხრება, ან მითუმეტეს, დაპყრობა.

სულ სხვა ვითარება დამყარდა შაბურ I-ის დროს. მისი მეფობის პირველი ოცწლეულის საგარეო პოლიტიკის შედეგთა თავისებურ აღნუსხვას წარმოადგენს ჩვენს მიერ უკვე ხსენებული საბენოვანი წარწერა „ზოროასტრის ქააბაზე“. წარწერის დასაწყისი ასე იკითხება[47]: „მე, თაყვანისმცემელი მაზდასი, უფალი შაპორი, მეფეთა-მეფე ირანისა და არაირანისა, შთამომავალი ღმერთებისა,

---

[45] რომ აეღალანიან მეფეებში, რომლებიც „მოსრნა“ პირველმა სასანიანმა, რეალურად იგულისხმებიან არშაკიდები, ვარაუდობდა ჯერ კიდევ პ. პ ა ტ კ ა ნ ო ვ ი: О древнегрузинской хронике. ЖМНП, XII, 1889, გვ. 215; უკანასკნელად ეს საკითხი დაწვრილებით იყო განხილული და დაზუსტებული გ. მამულიას მიერ: „ქართლის ცხოვრების“ წყაროს გარკვევისათვის, სმამ, ტ. XXXIII, № 1, 1964, გვ. 251—256.

[46] სახელი არდაშირი გვიან ხშირად იხმარებოდა როგორც სასანიდი მეფეების ტიტული.

[47] წარწერის თარგმანი მოგვაქვს ბერძნული ვარიანტიდან: E. H o n i g m a n n, M. M a r i c q, Recherches..., გვ. 11. ვიყენებთ აგრეთვე ფალაური და შუასპარსული ვარიანტების გამოცემას: M. S p e n g l i n g, Third Century, Iran, Sapor and Kartir, Chicago, 1953.

ძე მაზდას თაყვანისმცემლის უფალის არტაქსარისა, ირანის მეფეთა-მეფისა, ღმერთების შთამომავალისა, შვილიშვილი უფალი პაპაკისა, მეფისა. მე — ირანის ხალხთა მბრძანებელი ვფლობ ქვეყნებს: პერსიდას, პართიას, უძენეს (ხუზისტანს—ნ. ლ.), მესანენეს (მეშანს — ნ. ლ.), ასირიას, ადიაბენას, არაბეთს, ადურბადაგანს, არმენიას, იბერიას ('Ιβερίαν), მახელონიას, ალბანიას ('Αλβανίαν), ბალასკანს,[48], ვიდრე კაპ (?) მთებამდე[49] და ალანთა კარამდე. ('Αλανῶν πυλῶν) და პრესუარის[50] მთელ მთიანეთამდე...“ შემდეგ ჩამოთვლილია შაბურის საბრძანებლის სხვა ოლქები.

წარწერის ეს ნაწილი იმ მხრივ არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ აქ ფაქტიურად მთელი ამიერკავკასია (არმენია, იბერია, მახელონია, ალბანეთი, ბელაქანი, კავკასიის მთებამდე, ალანთა ანუ დარიალის კარამდე და იალბუზამდე). სპარსეთის შაჰან-შაჰის სამფლობელოში არის შეტანილი.

უფრო ქვევით, იმავე წარწერაში მოცემულია ირანის მეფეთა კარის უმაღლეს მოხელეთა ჩამოთვლა, ამასთან ჯერ დასახელებულნი არიან ისინი, ვინც ხელისუფლება მიიღო არდაშირ I-ის მამის პაპაკისაგან, ე. ი. ფაქტიურად აღნუსხულია მისი კარის შემადგენლობა პერსიდის (ფარსის) მეფედ ყოფნისას, შემდეგ ჩამოთვლილი არიან არდაშირ I-ის კარის დიდმოხელენი და ბოლოს — შაბურ I-ის კარის მოხელენი; ამ უკანასკნელთა შორის დასახელებულია „ჰამაზასპი, მეფე იბერიისა“ (Xnzasp Vyrsn MLK' (პართ.), amĕspy vl rvcan MLK' (სას.), 'Αμαζάσπου τοῦ βασιλέως τῆς 'Ιβερίας).[51]

ამრიგად, „ზოროასტრის ქაბის“ წარწერა თითქოს ეჭვს არ ტოვებს რომ III ს. 60-იან წლებში იბერია ირანის მოხარკე იყო, ხოლო მისი მეფე შაჰან-შაჰის ხელქვეითი ხელისუფალი. მაგრამ სანამ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შეეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ დავუბრუნდეთ არდაშირ I-ის ხანას და ამ დროს ირანთან ქართლის ურთიერთობას. საქმე შემდეგშია: გ. მელიქიშვილი დასაშვებად თვლის, რომ იბერიის ირანის ხელქვეით მოქცევა

---

[48] ბერძნულ ტექსტში აკლია, არის მხოლოდ ფალაურში.

[49] ამ მთებს გამომცემლები კავკასიონად მიიჩნევენ: E. Honigmann, A. Maricq, Recherches..., გვ. 11.

[50] ფალაურში „პარიშაჰეარ“ (Pryšhwr). გამომცემლები მიიჩნევენ იალბუზად: M. Spengling, Third Century..., გვ. 7.

[51] M. Spengling, Third Century..., გვ. გვ. 9, 12; E. Honigmann, A. Maricq, Recherches..., გვ. 17.

სწორედ შაპურ I-ის დროს მოხდა, მაგრამ, ამასთანავე, ვარაუდობს, რომ გარკვეული მეგობრული კონტაქტები იბერიასა და სასანურ ირანს შორის ჯერ კიდევ არდაშირ I-ის დროს დამყარდა. ასეთი ზარპატის", ანუ სამეფო გვარდიის უფროსისას[60]. რაც შეეხება წარწერა, რომელიც არმაზისხევის ნეკროპოლზე მოპოვებულ ვერცხლის პინაკზეა ამოკვეთილი[52].

ეს წარწერა პირველად გამოაქვეყნა გ. წერეთელმა. მან აღნიშნა, რომ პირველი სიტყვა წაშლილია და შემორჩენილია მხოლოდ ბოლო ორი ასოს კვალი; შემდეგ ნახსენებია „პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა, ძისა ღვთაებრივი [პაპაკისა?]", შემდეგ მეორდება სიტყვა „პიტიახშ-"(bihš[y]) და მოიხსენიება რაღაც ქვეყანა, შესაძლოა იბერია — უკანასკნელი ასოები — rgn — შესაძლებლობას იძლევა აღდგენილ იქნას სიტყვა vrgn|| vrkn—იბერიის სახელის სპარსული ფორმა. წარწერის ბოლოს აღნიშნულია პინაკის წონა:53 დრაჰმა (ზუზნა)[53].

შემდგომ იმავე წარწერის მთლიანი წაკითხვა შემოგვთავაზა შ. ამირანაშვილმა. იგი ტექსტს ასე აღადგენს და კითხულობს: „ფაფაკ, პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა ღვთაებრივი ფაფაკის ძისა, გურზან ქვეყნის პიტიახშს არზამესს უძღვნის". შემდეგ შ. ამირანაშვილი დაასკვნის, რომ „ფაფაკის შვილის არდაშირ I (226—241) პიტიახშმა ფაფაკმა თასი უბოძა საქართველოს (ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს) პიტიახშს". თასზე, მისი აზრით, გამოსახული არა არდაშირ I, არამედ თვით ფაფაკი და ეს უკანასკნელი იხსენიება წარწერაში პაიკულიდან, რომელიც ე. ჰერცფელდმა გამოსცა[54].

სწორედ შ. ამირანაშვილის წაკითხვაზე დაყრდნობით ვარაუდობს გ. მელიქიშვილი, რომ ქართლის პიტიახშს არზამესს ეს თასი მიუბღვნა ირანის ერთ-ერთმა უმაღლესმა მოხელე-დიდებულმა — პიტიახშმა პაპაკმა არდაშირ I-ის მეფობის დროს, არზამესის მი-

---

[52] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 393 შეად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ. 566.

[53] Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета — древней столице Грузии, ВДИ, 1948, № 2, стр. 55.

[54] შ. ამირანაშვილი, არმაზისხევში გათხრების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი, „თბილისი 1500", საიუბილეო კრებული, 1958, გვ. 90—91; Ш. Я. Амиранашвили, Серебряная чаша раннесасанидской эпохи из раскопок в Армазисхеви, Сборник в честь акад. И. А. Орбели, М.-Л., 1960, стр. 289—291.

ერ ირანში რაიმე დიპლომატიური მისიის შესრულებისას, ან თვით პაპაკის იბერიაში ასეთივე მისიის ჩამოსვლისას. გ. მელიქიშვილი თვლის, რომ პირველი სასანიდების დროს, როდესაც ირანი ჯერ კიდევ ქართლისთვის საშიში არ ჩანდა, უკანასკნელის მმართველნი ალბათ თავისთვის უფრო ხელსაყრელად მიიჩნევდნენ ირანის მოკავშირეებად გამოსულიყვნენ რომის წინააღმდეგ[55].

უპირველეს ყოვლისა წარწერის ამირანაშვილისეული წაკითხვის შესახებ. სამწუხაროდ, მისი სისწორე სპეციალისტთა მიერ არ იყო შეფასებული[56]. თვალში გვეცემა მხოლოდ ის გარემოება, რომ ფალაური პალეოგრაფიის ისეთი დიდი სპეციალისტი, როგორიც გ. წერეთელი იყო, თავის დროს, არ თელიდა შესაძლებლად წარწერის სრულ გაშიფრვას. ამას გარდა, გ. წერეთელი არც იმას ამბობდა გადაჭრით, რომ წარწერაში მაინცა და მაინც იბერია არის დასახელებული, არამედ ფრთხილად აღნიშნავდა, რომ აქ მოიხსენიება რ ა ღ ა ც ქ ვ ე ყ ა ნ ა. „შესაძლოა იბერია“[57].

აღსანიშნავია ისიც, რომ არმაზისხევის არქეოლოგიური მასალის გამომცემლებიც. ლაპარაკობენ რა ამ პინაკის წარწერის შესახებ, წერენ: „ვერცხლი აქ ბევრგან შეხორკილ-ამოქმულია, რის გამოც წარწერის მნიშვნელოვანი ნაწილის წაკითხვა გაძნელებულია და ჩანს შეუძლებელიც“[58].

ბაგრამ წარწერის პალეოგრაფიული გაშიფრვის დამაჯერებლობაზე მსჯელობა ჩვენს კომპეტენციას სცილდება და ჩვენ თავს ვერ ვიდებთ ამ მხრივ შ. ამირანაშვილთან დავას. ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ სხვა გარემოებებს, რომლებიც, ჩვენის აზრით, ამირანაშვილისეულ წაკითხვას საეჭვოდ ხდის.

უპირველეს ყოვლისა, პაპაკ პიტიახშის შესახებ: წარწერის წერეთლისეული და ამირანაშვილისეული წაკითხვიდან გამოდის, რომ პირი, რომლის სახელითაა შედგენილი წარწერა, არდაშირ I-ის პიტიახში იყო, ხოლო არდაშირ I-ის პიტიახში პაპაკი ცნობილი არაა,

---

[55] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 393—394. შად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 566—567.

[56] მხოლოდ ვ. ლუკონინმა აღნიშნა მოკლედ, მაგრამ საკმაოდ კატეგორიულად: «Ш. Я. Амиранашвили предлагает совершенно фантастическое чтение надписи. Так например, две цифры в конце надписи читаются им как глагол dad (подарил) и как цифра 40 одновремено», В. Г. Луконин, Иран в эпоху первых Сасанидов, Л., 1961, стр. 59, прим. 5.

[57] Г. В. Церетели, Эпиграфические находки..., стр. 55.

[58] მცხეთა, ტ. I, 1955, გვ. 46.

თუნცა დოკუმენტურად დადასტურებულია, ვინ იყო არდაშირის დროს პიტიახში :„ზოროასტრის ქაბის“ წარწერაში არდაშირის კარის უმაღლეს მოხელეთა შორის დასახელებულია „პ ი ტ ი ა ხ შ ი ა რ დ ა შ ი რ“[59]. არდაშირის მოხელეთა შორის ნახსენებია „პაპაკიც“, მაგრამ ის პიტიახშის ტიტულს კი არ ატარებს, არამედ „ხაზარპატის“, ანუ სამეფო გვარდიის უფროსისას[60]. რაც შეეხება წარწერას პაიკულიდან, სადაც მართლაც არის ნახსენები პიტიახში პაპაკი, ეს წარწერა 293 წლით თარიღდება და ეკუთვნის შაჰან-შაჰ ნარსეს (293—302)[61]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნარსეს დროინდელი პიტიახში პაპაკი ამ თანამდებობაზე იყო არდაშირის დროსაც, მაგრამ ამას გამორიცხავს „ზოროასტრის ქაბის“ წარწერა, რომელშიაც არდაშირ 1-ის პიტიახშად დასახელებულია არდაშირი. ამდენად, თ უ კ ი ა რ მ ა ზ ი ს ხ ე ვ ი ს პ ი ნ ა კ ზ ე ა რ დ ა შ ი რ I-ი ს პ ი ტ ი ა ხ შ ი ა ნ ა ხ ს ე ნ ე ბ ი, ი ს შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა ა ტ ა რ ე ბ დ ე ს პ ა პ ა კ ი ს ს ა ხ ე ლ ს დ ა პ ი რ ი ქ ი თ, თ უ წ ა რ წ ე რ ა შ ი მ ა რ თ ლ ა ც პ ა პ ა კ პ ი ტ ი ა ხ შ ი ა დ ა ს ა ხ ე ლ ებ უ ლ ი, ი ს შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა ა რ დ ა შ ი რ I-ი ს პ ი ტ ი ა ხ შ ი ი ყ ო ს.

მეორე გარემოება, რომელიც აგრეთვე გვაეჭვებს შ. ამირანაშვილის მიერ შემოთავაზებული წაკითხვის სისწორეში, არის გურზანის (ქართლის, იბერიის) პიტიახშის არზამესის რეალურობა. საქართველოში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული მასალიდან ჩვენთვის დღეს კარგად არის ცნობილი, რომ ახ. წ. პირველ საუკუნეებში ქართლში მართლაც იყვნენ პიტიახშები, მაგრამ „ქართლის (იბერიის, გურზაანის) პიტიახშის“ არსებობა ამ დროს გამორიცხულია. ჩვენს ხელთ არსებული ყველა წყარო ასახელებს იბერიის მეფის პიტიახშებს: ზევახ ფარსმან მეფის მცირე პიტიახშს, შარაგასს — მიჰრდატ მეფის პიტიახშს, აგრიპა ფარსმან მეფის პიტიახშს; იბერიის მეფის პიტიახში უნდა იყოს ბორის თასის არმაზულ წარწერაში მოხსენიებული ბუზმირ „კეთილი პიტიახშიც“. გ. წერეთელმა დაადგინა, რომ იბერიის (ქართლის) მეფეებს ჰყავდათ რამდენიმე პიტიახში, ამასთან სხვადასხვა რანგისა (დიდი, მცირე, უბრალოდ პიტიახში) .რაც შეეხება ტიტულს „ქართლის (იბერიის) პიტიახში“, იგი გვიანდე-

---

[59] M. S p e n g l i n g, Third Century..., გვ. 7: (ფალ. ტექსტის სტრ. 24).

[60] M. S p r e n g l i n g, Third Century..., გვ. 7 (ფალ. ტექსტის 24-ე სტრ.).

[61] E. H e r z f e l d, Paikuly, The Monument and Inscriptions on the Early History of Sasanian Empire, vol. I, Berlin, 1924, ტექსტის მე 7—8 სტრ.

ლი მოვლენაა: IV ს. დამლევს და V ს. დასაწყისში, როდესაც ქართლი ირანისაგან ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცა, პიტიახშებს— ეხლა უკვე ერთს მთელს ქართლში—ნიშნავს სპარსეთის მეფე, როგორც ქართლის მეფის თანამმართველ-ზედამხედველს, ან ამ პროვინციის მმართველს. სპარსეთის მეფის სწორედ ეს მოხელეები ატარებდნენ „ქართლის პიტიახშის“ ტიტულს[62]. მაშასადამე, IV ს. ბოლომდე შეუძლებელია ლაპარაკი „ქართლის (იბერიის, გურზანის) პიტიახშზე“. ამდენად, არც არმაზისხევის პინაკის წარწერაში იქნება საკარაუდო არზამეს „გურზანის (აღმოსავლეთ საქართველოს) პიტიახში“ და ე. ი. შ. ამირანაშვილის მიერ მოცემული წაკითხვა წარწერის ამ ნაწილისა, ისტორიულად გაუმართლებელია.

ყოველივე ზემოთქმული ცხადჰყოს, რომ არმაზისხევის პინაკის წარწერის ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო წაკითხვა ვერ გამოდგება საფუძვლად რაიმე ისტორიული დასკვნების გასაკეთებლად, იგი ვერ გამოდგება მყარ დასაყრდენად ქართლისა და სასანური ირანის ურთიერთობის საკვლევად არდაშირ I-ის დროს.

სრულიად ახლებური წაკითხვა ამავე წარწერისა შემოგვთავაზა ვ. ლუკონინმა. იგი აღნიშნავს, რომ წარწერის პირველი და მეორე სიტყვები თავისუფლად იკითხება: P'pky bthšy; მესამე სიტყვა სამი ნიშნისაგან შედგება, აქედან მეორე წაშლილია, ხოლო მესამის ნაწილია შემორჩენილი. ამიტომ შესაძლოა ეს სიტყვა წაკითხულ იქნას ან როგორც bgy— ღვთაებრივი, ან მბრძანებელი (როგორც კითხულობდა გ. წერეთელი), ან როგორც BRH—ძე. შვილი: მეოთხე სიტყვა გარკვეულია, ესაა 'rthšt[r]. მაშასადამე, წარწერის დასაწყისი შესაძლოა წაკითხულ იქნეს ან ისე, როგორც კითხულობდა გ. წერეთელი: „პაპაკ, პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა“, ან კიდევ: „პაპაკ, პიტიახში, ძე არდაშირისა“. პირველი ვარიანტი, ვ. ლუკონინის აზრით, გამორიცხულია, რადგან არდაშირ I-ის მოხელეთა სჭაში არაა პიტიახში, რომელიც პაპაკის სახელს ატარებდეს (შეად. ზევით, გვ. 24). მაშ რჩება წარწერის დასაწყისის მხოლოდ მეორე ვარიანტი, ე. ი. „პაპაკ პიტიახში, ძე არდაშირისა..“

შემდეგი ოთხი სიტყვა, აღნიშნავს ვ. ლუკონინი, ძალზე ცუდად არის შენახული და ხარვეზები გაჭირვებით აღდგება. ყოველშემთხვევაში შედარებით ადვილად იკითხება BRH (ე. ი. ძე), შემ-

---

[62] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ.: Г. В. Церетели, Армазская билингва, Тб., 1941, стр. 50—62; Его же, Эпиграфические находки..., стр. 55—57.

დეგ ლაკუნაა, მერე 'rthštr („არდაშირ"), შემდეგ მოდის სამი ოუ ოთხი ნიშანი, რომელთა აღდგენა შეუძლებელია და შემდეგ კვლავ სიტყვა bthšy („პიტიახში"). ე. ი. წარწერის ეს ნაწილი იკითხება: „ძე... (თუ ძისა...) არდაშირისა პიტიახშისა"... მეცხრე და მეათე სიტყვები ეკვს არ იწვევს: MN ZWZN. სიტყვა ZWZN იკითხება სრულიად გარკვევით და შენახული ნიშნები არ იძლევა საშუალებას წავიკითხოთ აქ (g)-wrgn, როგორც ვარაუდობდა გ. წერეთელი. შემდეგ უნდა მოდიოდეს სიტყვა šymy(n), რაც წინა ორ სიტყვასთან ერთად გვაძლევს: „ზუზნა (დრაჰმა) ვერცხლისა" ...შემდეგ კი მოდის ნიშნები, რომლებიც პინაკის წონის აღმნიშვნელ ციფრს შეადგენენ — 253. საბოლოოდ, ვ. ლუკონინის აზრით, წარწერა ასე იკითხება: „პაპაკ პიტიახშის, არდაშირის ძის, ძისა... არდაშირისა, პიტიახშის [საკუთრება], დრაჰმა ვერცხლისა 253"[63].

ამრიგად, გამოდის, რომ ეს პინაკი სრულიადაც არ ეკუთვნის არდაშირ I მეფობის ხანას და ვ. ლუკონინის სამართლიანი ვარაუდით, აქ მოხსენიებული პიტიახში პაპაკი უნდა იყოს პაიკულის წარწერაში დასახელებული პაპაკ პიტიახში, ე. ი. წარწერის თარიღიც III ს-ის ბოლოსთვის გადადის, რადგან პაპაკ პიტიახში შაჰან-შაჰ ნარსეს თანამედროვეა. ამ თარიღს, ვ. ლუკონინის დაკვირვებით, კარგად ეთანხმება ავრეთვე პინაკის ძირზე გამოსახული რელიეფური პორტრეტის იკონოგრაფიული ანალიზი[64].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაახლოებით ასევე წაიკითხა არმაზისხევის პინაკის წარწერა ვ. ბ. ჰენინგმაც. ოღონდ პაპაკ პიტიახშის პაპის სახელად ვ. ბ. ჰენინგი ვარაუდობს „შაბურს", რადგან „ზოროასტრის ქაბის" წარწერაში შაბურ I-ის დროს პიტიახშად ზუსტად შაბურია დასახელებული[65]. ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ვ. ბ. ჰენინგიც წარწერის დასაწყისს თარგმნის: „პაპაკ პიტიახშის, არდაშირის ძისა..." და არა „პაპაკ, პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა...."

ზემოთქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ უკანასკნელად თავის სადოქტორო დისერტაციაში კ. მაჩაბელმა დაწვრილებით გააანალიზა პინაკის პორტრეტული გამოსახულება ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით და ავრეთვე მივიდა დასკვნამდე, რომ თავი-

---

[63] В. Г. Луконин, Иран в эпоху первых Сасанидов, стр. 60—61.
[64] იქვე, გვ. 60.
[65] W. B. Henning, A Sasanian Silver Bowl from Georgia, BSOAS, XXIV 1961, გვ. 353.

სი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებით ეს პორტრეტი III ს. მეორე ნახევარს განეკუთვნება[66].

ამრიგად, ირკვევა, რომ აღნიშნული პინაკი და მისი წარწერა ვერაფრით ვერ გამოდგება საბუთად არდაშირ I-ის დროს ქართლსა და ირანს შორის რაიმე ურთიერთობის სამტკიცებლად ან სავარაუდოდ.

საერთოდაც იბერიისა და ირანის კავშირი პირველი სასანიანი მეფის დროს არაა, ჩვენის აზრით, შესაძლებელი. რასაკვირველია, თავისთავად სავარაუდოა ქართლის მმართველ წრეებში არსებობა ანტირომაული ორიენტაციის ჯგუფისა, რომელიც ირანთან რომის საწინააღმდეგო კავშირს ემხრობოდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იბერია არდაშირის დროს ირანის მოკავშირედ ვიგულეოთ. არც ის არის გამორიცხული, რომ იბერიის მეფენი ხელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციაში ირანთან კავშირის დამყარებას ეცდებოდნენ, თუ კი ეს მათ პოლიტიკურ მიზნებს შეეფერებოდა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ არდაშირ I-ის ხანა ასეთი კავშირისათვის, ჩვენის აზრით, სწორედ არ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს.

როგორც ცნობილია, 230 წ. ე. ი. გამეფებიდან სამი წლის შემდეგ, არდაშირმა თავისი ჯარები მესოპოტამიის ქალაქებს შეუსია და სირიასა და კაპადოკიაში შეიყვანა. მდგომარეობა სერიოზული ჩანდა და აღმოსავლეთისაკენ თვით იმპერატორი ალექსანდრე სეველუსი დაიძრა. სპარსელთა წინააღმდეგ სამი არმია მოქმედებდა; ერთ-ერთი, რომელსაც თვით იმპერატორი სარდლობდა, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში იდგა, ორი დანარჩენი — არმენიასა და ევფრატის სანაპიროზე. არმენიაში რომაელებმა წარმატებებს მიაღწიეს, ხოლო სამხრეთის არმიამ სცადა სპარსეთში შეჭრილიყო და ირანის დედაქალაქამდე მიეღწია. მართალია, სპარსეთის ცხენოსანმა ჯარმა ამ არმიის გზა გადაუღობა და საკმაოდ სერიოზულადაც დააზარალა, მაგრამ 232 წ. რომში დაბრუნებული ალექსანდრე სეველუსი საზეიმო ტრიუმფს იხდის და თავს გამარჯვებულად აცხადებს[67].

მართალია, სპარსეთში თვლიდნენ რომ ირანის ცხენოსანმა ჯარ-

---

[66] К. Г. Мачабели, Торевтика древней Грузии (по материалам первых веков н. э., Автореферат, Тб., 1973, стр. 36.

[67] Б. Низе, Очерк римской истории и источниковедения, СПб, 1908, стр. 414—415; J. Harmatta, Minor Bactrian Inscriptions, გვ. 190—192.

ბა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია[68], მაგრამ ამ ომის შედეგები ერთგვარად გაურკვეველი იყო. ერთი რამ ცხადია, არდაშირმა რეალურ წარმატებას ვერ მიაღწია და რომმა თავისი პოზიციები შეინარჩუნა მესოპოტამიაშიაც და არმენიაშიაც. წარმატებით მოქმედებს არმენიაში რომაელი სარდალი იუნიუს პალმატუსი 234 წელსაც[69].

ახალი ომი რომსა და ირანს შორის 237 წ. დაიწყო; ამ ომში, რომელიც 240 წლამდე გაგრძელდა, ირანის არმიას არდაშირ I-ის უფროსი ვაჟი, მოძავალი შაჰან-შაჰი შაბურ I სარდლობდა, მაგრამ ამ ომშიაც ირანს რაიმე სერიოზული და მყარი წარმატებებისთვის არ მიუღწევია. მართალია, სპარსეთის ხელში დროებით გადავიდა ჩრდილოეთ მესოპოტამიის რამდენიმე ქალაქი, კერძოდ კარრა, ნისიბისი, ანტიოქია და ხატრა, მაგრამ ევფრატის გადალმა და არმენიაში სპარსელთა ჯარს შედეგიანი ბრძოლა ვერ უწარმოებია და აქ რომის ხელისუფლება კვლავ მყარი რჩებოდა[70]. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, აღებული ქალაქებიც სპარსეთს მალე დაუკარგავს რადგან შემდეგ შაბურ I-ს ხელახლა უხდება მათი აღებისათვის ბრძოლა[71].

ამრიგად, არდაშირ I-ის მეფობის მთელ მანძილზე სასანიანთა საგარეო პოლიტიკას არ ჰქონია ისეთი მნიშვნელოვანი შედეგები, რომ ამას იბერიის მმართველი წრისათვის ებიძგა სპარსეთთან დაედო კავშირი რომის საწინააღმდეგოდ. ქართლის უშუალო სიახლოვეს — არმენიაში, მცირე აზიაში, სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში — რომის პოზიციები მტკიცე იყო და ასეთ სიტუაციაში ქართლის მეფეთა მცდელობა შეკავშირებოდნენ ირანს და მით უფრო მათთან ოფიციალური კავშირი დაედოთ, სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა.

რაც შეეხება შაბურ I-ის ხანას, მის დროს, როგორც ეს „ზოროასტრის ქაბის" წარწერის ზემომოტანილი კონტექსტიდან ჩანს, იბერია მოქცეულია ირანის შაჰან-შაჰის მოხარკე ქვეყნებს შორის, ხოლო მისი მეფე ამაზასპი კი ირანის ხელქვეით მოხელედაა ქცეული.

---

[68] Herodian., VI, 6; В. Г. Луконин, Завоевания Сасанидов..., стр. 26; Его же, Культура сасанидского Ирана, М., 1969, стр. 51.

[69] იხ. ზევით, გვ. 16.

[70] W. Ensslin, Zu den Kriegen des Sassaniden Schapur I, München, 1949, გვ. 6; J. Harmatta, Minor Bactrian Inscriptions, გვ. 193.

[71] იხ. ქვევით, გვ. 32.

როდის უნდა დაქვემდებარებოდა ქართლი ირანს და რა რეალური ხასიათი ჰქონოდა ამ დამოკიდებულებას?

242 წ. რომის იმპერატორმა გორდიანუს III-მ დაიწყო ლაშქრობა აღმოსავლეთში; ლაშქრობა წარმატებით დაიწყო, მაგრამ კატასტროფით დამთავრდა: 243 წ. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ქ. მესიხასთან, რომის არმიამ მარცხი განიცადა, ხოლო გორდიანუს III ბრძოლაში დაიღუპა[72]. ახალმა იმპერატორმა ფილიპე არაბმა ზავი ითხოვა და კონტრიბუციის გადახდის საფასურად დაეზავა კიდევაც სპარსელებს. „ზოროასტრის ქაბის“ წარწერაში შენახულია ამ ომისა და მისი დასასრულის მოკლე აღწერა[73]: „და როდესაც მე განვიმტკიცე მმართველობა, გორდიანემ, კეისარმა, შეაგროვა ჯარი რომაელთა მთელ სახელმწიფოდან, გუთებისა და გერმანელებისაგან და გამოილაშქრა ასურისტანისკენ, ირანშაჰრისა და ჩვენს წინააღმდეგ. და ასურისტანის საზღვრებთან, ქალაქ მესიხასთან მოხდა დიდი ბრძოლა. გორდიანე კეისარი მოკლულ იქნა და რომაელთა ჯარი გაფანტული; ხოლო რომაელებმა კეისრად დასვეს ფილიპე; და ფილიპე კეისარი მოვიდა ჩვენს წინაშე და ითხოვა ზავი და, მოგვცა რა 500 ათასი დინარი თავის მეგობართა სიცოცხლისათვის, გახდა ჩვენი მოხარკე; და ამის გამო მესიხას ვუწოდეთ „ფეროზ-შაბური (ე. ი. „შაბურის გამარჯვება“ — ნ. ლ.)“

ამ ტექსტიდან ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ შაბურ I-ის წარწერაში, ფილიპე არაბთან დადებული ზავის შესახებ ლაპარაკისას, არაფერია ნათქვამი სპარსეთის რაიმე ტერიტორიულ მონაპოვარზე და აღნიშნულია მხოლოდ, რომ ფილიპეს გადაუხდია 500 ათასი დინარი კონტრიბუცია. საქმე ისაა, რომ ბიზანტიურ წყაროებში შენახულია ცნობები, რომლის თანახმად ფილიპე არაბმა სპარსელებთან ზავი იყიდა შაბურ I-თვის მესოპოტამიისა და არმენიის დათმობის ფასად. მაგრამ ესოდენ დამამცირებელმა ზავის პირობებმა ისეთი აღშფოთება გამოიწვია რომის მაღალ წრეებში, რომ ფილიპემ არ შეასრულა ზავის პირობები და მესოპოტამიასა და არმენიაში თავისი გარნიზონები დატოვა. ასე აქვს ეს ამბები

---

[72] გორდიანუს III ბრძოლაში დაღუპვა აღნიშნულია „ზოროასტრის ქაბის“ წარწერაში, მეორე ვერსიით ის მოაკვლევინა პრეტორიის პრეფექტმა ფილიპე არაბმა — მომავალმა იმპერატორმა, SHA, XX, 30, 9.

[73] ტექსტი მოგვაქვს მ. შპრენგლინგის გამოცემით: Third Century..., 23. 7. ფალაური ტექსტის 3—4 სტრ., ბერძნულად ეს ნაწილი შენახული არაა.

აღწერილი XII ს. ბიზანტიელ ქრონისტს იოანე ზონარას[74], ხოლო VI ს-ის ისტორიკოსი ევაგრე სქოლასტიკოსი კი აღნიშნავს, რომ არმენია, რომელიც მანამდე რომაელების ქვეშევრდომი იყო, გორდიანეს მომდევნო მმართველმა ფილიპემ სპორს, ანუ შაბურ I გადასცა და რომაელებს მხოლოდ მცირე არმენია დარჩათ[75].

უკანასკნელი ცნობა თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ფილიპე არაბის დროს არმენია უკვე სპარსეთის ქვეშევრდომი გახდა. მაგრამ ჯერ კიდევ თ. მომზენი აღნიშნავდა, რომ როგორც ზონარას ცნობებიდან ჩანს, არმენია რეალურად არ გადასულა ამ დროს სპარსელთა ხელში, ხოლო ევაგრეს ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ არმენიის მეფის დამოკიდებულება რომზე ამ ზავის შემდეგ მხოლოდ ნომინალური იყო[76].

მაგრამ „ზოროასტრის ქაბის" წარწერაში, როგორც ვნახეთ, არაფერია ნათქვამი ფილიპე არაბის ტერიტორიულ დათმობებზე. ხოლო ასეთი ხასიათის ძეგლში, შაბურ I მოღვაწეობა ერთგვარი გაზვიადებით არის მოცემული, საეჭვოა არ ყოფილიყო აღნიშნული ზავის პირობების ეს მხარე, თუნდაც რომ ის შემდეგ შესრულებულიც არ ყოფილიყო.

მეორე მხრივ, მოვსეს ხორენაცი მოგვითხრობს, რომ სომხეთის მეფეს ხოსროვს სწორედ ფილიპე არაბის დროს დაუწყია ბრძოლა სასანიდების წინააღმდეგ[77]. მართალია სომეხი ისტორიკოსი არდაშირ I ასახელებს შაბურ I-ის ნაცვლად და თანაც აშკარა გაზვიადებით აგვიწერს ხოსროვის წარმატებებს, მაგრამ, ამასთან, იგი ისე ზუსტად გადმოგვცემს რომის იმპერატორთა თანამიმდევრობას ამ საკმაოდ რთულ ხანაში, რომ ძნელია მისი წყაროების საბოლოობაში ეჭვის შეტანა.

ამრიგად, „ზოროასტრის ქაბის" წარწერის, მოვსეს ხორენაცის და იოანე ზონარას ცნობათა ურთიერთშედარება საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ 244 წ., როცა დაიდო ზავი ფილიპე არაბსა და შაბურ I შორის, სპარსეთს არ უნდა მიეღო ტერიტორიები

---

[74] Ioann. Zonar., Epitom., XII, 19.

[75] Euagr., Eccl. hist., V. 7.

[76] Т. Моммзен, История Рима, т. V, стр. 380.; ჰ. მანანდიანიც ვარაუდობს, რომ სომხეთი ამის შერე სრულიად დამოუკიდებელი იყო, ხოლო ფილიპესთან ზავის პირობები შეეხებოდა მხოლოდ მცირე არმენიას, (მოგვყავს ლ.-ნ. ჯანაშიას წიგნის „ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ", 1962, გვ. 74 მიხედვით).

[77] მოვსეს ხორენაცი, II, 72.

და არმენიაც კლავინდებურად სპარსეთისაგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. ამრიგად ჩვენ საფუძვლიანად არ მიგვაჩნია იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც არმენიის შემოერთებას შაბურ I-ის მიერ 244 წლით ათარიღებენ[78]. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. დიაკონოვი, რამდენადაც რომაელების მიერ გადახდილი კონტრიბუციაც არ იყო დიდი, რომაელთა მარცხი მესიხასთან არც ისე სრული უნდა ყოფილიყო, როგორც ეს შაბურ I-ის წარწერაშია აღწერილი[79].

რამდენადაც ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სპარსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ სომხეთს ჰქონდა და თანაც უკანასკნელი უშუალოდ ემიჯნებოდა სპარსეთის ტერიტორიას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დანარჩენ ქვეყნებზე — იბერიასა და ალბანეთზე — თავისი გავლენის გავრცელებას და აქ ფეხის მოკიდებას შაბურ I მხოლოდ არმენიაზე გაბატონების შემდეგ შეძლებდა. ამდენად, ჩვენის აზრით, ქართლის დაქვემდებარებაც შაპან-შაჰისადმი არ შეიძლებოდა 244 წლამდე მომხდარიყო.

შემდგომი დროის მოვლენებისათვის წყაროები მეტად მწირ ცნობებს შეიცავენ და მათი აღდგენა ზუსტი ქრონოლოგიით ძალზე ძნელია.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ არმენია ირანს 244—253 წლებს შორის უნდა დაეპყრო[80]. ასეთი ქრონოლოგიისათვის საფუძველს იძლევა შემდეგი ფაქტები: „ზოროასტრის ქაბაბის“ წარწერაში მოთხრობილია, რომ ფილიპე არაბთან დადებული ზავის შემდეგ ირანული არმია შეიჭრა არმენიაში და დაიკავა იგი; ამის მერე წარწერაში ნათქვამია: „...კეისარმა კვლავ მოგვატყუა და ბოროტება ჩაიდინა არმენიაში. და ჩვენ თავს დავესხით რომის ქვეყანას“[81]. ამის შემდეგ კი აღწერილია საკმაოდ დიდი ომი, რომელიც ჯერ სირიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ხოლო გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ევფრატის შუა წელზე მდებარე ციხესიმაგრე ბარბალისასთან. ამ ბრძოლაში, წარწერის მიხედვით, რომაელები სას-

---

[78] E. Honigmann, A. Maricq, Recherches..., გვ. 131—150; A. Christensen. L'Iran..., გვ. 221; М. М. Дьяконов, Очерки..., стр. 261; История Ирана, стр. 41.

[79] М. М. Дьяконов, Очерки..., стр. 261.

[80] E. Honigmann, A. Maricq, Recherches..., გვ. 131—151; J. Harmatta, Die parthische Ostraca aus Dura-Europos, AAH, V, გვ. 156; В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, стр. 57.

[81] M. Sprengling, Third Century..., გვ. 10, ფალ. ტექსტის მე-5 სტრ.

ტიკად დამარცხდნენ და სპარსული არმია შეიჭრა სირიაში, ხოლო შემდეგ კილიკიასა, კაპადოკიასა და მცირე არმენიაში, სპარსელებმა აიღეს[37] ქალაქი და ციხესიმაგრე, მათ შორის დურა-ევროპოსი, ანტიოქია და სხვ[82].

მკვლევრები ბარბალისასთან ბრძოლას 254 ან 255 წლით ათარიღებენ. რადგან ამ ბრძოლის აღწერას „ზოროასტრის ქაბის" წარწერაში წინ უსწრებს ცნობა იმის შესახებ, რომ კეისარმა არმენიაში „ბოროტება ჩაიდინა", ამ უკანასკნელს კი წინ უსწრებს ცნობა, არმენიის დაკავების შესახებ, მკვლევართ მოვლენათა ასეთი თანამიმდევრობა აქვთ ნავარაუდები: 244 წ. ფილიპე არაბთან დადებული ზავის შემდეგ, რომელიღაც წელს შაბურ I დაულაშქრავს და დაუკავებია არმენია, შემდეგ რომის იმპერატორს რაღაც ინტრიგები გაუბამს არმენიაში, ალბათ აქ თავისი გავლენის აღდგენის მიზნით, რასაც მოყვა ბარბალისასთან რომაელების დამარცხება. ბარბალისასთან ბრძოლა ირანსა და რომს შორის მეორე ომის ერთ-ერთი ეტაპის დამამთავრებელი ეპიზოდი იყო, ამდენად ეს ომი უფრო ადრე, დაახლოებით 253 წელს უნდა დაწყებულიყო, მაშასადამე, არმენია რომს 244 და 253 წლებს შორის უნდა დაეპყრო.

მოვლენათა თანმიმდევრობა დამაჯერებლად გამოიყურება, ნაგრამ არმენიის დაპყრობის უფრო ზუსტი თარიღი მაინც მთლიანად გარკვეული არაა. საქმე ისაა ,რომ „ზოროასტრის ქაბის" წარწერის მონაცემებს თითქოს ეწინააღმდეგება მოვსეს ხორენაცის ცნობები. სომეხი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ სომხეთი ფილიპე არაბის შემდეგაც კარგა ხანს ინარჩუნებს დამოუკიდებლობას: მეფე ხოსროვი სპარსელთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას განაგრძობს ფილიპეს მომდევნო იმპერატორების დეციუსის, გალუსის და ვალერიანეს დროსაც. მხოლოდ უკანასკნელის დროს სპარსეთის მეფის მიერ მოგზავნილმა ანაკმა მოკლა ხოსროვი და ამას მოჰყვა სომხეთის ანექსია[84].

ცხადია, მოვსეს ხორენაცის მონაცემთა გამოყენებისას, როგორც აღნიშნული გვქონდა, სათანადო სიფრთხილეა საჭირო. კერძოდ, ძნელი დასაჯერებელია ის დიდი წარმატებები და ირანის წი-

---

[82] M. Sprengling, Third Century..., გვ. 11—12, ფაღ. 5—9.

[83] E. Honigmann, A. Maricq, Recherches..., გვ. 131 — 135; J. Gagé, La montée des Sassanides, Paris, 1964, გვ. 158; В. Г. Луконин, Завоевания Сасанидов..., стр. 33—34.

[84] მოვსეს ხორენაცი, II. 72—76.

ნაალმდეგ ძლევამოსილი ლაშქრობები, რომელსაც მოვსეს ხორენაცი სომხეთის მეფეს მიაწერს[85]. მაგრამ, ამასთან ერთად, სომეხ ისტორიკოსს ისე ზუსტად აქვს მოცემული რომის იმპერატორთა თანამიმდევრობა და რომის შინაგანი ვითარება, რომელიც ამ იმპერატორებს ხელს უშლიდა სომხეთის მეფეს დახმარებოდნენ, რომ ძნელია მისი წყაროების სანდოობაში ეჭვი შევიტანოთ. ამავე დროს, „ზოროასტრის ქაბის" მონაცემებიც არ იძლევა ზუსტ თარიღებს და არსაიდან არ ჩანს, რომ ყველა ზემომოტანილი ამბავი, რომელიც ბარბალისასთან ბრძოლას წინ უსწრებდა, რამდენიმე წლის მანძილზე ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ ვ. ლუკონინმაც თავის ერთერთ უკანასკნელ სტატიაში სწორედ მოვსეს ხორენაცის და სხვა წყაროთა მონაცემების შეჯერების საფუძველზე აღნიშნა, რომ 246 წ[86]. კვლავ დაიწყო ომი ირანსა და რომს შორის არმენიის გამო. მისი აზრით, საკარაუდოა ომის ორი ეტაპი: პირველი, როცა ხოსროვი თვით ლაშქრობს ირანზე (დაახლ. 249 წ.) და მეორე, როცა შეტევაზე გადადის შაბურ I—252-253 წწ. ეს უკანასკნელი ეტაპი მთავრდება ხოსროვის დაღუპვით. „როგორც ჩანს — წერს ვ. ლუკონინი— სწორედ ამ დროს არმენიაში დაინიშნა ტახტის მემკვიდრედ ჰორმიზდ-არდაშირი"[87].

ამრიგად, ამ წერილში ვ. ლუკონინი აზუსტებს თარიღს: თუ სხვა ნაშრომში[88] მას არმენიის დაპყრობა 244—253 წლებს შორის აქვს მოქცეული, აქ ის არმენიის ანექსიის თარიღად 252—253 წწ. ასახელებს[89].

რომაელებმა, როგორც ეს სომხური წყაროებიდან ირკვევა, თავშესაფარი მისცეს მოკლული ხოსროვის ვაჟს თრდატს. სწორედ ამასთან უნდა იყოს, ვ. ლუკონინის აზრით, დაკავშირებული „ზოროასტრის ქაბის" წარწერის ცნობა, რომ კეისარმა არმენიაში

---

[85] მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, II, 73.

[86] წერილში წერია 256 წ., მაგრამ ეს კორექტურული შეცდომაა, რადგან ამ ომის მეორე ეტაპი აკტორს 252—253 წლით აქვს დათარიღებული .

[87] В. Г. Л у к о н и н, Завоевания Сасанидов..., стр. 35.

[88] В. Г. Л у к о н и н, Культура Сасанидского Ирана, стр. 57.

[89] თავისი სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატშიაც ვ. ლუკონინი ამ ომის თარიღად ასახელებს 250—256 წწ., В. Г. Л у к о н и н, Раннесасанидский Иран, некоторые проблемы истории и культуры, Л., 1970, стр. 15; არმენიის დაპყრობის თარიღად 252 ამ 253 წ. ასახელებს თ. მომზენიც: История Рима, т. V стр. 387.

„ბოროტება ჩაიდინა", რის გამოც შაბურ I რომს თავს დაესხა; ეს, ვ. ლუკონინის აზრით, 254—255 წ. უნდა მომხდარიყო[90].

მაგრამ, ჩვენის აზრით, თუ კი მოვსეს ხორენაცის ცნობებს დაკვეყრდნობით, თარიღის უფრო დაზუსტება შეიძლება: რამდენადაც ხორენაცის ორგზისი მითითებით, ხოსროვის მოკვლა იმპერატორ ვალერიანეს დროს მოხდა, ხოლო უკანასკნელი ტახტზე 253 წლის 22 ოქტომბერს ავიდა, სომხეთის საბოლოო ანექსიაც ამ თარიღის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მოვლენათა მსვლელობა შემდეგნაირად გვესახება: ფილიპე არაბთან დადებული ზავის შემდეგ არმენიის საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა, ირანი მიზნად ისახავდა სომხეთის დაკვემდებარებას და აქ თავისი გავლენის დამყარებას. რამდენადაც მოსეს ხორენაცი ორგზის დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ ხოსროვის მოკვლა და არმენიის დაპყრობა იმპერტორ ვალერიანეს დროს მოხდა, თავისი მიზნის განხორციელება შაბურ I-მა მხოლოდ 253 წ. ოქტომბრის შემდეგ მოახერხა და ამ, ან მომდევნო წელს დაიპყრო სომხეთი; მაგრამ, რადგან ხოსროვის ვაჟი და ანტიირანულად განწყობილი სომეხი ნახარარები რომში გაიქცნენ, რომი არ კარგავდა იმედს არმენიაში თავისი პოზიციების აღდგენის შესაძლებლობაზე და ცდილობდა აქ თრდატის გამეფებას — „კეისარმა კვლავ მოგვატყუა და ბოროტება ჩაიდინა არმენიაში". ამას მოჰყვა ირანელთა ახალი თავდასხმა რომის აღმოსავლურ პროვინციებზე და ნათი მარცხი ბარბალისასთან, რამაც განაგტკიცა ირანელთა ბატონობა სომხეთში. ვ. ლუკონინის გამოკვლევით, 256 წ. რომსა და ირანს შორის დროებით ზავი დაიდო; ამას იგი ნაკშ-ი რუსტამის ერთერთი რელიეფის ანალიზით არკვევს[91]. სხვა წყაროებში ამ ზავზე ცნობები შენახული არაა, ამიტომ ჩვენ არ ვიცით მისი პირობები, მაგრამ ბარბალისასთან გადამწყვეტი მარცხის და შაბურის კილიკიასა, სირიასა, კაპადოკიასა და მცირე არმენიაში ძლევამოსილი რეიდის შემდეგ, რომს უნდა ეცნო ირანის დაპყრობათა დიდი ნაწილი; ყოველშემთხვევაში ქ. დურა-ევროპოსი ამის მერე კარგა ხნით ირანის ხელში რჩება[92]. უნდა ვიფიქროთ, რომ 256 წ. რომი

---

[90] В. Г. Луконин, Завоевания Сасанидов.... გვ. 33—34.
[91] В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, стр. 57—58.
[92] R. Ghirshman, Parthes et Sassanides, Paris, 1962, fig. 223.

იძულებული იყო ეცნო არმენიის გადასვლა ირანელთა ქვეშევრდომობაში.

სწორედ ბარბალისასთან გამარჯვების შემდეგ უნდა მომხდარიყო ირანის დამკვიდრებაც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე — მახელონიაში (იხ. ზევით, გვ. 14), რადგან საამისოდ ხელსაყრელი სიტუაცია სწორედ ამ დროს შეიქმნა, რამდენადაც დალაშქრულ იქნა მახელონიის მეზობელი კაპადოკია და მცირე არმენია.

დაახლოებით ამავე ხანებისათვის უნდა ვივარაუდოთ აგრეთვე იბერია-ქართლზე სპარსეთის გავლენის დამყარებაც. ასეთ ვარაუდს თითქოს ისიც ამაგრებს, რომ ლეონტი მროველთან ქართლში სპარსელთა შემოსვლა და აქ მათი დამკვიდრება სომხეთის მოვლენებთან, კერძოდ ხოსროვის (კოსაროს) მოკვლასა და სომხეთის დაპყრობასთანაა უშუალოდ დაკავშირებული[93]. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ქართლში სპარსელთა გავლენის დამკვიდრება მაინცა და მაინც არმენიაზე გაბატონების წელს უნდა დამთხვეოდა, მაგრამ ამ ორი მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირება, ვფიქრობთ, გამართლებულია და ის ვითარება, რომელიც „ზოროასტრის ქაბის" წარწერაში ქართლის მიმართ არის დადასტურებული, III ს. 50-იან წლებზე ადრე არ უნდა შექმნილიყო.

ახლა ჩვენს წინაშე დგება საკითხი, როგორი იყო ის რეალური დამოკიდებულება, რომელშიაც ქართლი სასანური სპარსეთის მიმართ იმყოფებოდა. „ზოროასტრის ქაბის" წარწერა თითქოს ეჭვს არ სტოვებს ამ დამოკიდებულების ხასიათში: იბერია სპარსეთის ირანშაჰრში, ე. ი. სპარსეთის მეფის დომენშია დასახელებული, ხოლო მისი მეფე ამაზასპი შაჰან-შაჰის ხელქვეით მოხელეთა შორისაა ნახსენები.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ იბერიის დამოკიდებულება ირანზე უფრო სამოკავშირეო ურთიერთობას გულისხმობს, ვიდრე დაპყრობის გზით დამყარებულ ბატონობას. გ. მელიქიშვილი წერს, რომ „ზოროასტრის ქაბის" წარწერა არ იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ქართლი იარაღის ძალით იყო დაპყრობილი ამაზასპი გვევლინება ირანის ერთერთ დიდმოხელედ და დასახელებულია მეოთხე ადგილზე ადიაბენისა და კერმანის მეფეებისა და დედოფალ დენაკის შემდეგ, უფლისწულთა და ყველაზე გავლენიან საგვარეულოთა — სურენებისა და ჯა-

---

[93] ქართლის ცხოვრება, წ. I, გვ. 59—62.

რენების წარმომადგენელთა წინ; ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ამაზასპის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ირანის მეფის ერთერთ ყველაზე გავლენიან მოკავშირესთან[94].

3. ლუკონინიც შენიშნავს, რომ, თუმცა იბერია, ადიაბენა და კერმანი წარწერაში ხელქვეით ქვეყნებად არიან დასახელებული, მაგრამ რეალურად ისინი მოკავშირეები იყვნენ (ირანთან კონფედერაციაში შედიოდნენ) და მათ ადგილობრივი დინასტიების წარმომადგენელნი მართავდნენ[95].

საქმე ისაა, რომ „ზოროასტრის ქაბის" წარწერა თავისი ხოტბითი, გამარჯვებათა განმადიდებელი ხასიათის გამო, ყოველთვის ზუსტად არ ასახავს ამა თუ იმ ქვეყანასთან დამოკიდებულების ნამდვილ შინაარსს. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე იყო აღნიშნული, რომ თავის მოხარკეთა შორის შაბურ I წარწერაში რომის იმპერატორს ფილიპე არაბსაც ასახელებს: „...და კეისარი ფილიპე მოვიდა ჩვენს წინაშე და მოგვცა 500 ათასი დინარი.... და გახდა ჩვენი მოხარკე"[96]. მართალია, ფილიპე არაბმა კონტრიბუცია გადაიხადა, მაგრამ, ცხადია, ის სპარსეთის მეფის მოხარკე არ გამხდარა.

ამას გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ შაბურ I-ის დროს ქუშანის სამეფო არ იყო მთლიანად დაპყრობილი. მას მხოლოდ ცალკეული პროვინციები ჩამოაჭრეს; ამავე დროს „ზოროასტრის ქაბის" წარწერაში შაბურ I გამოცხადებულია მთელი ქუშანის მფლობელად[97]. როგორც აღნიშნავს ვ. ლუკონინი, „რამდენადაც ამ დროს ნამდვილად არ არსებობდა „ქუშანთა მეფის" ტიტული, მაშასადამე ქუშანშაჰი არ შედიოდა სასანიანი უფლისწულების სამფლობელოებში, ხოლო აქ ე. წ. „სამეფო ქალაქთა" არარსებობა ამტკიცებს, რომ ის არც მეფეთა-მეფის „დომენში" შედიოდა; ამდენად, სერიოზულად შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ შაბურის პრეტენზია იმაზე, რომ ქუშანთა სამეფო ვალდებული იყო ირანის მიმართ „ხარკით"... „ზოროასტრის ქაბის"

---

[94] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 393—394.

[95] В. Г. Луконин, Завоевания Сасанидов..., стр. 32; Его же, Культура сасанидского Ирана, стр. 128.

[96] M. Sprengling, Third Centur..., გვ. 7, ფალ. ტექსტის მე-4 სტრ.

[97] E. Honigmann, A. Maricq, Recherches..., გვ. 94—98; W. B. Henning, Notes on the Instcription of Sapur I, «R. Jackson Memorial Volume», Bombey, 1954, გვ. 48—50; В. Г. Луконин, Завоевания Сасанидов.. стр. 34—37.

წარწერის საერთო ძლევითი (победный) ხასიათი აგრეთვე გვაძლევს საფუძველს ჩავთვალოთ, რომ „ქუშანშაჰრის" შეტანა ირანის იმპერიის შემადგენლობაში, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ მასზე ბატონობის პრეტენზიას"[98].

მაგრამ, მეორე მხრით, ჩვენს განკარგულებაშია კიდევ ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც თითქოს სრულიად გარკვევით მიუთითებს ირანული არმიის შეკრაზე იბერიაში შაბურ I-ის დროს. ესაა ირანის დიდი მაგუპატის (უმაღლესი ქურუმის) კ ა რ ტ ი რ ი ს წარწერა იმავე „ზოროასტრის ქაბახე", სადაც ნათქვამია:

„და მე, კარტირმა, იმთავითვე ღმერთებისა და მეუფეთა სამსახურში და სულისა ჩემისა გამო ბევრი შრომა და ტანჯვა განვიცადე, ჩემი წყალობით მრავალნი ცეცხლნი (იგულისხმება ცეცხლის ტაძრები, — ნ. ლ.) და მოგვნი ირანის მთელ ქვეყანაში... ასურისტანში... მეშანში, �რუპატაკანში. სპაჰანში. ხვიში. კერმანში, საკასტანში, გურგანში... მერვში, გერათში... აპარშაჰრში. ვიდრე პეშევარამდე, გაიფურჩქნენ. და აგრეთვე არაირანის ქვეყნებში ცეცხლნი და მოგვნი, ვინც კი იყვნენ არაირანში, იქ. სადაც შაბურის, მეფეთა-მეფის ცხენებმა და ხალხმა (მეომრებმა — ნ. ლ.) მიაღწიეს — ქალაქი ანტიოქია და ქვეყანა სირია და ის, რაც სირიის პროვინციაშია, ქალაქი ტარსი და ქვეყანა კილიკია და ის, რაც კილიკიის პროვინციაშია, ქალაქი კაისარია და ქვეყანა კაპადოკია და ის, რაც კაპადოკიის პროვინციაშია, ვიდრე საბერძნეთის ქვეყნამდე. ქვეყანა არმენია და იბერია, და ალბანია და ბალასკანი. ვიდრე ალბანთა (თუ ალანთა?) კარამდე — იქ სადაც შაბურმა, მეფეთა-მეფემ, ცხენებითა და ხალხით თვით... ნგრევა და ხანძარი და... მოახდინა, იქ მეფეთა-მეფის ბრძანებით მოგვნი, ვინც კი ამ ქვეყნებში იყვნენ. გავაერთიანე მაგუსტანში[99]".

მიუხედავად იმისა, რომ ხარვეზების გამო წარწერის ზოგი ადგილის ზუსტი თარგმნა ჭირს, ერთი რამ აშკარაა: მაგუპატ კარტირის ცნობით შაბურ I-ის დროს მისი „ცხენები და მეომრები" ყოფილან იბერიაში, რაც თითქოს ამ ქვეყნის დაპყრობას შეიძლება ნიშნავდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, საყურადღებოა ის გარემოება, რომ, როცა იბერიაზეა ლაპარაკი, აქ თითქმის სიტყვა-სიტყვითაა

---

[98] В. Г. Л у к о н и н. Культура сасанидского Ирана, стр. 126—128.

[99] ამ წარწერის სხვა ვარიანტებიც არსებობს. წარწერის ტექსტის თარგმანი მოგვაქვს ვ. ლუკონინის შრომიდან.: Картир и Мани, ВДИ, 1966, № 1, 76. აქვე, ამ წარწერის შესახებ.

გამეორებული „ზოროასტრის ქაბის“ შაბურ პირველისეული წარწერის ტექსტი. „...ირმენია, იბერია, სიკანი (მახელონია), ალბანია, ბალასკანი, კიდრე კაპის მთებამდე და ალანთა კარამდე...“ (იხ. ზევით გვ. 21). ამდენად გამორიცხული არაა, რომ კარტირი ეყრდნობა რა შაბურ I-ის წარწერას, იმეორებს უკვე თავისებურ ფორმულად ქცეულ ჩამოთვლას ირანის შაჰან-შაჰის ხელქვეითი ქვეყნებისა და ყველა მათ შაბურისაგან დალაშქრულად აცხადებს[100].

მეორე მხრივ, შაბურ I-ის „ცხენთა და მეომართა“ ამა თუ იმ ქვეყანამდე მიღწევა, ე. ი. მისი დალაშქვრა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ ქვეყნის მყარად დაპყრობას. როგორც აღნიშნული იყო, იბერიაში, ადიაბენასა და კერმანში რეალურად ადგილობრივი დინასტიების წამომადგენლები მეფობდნენ და ირანულ წარწერებში მათი მოხსენიება უნდა ნიშნავდეს მხოლოდ იმას, რომ ისინი ნებით თუ ძალდატანებით შესულნი იყვნენ ირანის მოკავშირეთა რიგებში.

გ. მელიქიშვილის აზრით, „ზოროასტრის ქაბის“ წარწერის მონაცემებს იბერიის მეფის ამაზასპის ირანისადმი ქვეშევრდომობის შესახებ, ადასტურებს ლეონტი მროველის ცნობები ქართლის მეფის ამაზასპის შესახებ. ლეონტის ცნობით, ამაზასპმა „შეიყუარნა სპარსნი“ თავის მეფობის ბოლო წლებში. ამის გამო მას განუდგნენ ერისთავნი, რომელთაც მოიხმეს დამხმარედ სომხები, ოვსნი და ბერძენნი (რომაელები). ამაზასპმა, თავის მხრივ, მოუწოდა სპარსელებს: ომში ამაზასპი, დამხმარე სპარსთა ჯარითუთრ, დამარცხდა და მოკლულ იქნა[101]. გ. მელიქიშვილის აზრით, ეს მოთხრობა დამამტკიცებელია, რომ შაბურ I-ის წარწერაში მოხსენიებული ამაზასპი პროირანული ორიენტაციის მქონეა, ხოლო მისი მარცხის ქვეშ იგულისხმება ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან დამარცხებათაგანი, რომელიც ირანმა განიცადა რომთან ომებში შაბურ I-ის შემდეგ, ე. ი. III ს. ბოლოს[102].

მაგრამ ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია ამ ორი ამაზასპის გაიგივება. საქმე ისაა, რომ ლეონტი მროველის მონაცემებით, ამაზასპი ბევრად უფრო ადრე ცხოვრობდა, კიდრე შაბურის თანამედროვე იბერიის მეფე. როგორც აღნიშნული იყო, ლეონტის მიხედვით, ირანში სასანიანები გამეფდნენ ქართლში ასპაგურის მეფობის დროს,

---

100 ვ. ლუკონინი შენიშნავს, რომ შაბურის წარწერაში ოლქების ჩამოთვლა მალე იქცა სტანდარტულ ოფიციალურ ფორმულად: Культура сасанидского Ирана, стр. 126.

101 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 57.

102 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 394.

ხილო ამაზასპი ასპაგურზე ბევრად ადრე მართავდა ქართლს—მასა და ასპაგურს შორის კიდევ ოთხი მეფეა დასახელებული[103]. მართალია, „მეფეთა ცხოვრებაში“ ხშირია ანაქრონიზმები, მოვლენათა და ისტორიულ პირთა აღრევა და სხვა შეცდომები, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს არავითარი რეალური საბუთი „მეფეთა ცხოვრების“ ამაზასპი შაბურ I-ის თანამედროვედ მივიჩნიოთ. რაც შეეხება სახელების იდენტურობას, ეს არაა საკმარისი საფუძველი ამ სახელთა მატარებელი მეფეების გაიგივებისათვის: სახელი ამაზასპი ქართლში, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო: გარდა ლეონტი მროველისა და „ზოროასტრის ქაბის“ წარწერისა, ეს სახელი დადასტურებულია რომში აღმოჩენილ ეპიტაფიაში, რომელშიაც ამ სახელით იბერიის მეფის ძმა იხსენიება[104]. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ ქართლში ამ სახელის მატარებელი ორი მეფე იყო.

მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს ცნობები, რომლებიც ადასტურებს, რომ შაბურ I-ის თანამედროვე იბერიის მეფე სრულიადაც არ იყო მტკიცე პროირანული ორიენტაციისა.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს იმპერატორ ვალერიანეს ბიოგრაფის მონათხრობი, რომ ვალერიანეს დატყვევების შემდეგ, შაბურ I-მა წერილები გაუგზავნა სხვადასხვა ქვეყნის მმართველებს, რომელთაც ატყობინებდა თავისი გამარჯვების შესახებ. ამ წერილების პასუხად, ზოგიერთმა მეფემ (მაგალითად მეფე ველზოლმა, კადუსიების მეფე ვეკლენმა და არმენიის მეფე არტავაზდმა) მოულოცეს შაბურ I-ს გამარჯვება, ოღონდ სამივე აფრთხილებდა სპარსეთის მეფეს, რომ იმპერატორის დატყვევება საშიში საქმეა და ურჩევდა მის განთავისუფლებას[105].

„ხოლო ბაქტრიელებმა, იბერებმა, ალბანელებმა და ტავროსკვითებმა — წერს ბიოგრაფი —არ მიიღეს საპორის წერილები, არამედ მისწერეს რომაელ მხედართმთავრებს და შეჰპირდნენ დამხმარე ჯარების გამოგზავნას ვალერიანეს ტყვეობიდან დასახსნელად“[106].

ვალერიანეს ბიოგრაფის ეს ცნობა მოაქვს გ. მელიქიშვილსაც და დასძენს, რომ იმ დროს, რომელსაც ეხება ეს ცნობა, ამაზასპი

---

103 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 58—59.

104 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოდან, თბილისი, 1951, გვ. 236—238.

105 SHA, XXII, 1—3.

106 იქვე, XXII, 4, 1.

-ჯერ კიდევ აშკარად არ გამოსულა შაბურის მოკავშირედ: მაგრამ, ეს ვინმესელებთ „ზოროასტრის ქაბის“ წარწერის მიხედვით, ის ძალიან მალე, ვალერიანეს დატყვევების შემდეგ, ცნობს სასანიდთ მეფის ემაღლეს ხელისუფლებას[107]“.

მაგრამ ასეთ მსჯელობას ძნელია დავეთანხმოთ. „ზოროასტრის ქაბის“ წარწერა, როგორც სპეციალისტების მიერაა აღიარებული, ამოკვეთილი იყო 261—262 წლებში, ე. ი. უშუალოდ ვალერიანეს დატყვევების შემდეგ, რადგან წარწერაში არ ჩანს მენსოტამიაში პალმირის მმართველის ოდენათის 263—264 წლის ლაშქრობის არავითარი კვალი[108].

მეორე მხრივ, ვალერიანეს ბიოგრაფიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სპარსეთის მეფისადმი აშკარა ურჩობა იბერებს, ალბანელებს და სხვებს სწორედ ვალერიანეს დატყვევების შემდეგ გამოუჩენიათ. ისე რომ ეს ორი ცნობა — ბიოგრაფისა და შაბურის წარწერისა — ერთსა და იმავე ხანას განეკუთვნება. ერთდროული. მაგრამ ურთიერთის საწინააღმდეგო ამ ორი ცნობის ურთიერთშეთანხმება, ჩვენი აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება: „ზოროასტრის ქაბის“ წარწერა რეალურ ვითარებაზეა დაფუძნებული — დაახლოებით 253 წლის შემდეგ იბერიის მეფე ამაზასპი იძულებულია სცნოს ირანის შაჰან-შაჰის უზენაესობა. შედეგი იყო ეს იბერიის ტერიტორიაზე შაბურ I-ის „ცხენთა და მეომართა“ შეკრებისა, თუ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისა — არმენიაში სასანიდების გაბატონებისა — ჩვენ არ ვიცით. მაგრამ, რომ ქართლს მეფე ირანის შაჰან-შაჰის ქვეშევრდომად ითვლება, ხოლო იბერია — ფორმალურად თუ რეალურად — სპარსეთის მოხარკე ქვეყნად, ეს ცხადია. სხვა საქმეა, როგორი იყო სინამდვილეში იბერიის ირანისაგან დამოკიდებულება. ვალერიანეს ბიოგრაფის ზემომოტანილი ცნობა, ჩვენი აზრით, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ იბერიის მეფის დამოკიდებულება ირანზე საკმაოდ ფორმალური ხასიათისა იყო, რამდენადაც მან არა მარტო თავისი სიუზერენის წერილები არ მიიღო, არამედ სპარსეთის მეფისადმი აშკარად მტრული პო-

---

[107] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 394, прим. 171.

[108] M. Sprengling, A New Pahlavi Inscription, AJSLL, t. 53, № 2, 1937, გვ. 169; Н. В. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, М. Л., 1, 1956, стр. 161.

ზიცეაც დაიკავა — რომაელებს დახმარება შესთავაზა ვალერიანეს. გამოსახსნელად. იგივე ითქმის, როგორც ჩანს, ალბანელებზეც[109].

ჩვენ რეალური ვითარება ასე გვესახება: III ს. 50-იან წლებში. როცა ირანმა დაიმორჩილა არმენია და აქ ტახტზე შაბურ I-ის ვაჟი ჰორმიზდ-არდაშირი დაჯდა და როდესაც სპარსელებმა რამდენიმე სერიოზული მარცხი მიაყენეს რომაელებს, იბერიის მეფე ამაზაპი იძულებულია სცნოს თავისი ვასალური დამოკიდებულება ირანზე. არაა გამორიცხული, რომ ეს ამაზე იბერიაში შაბურ I-ის ჯარის შეჭრამაც აიძულა. მაგრამ, როდესაც შაბურმა რომაელებზე გადაწყვეტი გამარჯვება მოიპოვა და თვით რომის იმპერატორიც ტყვედ იგდო, ამან შეაშფოთა ირანის მეზობლად განლაგებული სახელმწიფოები, რომელნიც თავისთვის რეალურ საშიშროებას სწორედ სასანური ირანის მხრიდან ხედავდნენ. ირანის აგრესიულ ზრახვათა ერთადერთ ამლაგმველ ძალად მათ მაინც რომი მიაჩნდათ და ამიტომაც საჭიროდ დაინახეს ამ ძძიმე სიტუაციაში რომს ამოსდგომოდნენ მხარში. ამას გარდა, ვალერიანეს დატყვევების შემდეგ ძალიან მალე აღმოსავლეთში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომელიც ირანელთა საწინააღმდეგო მოქმედებას პერსპექტიულს ხდიდა: 263 წ. პალმირის მეფე ოდენატი, რომელიც ვალერიანეს ვაჟის — გალიენის ერთგული დარჩა, შეტევას იწყებს სპარსელთა წინააღმდეგ: მალე აზია და სირია გაიწმინდა ირანული ჯარებისაგან; ოდენატმა გადალახა ევფრატი, ალყისაგან გაათავისუფლა ედესა. ხოლო 264 წ. ხელთ იგდო ნისიბისი და კარა. ამის შემდეგ ოდენატი საკუთრივ სასანიანთა სამფლობელოში შეიჭრა, მიალწია ქ. ქტეზიფონს და მისი მიდამოები აოხრა[110].

აშკარაა, რომ ოდენატის წარმატებებს უნდა აღეძრათ ირანის მეზობელ სამეფოთა მესვეურებში ინდი და რწმენა, რომ ირანთან ბრძოლა შეიძლება და ალბათ ამია შედეგი იყო, რომ მათ რომაელებს ვალერიანეს განთავისუფლებაში დახმარება შესთავაზეს. მაშასადამე, მიუხედავად თავდაპირველი წარმატებებისა, შაბურ I-ის პოზიციები ამიერკავკასიაში, და კერძოდ იბერიაში, სრულიადაც არ იყო მყარი. ქართლის მმართველი წრეები სულ უფრო გარკვევით იღებენ ორიენტაციას რომზე.

როგორი იყო იბერიის რეალური მდგომარეობა შემდგომ

---

[109] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании М. Л., 1959, стр. 134.

[110] Т. Моммзен, История Рима, т. V, стр. 391.

წლებში, ჩვენ არ ვიცით: უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დამოუკიდებლობას ინარჩუნებს; შაბურ I-ის მემკვიდრეების დროს რომთან ბრძოლებში განცდილმა დამარცხებებმა, ცხადია, სასანიდებს ამიერკავკასიაში თავისი მდგომარეობის განმტკიცების საშუალება აღარ მისცეს. ხოლო III ს-ის მიწურულში მათ არმენიაზედაც კი უარი თქვეს: 298 წ. დადებული ე. წ. ნიზიბისის ზავის თანახმად მესოპოტამიის ნაწილი და არმენია რომის პროტექტორატის ქვეშ გადავიდა. საინტერესოა, რომ პეტრე პატრიკიოზის (VI ს.) ცნობით იბერიის მეფეს, ნიზიბისის საზავო ხელშეკრულებით, რომაელებისაგან უნდა მიეღო თავისი მეფობის ნიშნები[111].

საინტერესოა, რომ ლეონტი მროველის მიხედვით, როდესაც გარდაიცვალა ქართლის მეფე ასფაგური, მას ვაჟიშვილი არ დარჩენია და ქართლის დიდებულებს ირანის მეფე ქასრე ანუშირვანისთვის უთხოვიათ მიეცა მათთვის მეფედ მისი ვაჟი. შაჰან-შაჰი დათანხმებულა და ქართლში შვიდი წლის უფლისწული მირიანი გამოუგზავნია. მირიანს ცოლად შერთეს ასფაგურის ქალი აბეშარა. მირიანის მეფობა, ლეონტი მროველით, ქართლის გაძლიერების ხანაა, მირიანი სპარსელთა დახმარებით არაერთ გამარჯვებას აღწევს და მნიშვნელოვნად აფართოვებს ქართლის სამეფოს საზღვრებს. ორმოცი წლისა რომ გახდა მირიანი, გარდაიცვალა მისი მამა ქასრე ანუშირვანი და სპარსეთის მეფედ გახდა მირიანის ძმა ბარტამი. ამის შემდეგ რომაელებმა (ბერძნებმა) სომხეთის მეფედ დასვეს თრდატი: უკანასკნელსა და მირიანს შორის გამუდმებული ომი წარმოებდა და ხან ერთი აღწევდა წარმატებას, ხან მეორე. ამასობაში სპარსეთში ბარტამიც გარდაიცვალა და ტახტზე მირიანბარტამის ძმა ავიდა (სახელი ლეონტის არ მოაქვს). ამ უკანასკნელმა მირიანს მოუწოდა „საბერძნეთის" წინააღმდეგ სალაშქროდ; სპარს-ქართველთა ლაშქარმა წარტყვევნა სომხეთი და შემდეგ „საბერძნეთში" შევიდა; კონსტანტინე კეისარი ვერ წინააღუდგა მტერს. მაშინ ახლობლებმა ურჩიეს ქრისტეს რჯულის მიღება და კონსტანტინემაც ქრისტეს დახმარებით მტერი უკუაქცია. მირიანმა ზავი სთხოვა კონსტანტინეს; უკანასკნელმა მირიანს მძევლად ვაჟი ბაქარი გამოართვა, თვითონაც დაეზავა და თრდატთანაც შეარიგა[112].

სამეცნიერო ლიტერატურაში დამარწმუნებლადაა ახსნილი, რომ მირიანის სპარსულ ჩამომავლობას რეალური საფუძველი არ

---

[111] Petr. Patric., Hist., fr. 14.

[112] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 62—71.

ჭააჩნია და ასეთი გადმოცემა შეიქმნა იმის ზეგავლენით, რომ ბი-
ზრიანისათვის მოეძებნათ განსაკუთრებით დიდი და სახელოვანი წი-
ნაპრები[113].

მაგრამ საიდან არის აღებული მთელი ეს მოთხრობა თრდატ-
თან და რომაელებთან ბრძოლების შესახებ; აქვს თუ არა მას რაი-
მე საფუძველი ან ისტორიული გამართლება?

როგორც სამართლიანად შენიშნავს ლ. ჯანაშია, ლეონტის ამ
მოთხრობაში მთლიანად დარღვეულია ისტორიული პერსპექტივა,
დაშვებულია ბრავალი შეცდომა ირანის მეფეთა სახელებში, მეფო-
ების ხანგრძლივობაში და თანამიმდევრობაში: მცდარია აგრეთვე ირ-
ან-რომაელთა ომის გადატანა კონსტანტინე I-ის ხანაში და ამ ომ-
თან კონსტანტინეს მონათვლის დაკავშირება, რადგან კონსტანტი-
ნეს დროს ირანსა და რომს შორის ომს ადგილი არ ჰქონია. ამი-
ტომ ლ. ჯანაშია ფიქრობს, რომ სპარსეთსა და რომს შორის იმ ომ-
ის ქვეშ, რომელსაც აღწერს ლეონტი მროველი მირიანის მეფობის
თხრობისას, რეალურად იგულისხმება ის ომი, რომელსაც ადგილი
ჰქონდა იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს და რომელიც 298 წ. ნი-
ზიბისის ზავით დამთავრდა. ლ. ჯანაშიას სიტყვით, „მეფეთა ცხოვ-
რებაში" მოცემული თანამიმდევრობა მოვლენებისა ზოგადად ემ-
თხვევა ამ ომის მსვლელობის ნამდვილ ისტორიას[114].

ჩვენ ეს მოსაზრება დამაჯერებლად მიგვაჩნია და ვფიქრობთ,
რომ ლეონტი მროველის მონათხრობში მირიანის სომხებთან და რო-
მაელებთან ბრძოლის შესახებ, აისახა იბერიის მმართველთა (მი-
რიანის თუ სხვა რომელიმე მეფის) დროებით სპარსელთა მხა-
რეს მოქმედება რომისა და მისი მოკავშირე სომხეთის წინააღმდეგ.
არაა გამორიცხული, რომ იბერიის მმართველ წრეებს სომხეთში
თავისი ინტერესებიც ჰქონდათ და ირანის მხარდაჭერით ისინი სწო-
რედ აქ თავისი მიზნების განხორციელებას ფიქრობდნენ. ხოლო კონ-
სტანტინესაგან მიყენებული მარცხი კი, რეალურად ასახავს დიოკლე-
ტიანეს წარმატებას, ირანის მიერ არმენიის დაკარგვას. შესაძლოა,
იბერია ამ ომში მართლაც ირანის მოკავშირედ გამოდიოდა (ნებით
თუ იძულებით) და ამითაც აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ნიზი-
ბისის ზავით იბერიის მეფის მიმართ რომაელებმა კვლავ აღადგინეს

---

113 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონო-
ლოგიის საკითხისათვის, იიშ, ტ. IV, ნაკ. I, 1958, გვ. 162; საქართველოს ისტორიის
ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 60—62.

114 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 62—63.

ფარსმან II-ის დროიდან უდავოდ აღმოფხვრილი წესი სამეფო ნიშ-ნების რომიდან მიღებისა.

ნიზიბისის ზავის შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნებში მშვიდობა დამყარდა. მაგრამ როგორც რომი, ისე ირანი ცდილობენ შეიქმნან ამ ქვეყნებში დასაყრდენი პრორომაული და პროირანული დაჯგუფებების სახით. იბერიის მმართველ წრეებში სულ უფრო ძლიერდება რომთან დაახლოების ტენდენცია. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავდა. „...დამოკიდებულება შორეულ რომთან. მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო და მისაღები, ვიდრე ირანელების ზედ კარზე მომდგარი ბატონობა"[115].

ამ ტენდენციის ერთერთ გამოხატულებას წარმოადგენდა იბერიის სამეფო კარის მიერ ქრისტიანობის მიღება და მისი სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება.

---

115 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, წ. I, 1949, გვ. 227.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების ისტორიისათვის

ქრისტიანობის გავრცელება და მისი სახელმწიფოებრივ რელიგიად აღიარება მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება ყველა ხალხის ისტორიაში, რამდენადაც ქრისტიანობა (ისევე, როგორც სხვა რელიგიები) ასახავდა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის გარკვეულ დონეს და მისი გამარჯვება, სხვა რელიგიური რწმენის ქრისტიანობით შეცვლა, სწორედ სოციალურ-ეკონომიურ ბაზისში და პოლიტიკურ ურთიერთობაში მომხდარ, თუ ნიმდინარე პროცესების შედეგად ხდებოდა. ამდენად, ქრისტიანობის ამა თუ იმ ხალხში გავრცელების, მისი აღიარება-გამარჯვების დროისა და პირობების გარკვევა საინტერესოა არა მარტო რელიგიის ისტორიისათვის, არამედ ამ ხალხის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიისთვისაც.

როგორც ცნობილია, ახ. წ. IV ს. ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ რელიგიად იქნა აღიარებული ქართლში. ეს ფაქტი შედეგი იყო ქვეყნის შინაგანი, სოციალურ-ეკონომიური განვითარებისა, და, ამავე დროს, ნიშნავდა ქართლის სამეფო ხელისუფლების მიერ გარეპოლიტიკური ორიენტაციის სრულიად გარკვეულ არჩევას, ე. ი. გაპირობებული იყო გარეპოლიტიკური ფაქტორითაც.

ქართლის გაქრისტიანების პირობათა და გარემოებათა შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს და ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს ძირითადად აღიარებულია, რომ ქართლის სამეფოში ქრისტიანობა ოფიციალურად მიღებულ იქნა IV ს. 30-იან წლებში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ყველაფერი ცხადია, არ არის საკამათო და გაურკვეველი საკითხები.

ჩვენს მიზანს ამჯერად არ შეადგენს ამ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა სათუო და საკამათო საკითხის აღნიშვნა და, მით

უფრო, მათი გარკვევა. შევეხებით მხოლოდ ორს: 1. ვის, რომელი მეფის დროს მოხდა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად აღიარება; 2. როდის, რომელ წელს გაქრისტიანდა ქართლი.

მართალია, უკანასკნელ ათეულ წლებში ეს საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ აღარ განხილულა, მაგრამ არა იმიტომ, რომ თითქოს მათ შესახებ მიღებულ იქნა რაიმე ერთობლივი აზრი, არამედ იმის გამო, რომ მთავარი მოკამათეები — ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე — სამწუხაროდ ცოცხლები აღარ არიან და საქართველოს ისტორიის შესახებ განმაზოგადებელ ნაშრომებში კი მიღებულია ერთგვარი ნეიტრალური, შემარიგებლური პოზიცია: ქართლი გაქრისტიანდა IV ს. 30-იან წლებში (ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი), მეფე მირიანის დროს (კ. კეკელიძის შეხედულება). მაგრამ აღნიშნული საკითხები საკამათოდვე რჩება, მით უფრო, რომ უკანასკნელად 1955 წელს კ. კეკელიძემ თავისი „ეტიუდების" III წიგნში კვლავ გამოაქვეყნა თავისი თვალსაზრისი და იგი ფაქტიურად გამოხმაურების გარეშე დარჩა.

ორიოდე სიტყვა წყაროების შესახებ. ქართლის გაქრისტიანების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება როგორც ეროვნული, ქართული, ასევე უცხოური — ბერძნულ-ლათინური, სირიული (ასურული) და სომხური წყაროები. ქართულ წყაროთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ", რომელიც ორი ხელნაწერით — ე. წ. შატბერდულით და ჰელიშურითაა ჩვენამდე მოღწეული[1].

ამავე „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს საფუძველზე შეუდგენია ქართლის გაქრისტიანების ისტორია აგრეთვე ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ს, რომელმაც თავის ნაშრომში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა" ჩაურთო წმ. ნინოს მიერ ქართლის მეფის მირიანის მონათვლის ამბავი[2].

რაც შეეხება უცხოურ წყაროებს, აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ბერძენი საეკლესიო ისტორიკოსი გ ე ლ ა ს ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი (გარდაიცვალა 395 წ.), რომელსაც იყენებენ, ან მცირე

---

[1] Е. Такаишвили, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, вып. 4, 1906—1912; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964, (ქვევით: „ძეგლები").

[2] ქართლის ცხოვრება, წ. I, გვ. 73—103.

შესწორება-დამატებებით პირდაპირ თარგმნიან რომაელი ისტორიკოსი რუფინუსი (თავისი „საეკლესიო ისტორიის“ წერა დაუწყია 402 წ.), თეოდორიტე კვირელი (V ს. შუა წლები) და გელასი კვიზიკელი (V ს. ბოლო). შემდგომ ამ ავტორთა მონათხრობს იმეორებენ უფრო გვიანდელი ბიზანტიელი მწერლები. გელასი კესარიელის შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია და მისი ცნობების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ სწორედ რუფინუსისა და თეოდორიტე კვირელის ექსცერპტების მიხედვით[3].

ამას გარდა, ქართლის გაქრისტიანების შესახებ მოთხრობა შესულია V ს. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“ და მის ძირითად წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა IV ს. ისტორიკოსის აგათანგელოსის „ისტორია“; თავის ამ წყაროს მოვსეს ხორენაცი თვით ასახელებს იბერთა მოქცევის მოთხრობის ბოლოს[4].

სწორედ ამ წყაროთა საფუძველზე შეისწავლება ქართლის გაქრისტიანების საკითხი და ამ ცნობათა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია წარმოშობს სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა ხსენებულ სხვადასხვაობას.

1. პირველი სადავო საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, ეხება იმ მეფის ვინაობას, რომლის დროსაც მოხდა ქართლში ქრისტიანობის ოფიციალური აღიარება. ქართულ წყაროებში ქართლის მეფედ, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა, დასახელებულია მირიანი — ლეონტი მროველით ქართლის ოცდამესამე მეფე, ძე სპარსეთის მეფის ქასრესი[5], ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით ოცდაშვიდე მეფე, ძე ლევისა[6]. ამას ეხმაურება მოვსეს ხორენაცი, რომელიც მოგვითხრობს, რომ „ნეტარმა ნუნემ“ მოაქცია იბერიის მმართველი მიჰრანი, რომელიც სომეხ ისტორიკოსს მეფე თრდატის ერთერთ სარდალთაგანად ჰყავს გამოცხადებული[7].

ვინაიდან ზემოხსენებულ ბერძნულ-რომაულ წყაროებში ქართ-

---

[3] A. Glass, Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia die Vorlage jür die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins, Leipzig-Berlin, 1914; ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, „მიმომხილველი“, 1926, გვ. 55—68; გეორგიკა, ტ. I, 1961, გვ. 179—185.

[4] История Армении Моисея Хоренского, пер. Н. Эмина, М., 1858, стр., 153.

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 60—71.

[6] ძეგლები, I, გვ. 90.

[7] მოვსეს ხორენაცი, LXXXVI.

ლის პირველი ქრისტიანი მეფის სახელი არაა ნახსენები, სამეცნიერო ლიტერატურაშიაც და საეკლესიო ტრადიციაშიც საყოველთაოდ იყო მიღებული, რომ ქართლის გაქრისტიანება მოხდა მირიანის დროს. | მაგრამ 1895 წ. რიჰარდ რაბემ გამოსცა მაიუმის ეპისკოპოსის პეტრე იბერის „ცხოვრების“ ასურული ტექსტი, გერმანული თარგმანითა და გამოკვლევით[8]. ამ ძეგლის ავტორი, ახასიათებს რა პეტრე იბერის მშობლებსა და წინაპრებს, აღნიშნავს, რომ პეტრეს პაპა (დედის მამა) იყო „დიდი ბაკურიოსი“ რომელიც „ამ ქვეყნის (იბერიის — ნ. ლ.) მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო და მთელი ეს ერი ღვთისმოშიშობაზედ მოაქცია“[9]. ცოტა ქვევით ავტორი იგივეს იმეორებს: „დიდი ბაკურიოსი, რომელიც იბერიელ მეფეთგან პირველი იყო ქრისტიანი“[10]. |

ამ ცნობამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება. კერძოდ, ქრისტიანული ეკლესიის ცნობილმა მკვლევარმა ვ. ბოლოტოვმა, ადრე ცნობილ წყაროებთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭა პეტრეს „ცხოვრებას“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ რეალურად ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე უნდა ყოფილიყო სწორედ ბაკური. მისი ამოსავალი ის იყო, რომ ქართლის მოქცევის შესახებ არსებული ქართული წყაროები ბევრ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობას შეიცავენ (იგ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს და ლეონტი მროველის მეფეთა რიგი), რომ აქ ძალზე ბევრია ნებისმიერი, დაუჯერებელი მონაცემები, ხოლო პეტრე იბერის „ცხოვრება“, შედგენილი მისი უშუალო მოწაფის მიერ, ბევრად უფრო სანდო წყაროს წარმოადგენს; ამასთან, ვ. ბოლოტოვს მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია ისიც, რომ იბერიის მეფე ბაკური ნახსენები ჰყავს რუფინუსსაც, რომელსაც, მისივე თქმით, იბერთა მოქცევის ამბავი მოუთხრო სწორედ ამ ბაკურმა[11].

ვ. ბოლოტოვის ამ მოსაზრებას გამოეხმაურა ს. გორგაძე; მან აღნიშნა, რომ პეტრე იბერის „ასურული ცხოვრების“ ცნობები, ყოველშემთხვევაში იმ ნაწილში, რომელიც პეტრეს ჩამომავლობას ეხ-

---

[8] Petrus der Iberer, ein Charakterbild zur Kirchen- und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts, herausgegeben und übersetzt von R. R a a b e, Leipzig, 1895.

[9] იქვე, გვ. 5, 15 (პირველი ციფრი აღნიშნავს ასურული ტექსტის გვერდს, მეორე — გერმანული თარგმანისას).

[10] იქვე, გვ. 6, 16.

[11] В. Б о л о т о в, Лекции по истории древней церкви, кн. II, 1900, стр. 235—236.

ება. სრულიადაც არ არის ესოდენ სანდო და ეჭვმიუტანელი: ამ „ცხოვრებაში“ დასახელებული მეფეები ბოზმარიოს I და II სრულიად უცნობია ქართული წყაროებისათვის, არც სხვა პერსონაჟები თავსდება დამაჯერებლად ქართლის მეფეთა ცნობილ სიაში. ამას გარდა „პეტრეს ცხოვრების“ ქართული ვერსია ამ მხრივ ეწინააღმდეგება რ. რააბეს მიერ გამოცემულ ტექსტს: აქ პეტრეს მამად ვარაზ-ბაკურია გამოცხადებული. რაც შეეხება რუფინუსთან ნახსენებ ბაკურს, ის არ შეიძლება იყოს პეტრეს პაპა ბაკური, რადგან იგი IV ს-ის ბოლოს დაიღუპა რომის ტახტის პრეტენდენტის ევგენიოზის წინააღმდეგ ბრძოლაში და ვერ იქნებოდა კონსტანტინე I-ის თანამედროვე. ხოლო იბერთა მოქცევა კი ამ უკანასკნელის დროს მოხდა[12].

ამ საკითხს ჯერ კიდევ 1913 წ. ივ. ჯავახიშვილი შეეხო. იმხანად ივ. ჯავახიშვილი ქართულ-სომხურ წყაროებთან შედარებით უფრო სანდოდ პეტრე იბერის „ცხოვრების“ ცნობებს მიიჩნევდა და ქართლში ქრისტიანობის შემომღებ მეფედ ბაკურს აღიარებდა, ამასთან იმოწმებდა რუფინუსის სიტყვებს, რომ ქართლის მოქცევის ამბავი ნას მოუთხრო ბაკურიუსმა, „თვით ამ ხალხის მეფემ“ — და ამ ორ ბაკურს აიგივებდა[13]. „ქართველი ერის ისტორიის“ შემდგომ გამოცემებში ივ. ჯავახიშვილი კვლავ იმეორებს თავის მოსაზრებას და ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ ბაკურს აცხადებს; მხოლოდ 1928 წ. გამოცემაში უარჰყოფს პეტრეს პაპის „დიდი ბაკურისა“ და გელასი-რუფინუსის ბაკურის იდენტურობას[14].

ეს უკანასკნელი საკითხი, ვფიქრობთ, დღეს დავას აღარ უნდა იწვევდეს. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ორი ბაკური არ შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს[15], მაგრამ ამ ფაქტის აღიარება სრულიადაც არ ხსნის „დიდი ბაკურის“ ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ გამოცხადების შესაძლებლობას. როდესაც პეტრე იბერის „ცხოვრე-

---

[12] ს. გ ო რ გ ა ძ ე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, „მაცნე“, 1905 № 3, გვ. 19 და შემდ

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1913, გვ. 180.

[14] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1928, (ივივე 1951 წ., ვიმოწმებთ ამ უკანასკნელ გამოცემას), გვ. გვ. 166—169, 206.

[15] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, „მიმომხილველი“, 1926, გვ. 26—28; მ ი ს ი ვ ე, ვინ არის ლიბანიოსის ადრესატი ბაკური, „ეტიუდები“, წ. III, 1955, გვ. 12—15.

ბის“ ცნობებს უპირატესობას ანიჭებდა, ივ. ჯავახიშვილი შემდეგ მოსაზრებებს ეყრდნობოდა: I. პეტრე იბერის ცხოვრება აღწერილი უნდა იყოს V ს. უკანასკნელ მეოთხედში, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, VI ს. დამდეგს, ხოლო ქართული და სომხური წყაროები გაანეკუთვნება VIII—XI საუკუნეებს, ე. ი. პირველი ბევრად უფრო ახლო იყო დროის მიხედვით ქართლის გაქრისტიანებასთან, ვიდრე მეორენი; 2. პეტრე იბერის ცხოვრება აღწერილი აქვს პეტრეს თვითმხილველს, მოწაფეს, ქართველსავე მწერალს ზაქარიას, რომელიც მას ქართლიდანვე გაჰყოლია ბიზანტიაში და რომელსაც დიდი ცოდნა ეტყობა ქართველთა მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობისა, სახელმწიფო და სოციალური წყობილებისა, ხოლო ქართულ-სომხური წყაროები მეტად მდარე ხარისხისაა, მათ საფუძველად უდევთ ტენდენციური, სახელნატყუარი წყაროები, მათ მოთხრობაში ცხოვრების ხორცშესხმული სინამდვილე ასახული არ არის. ყოველივე ამის გამო, ივ. ჯავახიშვილის აზრით, უპირატესობა უნდა პეტრეს „ცხოვრების“ ცნობებს მიენიჭოს და იბერიის პირველ ქრისტიან მეფედ „დიდი ბაკური “უნდა მივიჩნიოთ[16].

ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას რამდენიმეჯერ გამოეხმაურა კ. კეკელიძე. ჩვენ დაწვრილებით არ გადმოვცემთ მთელ მის მსჯელობას და აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითადს. უპირველეს ყოვლისა კ. კეკელიძე ყურადღებას აქცევს ერთ შეუსაბამობას, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მსჯელობაში შეიმჩნევა, კერძოდ იმას, რომ ივ. ჯავახიშვილს ქართლის გაქრისტიანება კონსტანტინე დიდის მეფობაში მომხდარ ფაქტად მიაჩნია და, შესაბამისად, დიდი ბაკურიც ამ იმპერატორის თანამედროვედ. ამავე დროს, ივ. ჯავახიშვილის გამოთვლით, ბაკური უკვე საკმაოდ ხანდაზმული გამეფდა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ პეტრე იბერის პაპა ბაკური 422—428 წლებში ჯერ კიდევ ცოცხალია და სამართლიანად ასკვნის: წარმოუდგენელია, რომ კონსტანტინე I-ის დროს მოხუცებულობაში გამეფებული ბაკური ჯერ კიდევ ცოცხალი იყოს V ს. 20-იან წლებში[17].

შემდეგ კ. კეკელიძეს მოაქვს პეტრე იბერის „ცხოვრების“ ის

---

[16] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1951, გვ. 213—222.

[17] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან, „ეტიუდები“, წ. III, 1955, გვ. 19—20; მ ი ს ი ვ ე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, „მნათობი“, 1929, № 7, გვ. 139.

ადგილები, სადაც დახასიათებულნი არიან მისი ნათესავ-წინაპრები და ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ყველანი ისინი წმინდანებად, უაღრესად ღვთისმოშიშად, ქრისტიანობის დიდ მოღვაწეებად არიან დახატულნი; ამაში კ. კეკლიძე აშკარა გაზვიადებას ხედავს, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია წმინდანთა „ცხოვრებებისათვის“ და მიაჩნია, რომ პეტრეს პაპის პირველ ქრისტიან მეფედ გამოცხადება სწორედ ასეთი ტენდენციურობის შედეგი უნდა იყოს; ამასთან უთითებს, რომ თვით ივ. ჯავახიშვილიც არ უარჰყოფს ამგვარ გაზვიადებას და პეტრეს ნათესავთა ერთგვარ იდეალიზაციას[18].

შემდეგ კ. კეკელიძე უარჰყოფს პეტრეს „ცხოვრების“ ავტორის ქართველობას. ეყრდნობა რა ედ. შვარცის გამოკვლევას, რომელშიაც პეტრე იბერის რ. რაბეს მიერ გამოცემული ბიოგრაფიის ავტორად დასახელებულია მწერალი იოანე რუფუსი, კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ არსებობდა პეტრეს მეორე ბიოგრაფიაც, შედგენილი V ს. ბოლოს ან VI ს. დასაწყისში ზაქარია რიტორის მიერ; სწორედ ეს ნაშრომი, შემდგომში ასურულად თარგმნილი, დასდებია საფუძვლად პეტრეს „ცხოვრების“ ქართულ ვერსიას, ხოლო ეს ზაქარია რიტორი შემდგომ გადამწერ-რედაქტორებს ქართველად უქცევიათ[19].

ამას გარდა, კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ეროვნულ ტრადიციას „წარმოუდგენელია და დაუჯერებელი, — წერს იგი — რომ ქართველებსა და ქართულ ეკლესიას დავიწყებოდეს საბელი პირველი ქრისტიანი მეფისა“. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კ. კეკელიძის აზრით, „ტრადიციული ქართულ-სომხური რწმენა“, რომ პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი იყო, ურყევი რჩება[20].

მაგრამ კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ პეტრეს პაპას ბაკურს, რომელიც რეალურად IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში მეფობდა, მაინც მიუძღვის დამსახურება ქართული ეკლესიის წინაშე, რის გამოც ის შეიძლებოდა გარკვეულ წრეებს სწორედ პირველ ქრისტიან მეფედ ეღიარებინათ: კ. კეკელიძის აზრით, ქართლში თავდაპირველად ქრისტიანობის არიოზული სახესხვაობა თუ ფრაქცია შემოსულა და

---

[18] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „მნათობი“, გვ. 135—136.
[19] იქვე, გვ. 137—138.
[20] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „მიმომხილველი“, გვ. 25.

ბოლოდ შემდეგ, დაახლ. 400 წ. მერე, შეცვლილა იგი ორთოდოქსალური მიმართულებით; სწორედ ამ შეცვლის განმახორციელებელი იყო ბაკური, რის გამოც პეტრეს ბიოგრაფი მას პირველ ნ ა მ დ ვ ი ლ ქრისტიან მეფედ მიიჩნევს[21].

კ. კეკელიძის ამ უკანასკნელ მოსაზრებას ჩვენ ქვევით შევეხებით, ახლა კი შევნიშნავთ, რომ ბაკურის პირველ ქრისტიან მეფედ გამოცხადებას ბევრი რამ ეღობება და კ. კეკელიძის ზემოხსენებული საბუთები უდავოდ ფრიად ანგარიშგასაწევია. ამ არგუმენტებს ჩვენ გვინდა ზოგი რამ დავუმატოთ. უპირველეს ყოვლისა, წყაროთა თარიღებისა და ქართლის გაქრისტიანებასთან მათი ქრონოლოგიური სიახლოვის შესახებ: პეტრე იბერის „ასურული ცხოვრება", რომელიც რ. რაბემ გამოსცა, მართლაც V ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისშია შედგენილი, მაგრამ, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი, ასურული ტექსტი ბერძნული დედნიდანაა თარგმნილი: ასურულ ტექსტში ბევრგან ბერძნული სიტყვები და გამოთქმებიცაა გადმოსული[22], ამასთან ტექსტს სხვა მხრივაც ეტყობა მერმინდელ რედაქტორ-გადამკეთებლის ხელი[23]. არის ვარაუდი, რომ ამ „ცხოვრების" თავდაპირველი ბერძნული დედანი ასურულად თარგმნილი იყო VIII ს[24]. უკვე ამის გამო შესაძლებელია, რომ რ. რაბეს გამოცემაში წარმოდგენილი ცნობები ზოგჯერ იყოს არადედნისეული, არამედ გვიანდელი და, მაშასადამე, ქართლის მოქცევას დროით საკმაოდ დაშორებული.

რაც შეეხება ქართულ წყაროებს, იმ სახით, როგორც ისინი ჩვენამდეა მოღწეული, ისინი მართლაც გვიანდელია, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს პირველი ნაწილი VII ს-ზე გვიან არ არის შედგენილი და მის ავტორს უფრო ძველი წყაროებიც უსარგებლია[25].

მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია" კი, დღეს გაბატონებული შეხედულებით, V ს. არის შედგენილი და მისი ავტორიც ამ

---

[21] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ეტიუდები", III, გვ. 16—22.

[22] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. II, 1965, გვ. 247—248.

[23] ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, არეოპაგიტიკის პრობლემები, 1972, გვ. 146—147; Ed. Schwartz, Iohanes Ruius ein monophiysitischer Schriftsteller, SHAW, 3. Bd., 16. Heit, 1912, გვ. 20—21.

[24] R. Raabe, Petrus der Iberer, გვ. V—VII.

[25] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 26., აქვე, ლიტერ.

საუკუნის მწერალია და არა VIII—IX საუკუნეებისა, როგორც ადრე ეგონათ[26]. თანაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, ქართლის გაქრისტიანების აღწერისას ხორენაცის ძირითადი წყარო IV ს. ავტორი აგათანგელოსია.

ამრიგად, ცხადია, რომ ქრონოლოგიური უპირატესობა პეტრე იბერის „ცხოვრებისა", შედარებით ქართულ-სომხურ წყაროებთან, არაფრით არ მტკიცდება.

ახლა საკითხი პეტრე იბერის „ცხოვრების" ავტორის ქართველობის, ქართლის სამეფო სახლთან მისი სიახლოვის შესახებ, როგორც არგუმენტი მისი ცნობების სანდოობისა. ეს საკითხი საკმაოდ რთულია და აზრთა მნიშვნელოვან წინააღმდეგობას იწვევს. საქმე ისაა, რომ რ. რააბეს მიერ გამოცემული „ცხოვრების" არც ასურული ტექსტის ავტორი (მთარგმნელი?), არც სავარაუდო ბერძნული ორიგინალის ავტორი ცნობილი არაა, ამიტომ ყარგა ხანს ამ „ცხოვრების" ავტორს უცნობად თვლიდნენ და თვით ნაწარმოებს „ანონიმურს" უწოდებდნენ.

1896 წ. ნ. მარრმა გამოაქვეყნა პეტრეს „ცხოვრების" ქართული ვერსია სათანადო გამოკვლევით. როგორც გაირკვა, ქართული რედაქცია ასურულიდან უთარგმნია ვინმე მაკარი მესხს, ხოლო დაახლოებით XIV ს. პავლე დეკანოზს აშლილი და თავბოლონაკლული სახით ჩავარდნია ხელთ; მას ის შესავლითა და დასასრულით შეუვსია, არეული გვერდები რიგზე დაულაგებია და ასე გადაუწერია. ამრიგად აწ არსებული ყველა ხელნაწერი — XV ს-ის პეტრიწონის ხელნაწერიც და XVIII—XIX საუკუნეებისაც — პავლე დეკანოზის რედაქტირებული ხელნაწერიდან მომდინარეობს[27]. შენახული რედაქცია შეიცავს სამ ანდერძს: პირველი „ცხოვრების" ასურული დედნის ავტორის სახელითაა შედგენილი, მეორე — მთარგმნელის მაკარი ხუცესის, ხოლო მესამე —პავლე დეკანოზის[28].

---

[26] М. Абегян, История древнеармянской литературы, Ереван, 1948, стр. 209; П. С. Хачикян, Историография Армении (V—Xвв.), «Очерки исторической науки в СССР», т. I, М., 1955, стр. 29—31.

[27] ი. ლოლაშვილი, არეოპაგიტიკის პრობლემები, გვ. 97—98; Житие Петра Ивера, царевича-подвижника и эпископа Майумского V в., грузинский подлинник издал, перевел и предисловием снабдил Н. Марр, «Православный палестинский сборник», т. XVI, вып. II, 1896, стр. 1—54,

[28] Н. Марр, Житие Петра Ивера, стр. 51—54.

ავტორისეულ ანდერძში აღნიშნულია: „ხოლო მე, გლახაკი ზაქარია, მოწაფე მისი ქართლიდანვე, უკანა შეუდეგ წმიდასა მას[29], ვიდრე მიცვალებამდე მისა. ამისთჳსცა აღვსწერე ცხოვრება მისი და სასწაულნი, თუალითა ჩემითა ხილულნი და ყურითა სმენილნი...“[30].

მთარგმნელის, მაკარი ხუცესის ანდერძში ნათქვამია: „ესე ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ ამას კურთხეულსა და სანატრელსა ზაქარიას, მოწაფესა მის წმიდისა პეტრესა, ასურებრითა ენითა აღეწერა... ხოლო მე, გლახაკმან მაკარი ხუცესმან, გარდამოვთარგმნე ქართულად ასურთა ენისაგან, რამეთუ მეცა მეცნიერ ვიყავ მათსა ენასა თქუენითა მადლითა“[31].

ორივე ამ ანდერძით პეტრეს ცხოვრების ავტორად გამოდის ზაქარია, რომელიც ქართლიდანვე დაემოწაფა პეტრეს, უკანასკნელის გარდაცვალებამდე მასთან ყოფილა და საკუთარი თვალითხილული და ყურით სმენილი აღუწერია. თუმცა არც ერთ ანდერძში ზაქარია პირდაპირ „ქართველად“ არაა მოხსენიებული, მაგრამ კონტექსტი ცხადჰყოფს, რომ ანდერძთა მიხედვით ზაქარია ქართველია. ასე გაჩნდა ისტორიოგრაფიაში შეხედულება, რომ პეტრეს „ცხოვრების“ ყოველშემთხვევაში ქართული ვერსია „ზაქარია ქართველის“ დაწერილია.

მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში იმთავითვე წარმოიშვა რამდენიმე პრობლემა: 1. იყო თუ არა ეს ზაქარია ნამდვილად ქართველი, თუ ეს ანდერძები გვიანდელი შეხთზულია და „ქართველად“ გამოხცადებულია ვინმე სხვა ზაქარია? 2. ხომ არ არის ეს ზაქარია ზაქარია რიტორი, ავტორი „საეკლესიო ისტორიისა, რომლის შესახებ ცნობილია, რომ მას აღუწერია პეტრე იბერის ცხოვრება? 3. რა მიმართებაშია ერთმანეთთან რ. რაბეს მიერ გამოცემული პეტრეს „ასურული ცხოვრება“ და ამავე „ცხოვრების“ ქართული ვერსია — შეიძლება ისინი ერთ ავტორს ეკუთვნოდნენ, თუ მათი დამწერი სხვადასხვა პირია და სხვ.

---

29 ზოგ გამოცემაში მძიმეები სხვაგვარადაა დასმული: „...მოწაფე მისი, ქართლიდანვე უკანა შეუდეგ...“

30 ძეგლები, წ. II, 1967, გვ. 262.

31 იქვე, გვ. 263.

ამ საკითხის ირგვლივ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა. მკვლევარნი სხვადასხვა. ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ. ჩვენ ამჟამად ამ რთულ პრობლემაში ღრმად შეჭრას არ ვაპირებთ, რადგან ჩვენს მიზანს სრულიადაც არ შეადგენს პატრე იბერის ბიოგრაფიათა ავტორების ძებნა-დადგენა. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მომენტს, რომელიც ჩვენი საკვლევი საკითხისთვისაა მნიშვნელოვანი.

ჯერ კიდევ 1896 წ. ნ. მარი შეეხო პეტრე იბერის „ცხოვრების" ასურულ და ქართულ ვერსიათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხს და შეადარა მათი ტექსტები. ნ. მარმა აღნიშნა, რომ ორივე ვერსიას აქვს ზოგი რამ საერთო, მაგრამ ამასთან მათში მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული ხასიათის განსხვავებებიცაა[32]. აქედან ნ. მარმა გააკეთა საკმაოდ კატეგორიული დასკვნა, რომ „პეტრეს ცხოვრების სირიული ტექსტი, რომელიც ანონიმს ეკუთვნის (იგულისხმება რ. რააბეს გამოცემული ტექსი. — ნ. ლ.), არ არის ჩვენ მიერ გამოცემული ქართული ტექსტის დედანი და, მაშასადამე, სირიულ ენაზე არსებობდა და შეიძლება დღესაც არსებობს, პეტრეს სხვა ცხოვრება, შედგენილი წმინდანის (ე. ი. პეტრეს. — ნ. ლ.) თანამედროვის მიერ, რომელიც ზაქარიას სახელს ატარებდა"[33]. შემდეგ ნ. მარი იხილავს შესაძლებლობას ქართული ვერსიის ანდერძებში ნახსენები ზაქარიას და ზაქარია რიტორის (ანუ მიტილენელის) იგივეობისა, მაგრამ გარკვეულ დასკვნამდე ვერ მიდის: მისი აზრით, არსებობს ამ იგივეობის უარმყოფელი საბუთები, მაგრამ არ გაშორიცხავს ამ იგივეობის უარმყოფელი მონაცემების ახსნის და ნაშასადამე, ამ ზაქარიათა იგივეობის დადასტურების შესაძლებლობასაც[34]. რაც შეეხება ქართული ვერსიის ანდერძებში ზაქარიას ქართველად გამოცხადებას, ნ. მარი ამას შემდეგნაირად ხსნის: „ზოგი რამ ავტორ ზაქარიაზე შეეძლო შეეტანა პირველად გვიანდელ გადმართველს დეკანოზ პავლეს, ან იქნებ უფრო ადრე მთარგმნელს (ე. ი. ზაკარ ხუცესს — ნ. ლ.) შეეძლო სირიული ტექსტის საძიებელი ავტორი ქართველად ექცია[35]".

1912 წ. ედუარდ შვარცმა სპეციალურ გამოკვლევაში სათანადო არგუმენტაციით გამოთქვა მოსაზრება, რომ რ. რაბეს მიერ გამო-

---

[32] H. Marr, Житие Петра Ивера, стр. XVI—XXXII.
[33] იქვე, გვ. XXXII.
[34] იქვე, გვ. XXXIII.
[35] იქვე, გვ. XXXIII.

ცემული ტექსტის ავტორი, უფრო ზუსტად, ამ სირიული ტექსტის თავდაპირველი ბერძნული დედნის ავტორი არის პეტრე იბერის მოწაფე და მისი მონაცვლე ეპისკოპოსი მაიუმში იოანე რუფუსი, რომელსაც თავისი თხზულება VI ს. დასაწყისში დაუწერია[36]. ე. შვარცის ეს დებულება დიდხანს დარჩა მეცნიერთა სათანადო ყურადღების გარეშე, მაგრამ 1952 წ. ე. ჰონიგმანმა გაიზიარა ეს მოსაზრება და მკვლევართა ყურადღებაც გაამახვილა. ე. შვარცია შრომაზე[37]. ამის შემდეგ ე. შვარცის აზრი გაიზიარა ქართველ მკვლევართა აბსოლუტურმა უმეტესობამ და იგი უკანასკნელ დრომდე გაბატონებულიც იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში[38].

ამის შემდეგ პეტრე იბერის „ცხოვრების" სხვადასხვა ვერსიების ავტორთა საკითხი შემდეგნაირად წარმოსდგა: ეჭვს აღარ იწვევდა, რომ რ. რაბეს მიერ გამოცემული ასურული ტექსტის დედანი ეკუთვნის იოანე რუფუსს, რომელსაც ეს თხზულება 518 წ. ბერძნულად დაუწერია და შემდგომ ის ასურულად უთარგმნიათ. ამდენად თითქოს თავისთავად მოიხსნა საკითხი ამ „ცხოვრების" ავტორის ქართველობის შესახებ. ასეთ ვითარებაში ივ. ჯავახიშვილის არგუმენტსაც, რომ პეტრეს „ცხოვრების" ცნობას პირველი ქრისტიანი მეფის ვინაობის შესახებ უნდა უპირატესობა მიენიჭოს, საფუძველი ეცლებოდა.

რაც შეეხება ქართული ვერსიის ავტორის პრობლემას, აქ აზრთა სხვადასხვაობა რჩებოდა. მეცნიერთა ნაწილი კვლავ უარჰყოფს ზაქარიას ქართველობას და თვლის, რომ ქართული ტექსტის ასურული დედნის ავტორი რეალურად უნდა იყოს ზაქარია რიტორი[39]. მკვლევართა მეორე ჯგუფი საერთოდ უარჰყოფს ქართული ვერსიის ავტორად ზაქარიას — რიტორისა თუ ქართველის — მიჩნევას და ვარაუდობს, რომ XIII ს-ში მაკარი მესხს უთარგმნია უმთავრესად

---

[36] Ed. Schwartz, Iohanes Rufus..., გვ. 1—28.

[37] Э. Хонигман, Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита, თსუ შრომები, ტ. 59, 1955, გვ. 64.

[38] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 462; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 246—247; ა. გაწერელია, პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები (ქვევით: „საკითხები"), „მნათობი", 1970, № 3, გვ. 148—169; მისივე, ისევ პეტრე იბერიელის ქართული „ცხოვრების", გამო, (ქვევით: „ისევ"), „მნათობი", 1971, № 8.

[39] კ. კეკელიძე, „მნათობი", გვ. 137—138; J. Markwart, Die Bekerrung Iberiens und die beiden ältesten Dokumente der Iberischen Kirche, «Caucasica», fasc. 7, 1931, გვ. 134.

იოანე რუფუსის „პეტრეს ცხოვრების“ სირიული ტექსტი, რომელიც ზაქარია რიტორის ნაწარმოებად მიუჩნევია; მაკარის შრომა კი შემდგომ (XIV ს.) თავისებურად გადაუკეთებია პავლე დეკანოზს და ზაქარია რიტორი ქართველად უქცევია[40]. და ბოლოს, მეცნიერთა მესამე ჯგუფი აღიარებს ზაქარია ქართველის არსებობას. მას მიიჩნევს პეტრეს „ცხოვრების“ ქართული ვერსიის ავტორად და განასხვავებს ზაქარია რიტორისაგან[41].

როგორც არ უნდა გადაწყდეს ზაქარია ქართველის პრობლემა, ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის ისაა მთავარი, იყო თუ არა რ. რაობეს მიერ გამოცემული ტექსტის ავტორი ქართველი მოღვაწე, რადგან მხოლოდ ამ წყაროშია ბაკურ ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მოხსენიებული. უკანასკნელ დრომდე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, თითქოს ცხადი იყო, რომ ერთად-ერთი წყარო, რომელიც ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ ბაკურს აცხადებდა — პეტრე იბერის ასურული „ცხოვრება“ — — შედგენილი იყო მაიუმელი იოანე რუფუსის მიერ VI ს. დასაწყისში, მაშასადამე, ავტორი ამ თხზულებისა არ იყო ქართველი, ქართლის სამეფო კართან დაახლოებული და ამდენად ქართლის საქმეებში კარგად გარკვეული პირი, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს ეგონა. ამდენად პეტრეს ასურულ „ცხოვრებას“ ეკარგებოდა უპირატესობა ქართულ-სომხურ წყაროებთან შედარებით. ამის გამო ბაკურის პირველ ქრისტიან მეფედ გამოცხადებაც თითქოს დღის წესრიგიდან მოიხსნა.

მაგრამ უკანასკნელ ხანს მდგომარეობა კვლავ გართულდა. 1972 წელს გამოვიდა ი. ლოლუაშვილის შრომა „არეოპაგიტიკის პრობლემები“[42]. რომელშიაც ავტორმა არა მარტო ზაქარია ქართველის რეალურობის საკითხის დადებითად გადაწყვეტა სცადა, არამედ გა-

---

[40] იხ. ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ... საკითხები, გვ. 149—168; მ ი ს ი ვ ე, ისევ.., გვ. 165—168.

[41] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 115—120; შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 276; D. M. L a n g, Peter the Iberian and his Biographers, «Jurnal of Eccl. History», II. 1951, გვ. 158—168.

[42] ი. ლოლაშვილის ძირითადი დებულებები ამ წიგნის გამოსვლამდეც იყო ცნობილი მისი მოხსენებიდან, იხ. მისი „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ავტორის ვინაობისათვის, შ. რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXX სამეცნ. სესიის მოხსენებათა თეზისები, 1970, გვ. 5—6.

დაჭრით უარჰყო ე. შვარცის მოსაზრება და რ. რაიბეს მიერ გამოცემული „პეტრეს ცხოვრების“ავტორადაც ეს ზაქარია ქართველი გამოაცხადა[43]. თავისი გამოკვლევის დასკვნები ი. ლოლაშვილმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა (მოგვყავს მხოლოდ ის დასკვნები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება): „1. ედ. შვარცის მოსაზრება — ასურული „პეტრეს ცხოვრების“ ავტორია იოანე რუფუსი — მიუღებელია. იოანე რუფუსი სხვა პირია და „ანონიმი“ სხვა პირი. 2. „პეტრეს ცხოვრების“ ასურული რედაქცია ეკუთვნის ზაქარია ქართველს — V საუკუნის საზღვარგარეთელ მოღვაწეს, პეტრეს მოწაფეს, თანამოსენაკელი და მხლებელს. თხზულება დაუწერია მას პეტრეს გარდაცვალების შემდეგ 500 წლის ახლოს. მასვე აღუწერია „ესაია ასკეტის ცხოვრება და მოქალაქეობა“. 3. პეტრესა და ესაიას სათნოებანი (ცხოვრების ეპიზოდები) აღუწერია აგრეთვე ზაქარია რიტორს (სქოლასტიკოსს), „საეკლესიო ისტორიისა“ და „სევეროს ანტიოქელის ცხოვრების“ ავტორს. ეს ზაქარია არავის არ უჭცევია ზაქარია ქართველად: ორივენი თავიანთი ბიოგრაფიებითა და თხზულებებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ისინი რეალურად არსებული მწერლები არიან, მაგრამ ზაქარია ქართველი მაიუმის მონასტრის მონაზონია, ზაქარია რიტორი კი ერისკაცი (მოგვიანებით—მიტილენის ეპისკოპოსი). 4. ზაქარია ქართველი „პეტრეს ცხოვრება“ მოგვიანებით გაუსწორებია ვიღაც რედაქტორს (მას შეუცვლია ტექსტის ის ადგილები, რომლებშიაც დაცული ყოფილა ცნობები თხზულების ავტორის ვინაობაზე). რ. რაიბეს მიერ გამოცემულია რედაქტირებული ტექსტი[44].

მაშასადამე, კვლავ დაისვა საკითხი: თუ „პეტრეს ცხოვრების“ რაიბესეული ტექსტის ავტორი ზაქარია ქართველია, პეტრეს თანამგზავრი ქართლიდანვე, მაშინ ამ ავტორს კარგად უნდა სცოდნოდა როგორც პეტრეს წთამომავლობა, ისე მისი მშობლიური ქვეყნის იმ მეფის სახელი, რომლის დროსაც მისმა ხალხმა მიიღო ქრისტიანობა. ასეთ სიტუაციაში თითქოს მართლაც უფრო დამაჯერებლად გამოიყურება „პეტრე იბერის ცხოვრების“ ცნობა, რომელიც პირველ ქრისტიან მეფედ ბაკურს აცხადებს.

„ვიმეორებთ,“ ჩვენ არ ვაპირებთ არეოპაგიტიკის ამ პრობლემის კვლევაში მონაწილეობის მიღებას და არც ი. ლოლაშვილის დებულებათა და მოსაზრებათა ყოველმხრივ განხილვას, მაგრამ ზა-

---

[43] ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, არეოპაგიტიკის პრობლემები, გვ. 77—152.
[44] ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175—176.

ჭარია ქართველის გამოცხადებისათვის „პეტრეს ცხოვრების“ ორივე —ასურული და ქართული — ვერსიის ავტორად და საერთოდ ზაქარია ქართველის რეალურობის მტკიცებისათვის, ჩვენის აზრით, საკმაოდ დამაჯერებელი საბუთები არ არსებობს.

ი. ლოლაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს უარჰყოს ედ. შვარცის მიერ დადგენილი დებულება, რომ რ. რააბეს მიერ გამოცემული „პეტრეს ცხოვრების“ ავტორი იყო იოანე რუფუსი. ამ საკითხის დეტალურ განხილვას ჩვენ აქ არ დავიწყებთ და მკითხველს მივუთითებთ ა. გაწერელიას წერილზე, რომლითაც იგი ი. ლოლაშვილის გამოკვლევას სპეციალურად გამოეხმაურა[45]. ამ წერილში ა. გაწერელიამ ხელახლა დაწვრილებით განიხილა ი. ლოლაშვილის ყველა არგუმენტი, რომლითაც უკანასკნელი ედ. შვარცის მოსაზრებას უარჰყოფს. ჩვენთვის პირადად ცხადი გახდა, რომ ი. ლოლაშვილმა ვერ შეძლო ედ. შვარცის ვერც ერთი არგუმენტის შერყევა. ა. გაწერელიამ, ჩვენის აზრით, ეჭვმიუტანლად აჩვენა, რომ სრულიად უსაფუძვლოა იოანე რუფუსის ბეირუთელ სქოლასტიკოსთა წრისადმი კუთვნილების უარყოფა ი. ლოლაშვილის მიერ[46]. კვლავ დამაჯერებლად იქნა ნაჩვენები რ. რააბეს მიერ გამოცემული „პეტრეს ცხოვრებისა“ და იოანე რუფუსის „პლეროფორიების“ იდეური ერთიანობა, მათში იდენტური ადგილების არსებობა და ონომასტიკონის ერთფეროვნება, რაც მეცნიერულ ლიტერატურაში ადრეც იყო აღნიშნული (ს. ყაუხჩიშვილი) და რაც ამ ორი ნაწარმოების ერთი ავტორისადმი კუთვნილებას ადასტურებს[47]. ჩვენის აზრით, ი. ლოლაშვილმა, რომელიც ამ ორი ნაწარმოების ასეთ მიმართებას უარჰყოფს, ვერც ამის დასაბუთება შეძლო.

ი. ლოლაშვილის ედ. შვარცთან კამათის ერთ-ერთი მთავარი ამოსავალი ისაა, რომ „პეტრეს ცხოვრების“ ავტორის ვინაობის განხილვა და გადაწყვეტა შეუძლებელია მხოლოდ ასურული წყაროების საფუძველზე ქართული მასალების (უპირველესად ქართული „ცხოვრების“ ანდერძთა) გაუთვალისწინებლად. როგორც აღვნიშნეთ, ედ. შვარცი არ იცნობს „პეტრე ქართველის ცხოვრების“ მარცხეულ გამოცემას, საერთოდ არ იცის, რომ „პეტრეს ცხოვრება“ პეტრეს მშობლიურ ენაზეც არსებობს, თუ თავს დავანებებთ

---

[45] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, წიგნ- არეოპაგიტიკის საკითხებზე, „მნათობი“, 1973, № 6, გვ. 130—170.

[46] იქვე, გვ. 158—162.

[47] იქვე, გვ. 162—165.

ინის არცოდნას. რომ ქართულ „ცხოვრებას“ მოეპოვება ცნობები ავტორის ვინაობაზე, რომელთა გათვალისწინება ედ. შვარცისათვის აუცილებელი იყო“[48].

ერთი შეხედვით ეს თითქოს მართლაც სავსებით სწორი პოზიციაა და ქართული მასალის არცოდნა ედ. შვარცს გამოელევინა მნიშვნელოვან ხარვეზად მოჩანს. მაგრამ აქ ერთი გარემოება იჩენს თავს: როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. გაწერელია, ედ. შვარცის დებულება უეჭველად მიაჩნიათ იმ მკვლევარებსაც, რომლებიც მშვენივრად იცნობენ ქართულ წყაროებს და კერძოდ „პეტრეს ცხოვრების“ ქართულ ვერსიას. თავისი ანდერძებით. ო. ბარდენჰოვერს, მ.-ა. კუგენერს, ი. მარკვარტს, ე. ჰონიგმანს. პ. დეგენს და ბოლოს ს. ყაუხჩიშვილსა და შ. ნუცუბიძეს საცილობლად არ მიაჩნიათ, რომ „პეტრეს ცხოვრების“ იმ ტექსტის ავტორი, რომელიც რ. რაბემ გამოსცა, არის იოანე რუფუსი[49].

რასაკვირველია, მარტოოდენ ავტორიტეტების დამოწმება ამა თუ იმ დებულების დასამტკიცებლად მყარ არგუმენტად არ გამოდგება, მაგრამ, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ესოდენ კვალიფიციურ სპეციალისტთა საერთო აზრთან, რომელიც შემუშავებულია არა სხვათა ავტორიტეტზე დაყრდნობით, არამედ თითოეული აქ დასახელებული მეცნიერის მიერ პრობლემის უშუალო კვლევის საფუძველზე, ეს ფაქტი უდავოდ გასათვალისწინებელი და ფრიად ანგარიშგასაწევია.

ი. ლოლაშვილმა შეიძლება გვისაყვედუროს, რომ ჩვენ ორჯერ აღვნიშნეთ: „ამ რთულ პრობლემაში ღრმად შეჭრას არ ვაპირებთ“, ან „ჩვენ არ ვაპირებთ არეოპაგიტიკის ამ პრობლემის კვლევაში მონაწილეობის მიღებას და არც ი. ლოლაშვილის დებულებათა და მოსაზრებათა ყოველმხრივ განხილვას“, მაგრამ მაინც საკმაოდ გადაჭრით ვეგზრობით მისი დებულების საწინააღმდეგო აზრს. ჯერ ერთი, სხვა საქმეა პრობლემის კვლევაში ღრმად შეჭრა და საკითხის ყოველმხრივი შესწავლა და სხვაა მოკამათე მხარეთა არგუმენტაციაში გარკვევა და იმის გაგება, ვისი საბუთებია უფრო დამაჯერებელი. მთავარი კი ჩვენთვის ამჯერად ისაა, რომ ი. ლოლაშვილმა ჩვენის აზრით, ვერ შეძლო ედ. შვარცის იმ მთავარი დე-

---

[48] ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83—84.

[49] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, წიგნი არეოპაგიტიკის საკითხებზე, გვ. 157—158; მ ი ს ი ვ ე, ისევ..., გვ. 152—154, აქვე მითითებები დასახელებულ ავტორთა ნაშრომებზე.

ბულების შეხედვა, რომ რ. რაბეს მიერ გამოცემული „პეტრეს ცხოვრება“ იოანე რუფუსს ეკუთვნის. ამრიგად, ყოველშემთხვევაში ჯერჯერობით, არ არსებობს საფუძველი კატეგორიული განცხადებისათვის, რომელსაც აკეთებს პატივცემული მკვლევარი: „ამრიგად იოანე რუფუსი არ შეიძლება ვცნოთ „პეტრეს ცხოვრების“ ავტორად[50].

და ბოლოს თვით ზაქარია ქართველის შესახებ. როგორც აღნიშნული იყო, მის შესახებ ცნობებს შეიცავს მხოლოდ ის ანდერძები, რომლებიც პეტრეს „ცხოვრების“ ქართულ ვერსიას აქვს დართული. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ მეცნიერთა უმეტესობა უარყოფს ამ ზაქარიას რეალურობას, მას გამოგონილ პირად მიიჩნევს; ფიქრობენ, რომ თავდაპირველად XIII საუკუნეში მაკარი მესხს, რომელსაც ხელთ ჰქონდა „ცხოვრების“ ასურული ანონიმური ტექსტი, მის ავტორად მიუჩნევია ცნობილი მოღვაწე ზაქარია რიტორი, რადგან იცოდა, რომ უკანასკნელს ჰქონდა დაწერილი „პეტრე იბერის ცხოვრება“, ხოლო შემდეგდროინდელ გადამმუშავებლებს (შესაძლოა პავლე დეკანოზს) ეს ზაქარია რიტორი ქართველად უქცევიათ[51].

ი. ლოლაშვილს ეჭვი არ ეპარება ზაქარია ქართველის რეალურობაში და ზაქარიასა და მაკარის ანდერძთა სანდოობაში, ამასთან როგორც აღვნიშნეთ, ის ამ ზაქარია ქართველს თვლის არა მარტო ქართული ვერსიის, არამედ რ. რაბეს მიერ გამოცემული ვერსიის. უფრო ზუსტად ამ ვერსიის „პროტოტიპის“ ავტორადაც. ი. ლოლაშვილის ამ მოსაზრების არგუმენტაციასაც საკმაოდ დაწვრილებით და არაერთგზის შეეხო. ა. გაწერელია და მრავალი კონტრარგუმენტიც მოიტანა[52]. ჩვენ ყველა მათ აქ დაწვრილებით არ განვიხილავთ, თუმცა შემდგომი ნაჯელობისას უმეტესწილად მათ ვითვალისწინებთ.

საქმე შემდეგში გახლავთ: იმისთვის, რომ ჩვენ ვამტკიცოთ ზაქარია ქართველის რეალურად არსებობა და პეტრეს „ცხოვრების“ მისი კალმისადმი კუთვნილება, უნდა, პირველ რიგში, სრულიად ეჭვმიუტანლად დავამტკიცოთ, რომ ქართული ტექსტისათვის დარ-

---

[50] ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[51] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ... საკითხები, გვ. 148—169; აქვე დანარჩენი ლიტერატურა.

[52] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ისევ..., 141—167; მ ი ს ი ვ ე, ისევ „ზაქარია ქართველის“ შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, №№ 32, 33, 34; მ ი ს ი ვ ე, წიგნი არეოპაგიტიკის პრობლემებზე, გვ. 130—170.

თული ზაქარიასა და მაკარი მესხის ანდერძები ნაშდვილად მათ ეკუთვნის. ეს კი, ჩვენის აზრით, ვერ მტკიცდება.

ი. ლოლაშვილი აღნიშნავს: „საეჭვოა პავლეს ინდენი თვითნებობა გამოეჩინა, რომ ზაქარიას ანდერძი შეეთხზა, თუ ის მის ხელთ არსებულ დედანს არ ჰქონდა“[53]. მაგრამ ეს არგუმენტი არაა. ჩვენ არაერთი მაგალითი ვიცით, როცა ამგვარი და უარესი ფალსიფიკაციები ხდებოდა, განზრახ თუ უნებლიე შეცდომის გამო. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა პავლე დეკანოზი განზრახ „ყალბისმქმნელად“, შეგნებულ „ფალსიფიკატორად“ გამოვაცხადოთ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მას უნებლიე შეცდომაც მოსვლოდა, რაიმე მიზეზით, თუნდაც მისი არასაკმაო განათლების გამო[54]. ჩვენ ხომ დღესაც, თანამედროვე მეცნიერების მაღალი დონის პირობებში, არაერთი შემთხვევა გვაქვს. როცა მკვლევრები, წყაროთა თავისებური ინტერპრეტაციის საფუძველზე, სრულიად გაუმართლებლად აცხადებენ ცალკეულ ისტორიულ პირებს ამა თუ იმ ეროვნების კუთვნილად (მაგალითად მითრიდატე პონტოელსა და ბიზანტიის იმპერატორთა კომნენოსების დინასტიას ქართველებად, გრიგოლ ბაკურიანის-ძეს სომხად და სხვ.). ხომ შეიძლებოდა ასეთივე შეცდომა მოსვლოდა პავლე დეკანოზსაც, ან მის წინამორბედ რომელიმე სხვა მოღვაწეს და უკანასკნელზე დაყრდნობით პავლეს პეტრეს „ცხოვრების“ ავტორი ქართველად გამოეცხადებინა. ასეთი შესაძლებლობა საკმაოდ დასაშვებია და აპრიორი მასში ეჭვის შეტანა საქმეს არ შველის, მით უფრო რომ პავლე დეკანოზის ხელი ტექსტს სრულიად აშკარად ეტყობა[55]. ამავე დროს, არსებობს არაერთი საფუძველი აღნიშნულ ანდერძთა სანდოობაში ეჭვის შესატანად.

ე. წ. „ზაქარიას ანდერძში“ ნათქვამია, რომ „მე, გლახაკი ზაქარია, ქართლიდანვე უკანა შეუდეგ წმიდასა მას“[56]. ჯერ კიდევ ა. გაწერელიამ შენიშნა ამ ცნობის აშკარა სიყალბე. მან აღნიშნა, რომ კიდეც თუ დაკუშვებთ რომ ზაქარია პეტრეს თანატოლი იყო და, მაშასადამე, დაახლოებით 12 წლისა (უფრო საფიქრებელი კია, რომ ის უფროსი იყო), გამოვა, რომ მას პეტრეს გარდაცვალების შემდეგ, როგორც დადგენილია, 518 წ. დაწერილი თხზულება და-

---

[53] ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

[54] ა. გაწერელიამ შენიშნა „ცხოვრების“ ქართული ვერსიაში არსებული რამოდენიმე მცდარი, აღრეული ცნობა და აშკარა ანაქრონიზმი, იხ. ისევ..., გვ. 167.

[55] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ისევ..., გვ. 165—167.

[56] ძეგლები, II, გვ. 262.

ახლოებით 100 წლისას უნდა შეედგინა, ან უფრო ხნიერს, რაც ძნელი დასაჯერებელია[57]. ამ შეუსაბამობას გრძნობს ი. ლოლაშვილიც; იგი აღნიშნავს, რომ საეჭვოა 12 წლის მურვანოსს ქართლშივე ჰყოლოდა მოწაფეები, ამასთან ზაქარია არ ჩანს უფლისწულის ამალაში ქართლიდან უკანასკნელის წასვლის დროს, არ უნდა ყოფილიყო ის პეტრესთან არც კონსტანტინეპოლში, არც იერუსალიმში გაჭცევისას; თუმცა ქართულ ტექსტში ზოგან შეტანილია შესწორება და ზაქარია პეტრესთან ჩანს კონსტანტინეპოლშიაც და იერუსალიმში მოგზაურობის დროსაც, მაგრამ ეს შესწორებები არათანამიმდევრულადაა გაკეთებული: ზოგან აკტორი პირველი პირით აღწერს მოვლენებს („ჩვენ", „წარვემართენითო", „წარვლეთ", „მივიწიენით" და სხვ.), ზოგან კი ამავე ეპიზოდებში— მესამე პირით („დაშურიან", „მოიღიან", „იხილიან" და სხვ.); მაშ ერთისა და იმავე ეპიზოდის აღწერისას ავტორი ხან თანამონაწილე ჩანს ამბებისა, ხან არა. ი. ლოლაშვილი ამ შეუსაბამობას ასე ხსნის: ზაქარია პეტრეს, რომელიც უკვე მაიუმში მოღვაწეობდა, ქართლიდან დაემოწაფა, შემდეგ (480-იან წლებში) ჩავიდა პეტრესთან და მისი თანმხლები (თანამოსენაკე) გახდარა, ამიტომ „ცხოვრების" პირველი ნაწილი მას განაგონის საფუძველზე შეუთხზავს, ხოლო მეორე ნაწილი, იმ დროიდან, რაც ის პეტრესთან მივიდა, უკვე როგორც თვითმხილველს აღუწერია. მაგრამ, რაკი ზაქარია ქართველი ამბობს, „მოწაფე მისი ქართლითგანვე, უკანა შეუდეგ წმიდასა მას", ვიღაც მწიგნობარს (პავლეს თუ სხვას) თხზულების ავტორი პეტრეს მთელი ცხოვრების თანაბამხდურად ჰგონებია, მას ადგილ-ადგილ ტექსტიც შესაბამისად შეუცვლია, მაგრამ ნაწილობრივ და უწესრიგოდ[58].

რასაკვირველია, სურვილის შემთხვევაში ყოველგვარი შეუსაბამობის ახსნა შეიძლება, მაგრამ საეჭვოა ზაქარიას ეთქვა — „მოწაფე მისი ქართლიდანვე, უკანა შეუდეგ წმიდასა მას" — და ეგულისხმა, რომ ის მერე, მოგვიანებით, მაიუმში მყოფ პეტრეს ქართლიდან დაემოწაფა და იქ ჩავიდა მასთან[59]. უფრო საფიქრებელი არაა, რომ

---

[57] ა. გაწერელია, ისევ..., გვ. 166.

[58] ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149—150.

[59] ამ ტექსტის ასეთი ახსნის არადამაჯერებლობა აღნიშნა ა. გაწერელიამაც, ამასთან შენიშნა: მეტად ხელოვნური ჩანს ის, რომ მართლმადიდებლურ ქართლში ცხოვრობდა ვიღაც ზაქარია— მას გაუგია, რომ მაიუმში იმყოფება ასკეტი ბერი, მონოფიზიტი პეტრე, გამხდარა მისი მხურვალე მიმდევარი, ჩასულა მასთან და მისი მოსენაკე გამხდარა (იხ. წიგნი არეოპაგიტიკის საკითხებზე, გვ. 142). უფრო ქვევით

ზაქარიას ანდერძი და ტექსტში ზოგან უწესრიგოდ შეტანილი შესწორებანი ერთდროული მოვლენაა — შეითხზა ანდერძი და შესაბამისად იქნა შეტანილი შესწორებანი ტექსტში? რასაკვირველია, აუცილებელი არაა, რომ ანდერძის შეთხზვა და შესწორებათა ტექსტში შეტანა ზუსტად ერთდროულად მომხდარიყო; გამორიცხული არაა, რომ ერთმა პირმა შეთხზა ანდერძი და არ მიაქცია ყურადღება ანდერძსა და ტექსტის შეუსაბამობას, ხოლო მერე სხვამ (პავლემ ან სხვა ვინმემ) ეს შეუსაბამობა შეამჩნია და სცადა შეესწორებინა. მაგრამ კვალიფიკაცია არ ეყო, რომ ეს შესწორებანი თანმიმდევრულად განეხორციელებინა. ისევ თუ ისევ, ყველა ეს მომენტი ფრიად საეჭვოს ხდის ე. წ. „ზაქარიას ანდერძის“ პეტრეს „ცხოვრების“ ნამდვილი ავტორისადმი კუთვნილებას.

ი. ლოლაშვილის აზრით, ჩვენ უნდა ვენდოთ მაკარი ხუცესის ანდერძსაც, ჯერ ერთი, აღსანიშნავია, რომ ამ ანდერძში არსად არაა ნათქვამი, რომ ზაქარია ქართველია. ამას გარდა, თუკი ზაქარია ქართველი არა მარტო ქართული „პეტრეს ცხოვრების“, არამედ ასურული ვერსიის ავტორიცაა, მაკარი მესხია ცნობა, რომ მას (ზაქარიას) პეტრეს „ცხოვრება“ „ასურებრითა ენითა“ აღუწერია ზუსტი არაა. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ რაბბეს მიერ გამოცემული ასურული ტექსტი ბერძნული დედნიდან მომდინარეობს და, მაშასადამე, თავდაპირველად ეს „ცხოვრება“ ბერძნულად ყოფილა დაწერილი, ე. ი. მაკარი მესხს არ ჰქონია მთლად ზუსტი ცნობები ზაქარიას შესახებ, უფრო სწორედ მას, ვისაც ეს ანდერძი (და საფიქრებელია ზაქარიას ანდერძიც) შეუთხზავს, არ ჰქონია ასეთი ცნობები და ალბათ არც ზაქარიას ვინაობა სცოდნია ზედმიწევნით.

და ბოლოს, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ჩვენს ხელთ არსებული ქართული ტექსტი პავლე დეკანოზის მიერაა გამართული და შევსებული. პავლეს ანდერძში ნათქვამია, რომ მის ხელთ არსებულ დედნს აკლდა შესავალიც და დასასრულიც („...არცა შესავალი რა იყო და არცა დასასრული“) და თვით პავლეს

ა. გაწერილია აღნიშნავს რა რაბბესეული „ცხოვრების“ ავტორის ღრმა თეოლოგიურ განსწავლულობას, ორთოდოქსალურ მონოფიზიტობას, ვრცელ და უშუალო ცოდნას ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე ამბებისა, სამართლიანად სვამს საკითხს, როგორ მოასწრო ქართლიდან 482 წ. ჩასულმა ჭაბუკმა ყოველივე ზემოაღნიშნულის შეძენა, ბერძნული და ასურული ენების ისე ღრმად შესწავლა, რომ შესანიშნავი თხზულების დაწერა შეძლო ბერძნულად უკვე დაახლოებით 500 წ., როგორც ფიქრობს ი. ლოლაშვილი (იქვე, გვ. 162).

.....გაცამეტრცელებია შესავლითაცა და სასწაულთა მიწყებითა და ბოლოსა კეთილად დასრულებითა"[60]. მაშ პავლეს განკარგულებაში ყოფილ ხელნაწერს ბოლო ნაწილი აკლდა. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, ტექსტს თუ ბოლო ნაწილი ჰკლებია, სწორედ ბოლოში მიწერილი ზაქარიას და ნაკარი ხუცესის ანდერძები როგორღა შეეთინახა? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს ორი ანდერძი ძირითადი ტექსტის შიგნით იყო სადმე ჩართული?

ამრიგად, ფაქტიურად ერთადერთი წყარო, რომელშიაც დასახელებულია „ზაქარია ქართველი", ესაა ქართული „ცხოვრების" ანდერძები და ისინი კი ყველა ნიშნით აშკარად გვიანდელი შეთხზულია და ამიტომ მათზე დაყრდნობა მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. თუ ყოველივე ზემოთქმულს დავუმატებთ იმ მეტად კონკრეტულ მასალას, რომელიც მოტანილი აქვს ა. გაწერელიას რწმის საილუსტრაციოდ, რომ არავითარი „ზაქარია ქართველი" არ არსებობდა, რომ იგი არსად ჩანს პეტრე იბერის მოსენაკე-მოწაფეთა შორის და რომ რ. რაადეს მიერ გამოცემული „ცხოვრება" არ შეიძლება საერთოდ ქართველის მიერ იყოს დაწერილი[61], უნდა საბოლოოდ დავასკვნათ, რომ პეტრე იბერის ასურული „ცხოვრება" დაწერილია არაქართველის იოანე რუფუსის მიერ, დაახლოებით 518 წ. ამდენად მის ცნობებს ქართლის სამეფო კარის ისტორიის შესახებ ვერ მივანიჭებთ რაიმე უპირატესობას ქართულ წყაროებთან შედარებით, მით უფრო, როცა ამ უკანასკნელთ ადასტურებს სომხური წყაროებიც[62].

აღსანიშნავია, რომ ლ. ჯანაშია სავსებით მართებულად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ თვით პეტრე იბერის „ცხოვრების" ანალიზიც არ იძლევა საფუძველს პეტრეს პაპა ქართლში ქრისტიანობის გამავრცელებელ მეფედ მივიჩნიოთ. ბაკურის დასახასიათებლად და მის განსადიდებლად ავტორი ისეთ, შედარებით წვრილმან ამბებს ყვება, რომ შეუძლებელია მას გამორჩენოდა ისეთი ნიშანდობლივი მოვლენა, როგორიც იყო ქართლის მოქცევა, ის რომ პაკურთან ყოფილიყო დაკავშირებული და მის შესახებ

---

[60] Н. Марр, Житие Петра Ивера, стр. 53—54.

[61] იხ. ა. გაწერელიას ზემოთ დასახელებული სტატიები.

[62] ჩვენ არ ვენებით პეტრეს „ცხოვრების" ქართული ვერსიის ავტორისა და ამ ვერსიის რუფუსის შრომასთან მიმართების საკითხს, რადგან იგი ჩვენი თემისათვის საინტერესო არაა.

უფრო დაწვრილებით არ მოეთხრო.|ამიტომ ლ. ჯანაშიას აზრით, ცნობა, თითქოს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე იყო პეტრეს პაპა ბაკური, გვიანდელი ჩართულია პეტრეს განსადიდებლად; ის თვით ცხოვრების ავტორს არ ეკუთვნის[63].|

რაც შეეხება პეტრე იბერის ჩამომავლობას და მისი წინაპრების სახელებს, ეს საკითხიც აგრეთვე ჯერ კიდევ საკვლევია. ცნობილია, რომ პეტრეს „ცხოვრების“ ქართული ვერსიის მიხედვით პეტრე (მურვანოს) შვილი იყო ვარაზ-ბაკურისა, რომელიც „მეოთხე მეფე იყო... მირიან მეფითგან“[64]. ეს მეფე ვარაზ-ბაქარის სახელით ცნობილია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებისთვისაც“[65]. ასურული ვერსიის თანახმად კი, პეტრეს (ნაბარნუგიოსის) მამა იყო ბოზმარიოს II, ძე ბოზმარიოს I-სა, ხოლო დედით კი მ-სა პაპა იყო ბაკური, აქვეა დასახელებული ამ უკანასკნელის ძმა — არსილოსი (როგორც ჩანს — არჩილი), პეტრეს დედა ბაკურ-ლუხტია და სხვა ნათესავები[66]. როგორც ვხედავთ დამთხვევები არაა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ „ქართლის ცხოვრებით“ პეტრეს დედით ნათესავებს შორის არის არჩილი, მაგრამ არა პეტრეს პაპის ძმა, არამედ ბევრად შორეული ნათესავი, ხოლო ვარაზ-ბაკურის პაპა (მამის მამა), არის მირიანის ძე ბაქარი, რომელიც სახელის მიხედვით შეიძლებოდა გაგვეიგივებინა ასურული „ცხოვრების“ ბაკურთან, მაგრამ პეტრეს ნათესაობა ბაქართან სრულიად სხვაა, ვიდრე „დიდ ბაკურთან“[67].

როგორ უნდა ავხსნათ ეს შეუსაბამობა, ან ის, რომ ქართულ წყაროებში საერთოდ არაა ბუზმარიოსების ხსენება? საიდან, რა წყაროებიდან აიღო იოანე რუფუსმა ქართლის ამ მეფეთა, პეტრეს დედის, პაპის, პაპის ძმის სახელები, იყვნენ თუ არა ისინი რეალური პირნი? როგორც ჩანს იყვნენ. რადგან, ჯერ ერთი, იოანე რეფუსს, როგორც პეტრეს მოწაფესა და მასთან დაახლოებულ პირს, სწორედ მისგან უნდა გაეგო მისი ნათესავ-მშობლების სახელები, და გარდა ამისა, პალესტინის უდაბნოს ქართული მონასტრის წარწერაში, რომელიც პეტრე იბერთანაა დაკავშირებული,

---

63 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 74—75.

64 ძეგლები, II, გვ. 215.

65 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 132.

66 R. Raabe, Petrus der Iberer..., გვ. 15—16, 248—249.

67 განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს ყველაფერი ჩანს ი. ლოლაშვილის მიერ შედგენილ გენეალოგიურ ტაბულაზე: არეოპაგიტიკის პრობლემები, გვ. 155.

მოხსენიებული „ბურზნ..“ რეალურად ასურული ტექსტის „ბუზმარიოსს“ უნდა უდრიდეს[68]. მაგრამ იყვნენ კი პეტრე იბერის ეს წინაპრები ნამდვილად ქართლის მეფეები, რატომ არ ჩანან ისინი ქართულ წყაროებში? ან თვით პეტრეს ერისკაცობის სახელი: ასურული „ცხოვრება“ და აგრეთვე იოანე რუფუსის „პლეროფონიები“ გვაწვდიან სახელს „ნაბარნუგიოს“, ქართულში კი გვაქვს „მუერვანოს“, თანაც ეს უკანასკნელი დადასტურებულია იმავე ბეთლემის ქართული წარწერით „მარუან“ ფორმით[69]. საიდან აიღო იოანე რუფუსმა სახელი „ნაბარნუგიოს“? ყველა ეს საკითხი საკვლევი და გასარკვევია და სანამ ეს არ მოხდება, პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ცნობათა გამოყენება ქართლის სამეფო კარის ისტორიისათვის, ვიმეორებთ, გამართლებული არ იქნება.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დღესაც დავეთანხმოთ კ. კეკელიძეს, რომელიც უპირატესობას მაინც ქართულ წყაროებს ანიჭებდა და აღნიშნავდა: „შეუძლებელია და დაუჯერებელი, რომ ქართულ ეკლესიას დავიწყებოდა სახელი თავისი პირველი ქრისტიანი მეფისა“[70].

საიდან უნდა გაჩენილიყო პეტრეს ასურულ „ცხოვრებაში“ ცნობა მეფე ბაკურის, როგორც პირველი ქრისტიანი ქართველი მეფის შესახებ, ძნელი სათქმელია. აქ მრავალნაირი ვარაუდია შესაძლებელი. ერთი ასეთი ვარაუდი ს. ჯანაშიამ წარმოადგინა: მისი აზრით, უცხოური(ბერძნულ-ასურული) წყაროების ბაკური არის მირიანის მემკვიდრე და მომდევნო მეფე ბაკური (ლეონტი მროველით ბაქარი), რომელიც ქართული მატიანით მძევლად იყო კონსტანტინეპოლში; შესაძლოა მისი მძევლობა გვიანდელი შენათხზი იყოს, მაგრამ სავსებით დამაჯერებელია, რომ მას იმპერატორის კარზე ეცხოვრა, ქართლის სამეფო სახლიდან ქრისტიანობა მართლაც პირველს მიეღო, რის გამოც გარკვეულ წრეებს ის გამოეცხადებინათ პირველ ქრისტიან მეფედ[71]. სავსებით დასაშვები ვარაუდია, მაგრამ ასახსნელი რჩება პეტრეს ასურული „ცხოვრების“ ქართლის მეფეთა სიის შეუსაბამობა ქართულ წყაროთა მონაცე-

---

[68] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 19—26.

[69] იქვე, გვ. 18—19.

[70] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, III, გვ. 18.

[71] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „შრომები“, წ. I, 1949, გვ. 228—229.

ნებთან. ერთი სიტყვით. ს. ჯანაშიას მოსაზრება მაინც ვარაუდად რჩება.

სრულიად ახლებურად დააყენა ეს საკითხი შ. ამირანაშვილმა: იგი ეყრდნობა ე. ჰერცფელდის აზრს, რომ მიჰრან-მირიანი არ არის საკუთარი სახელი, არამედ აღნიშნავს ძველ არშაკიდულ საგვარეულოს, რომელიც პატივში იმყოფებოდა ირანში სასანიანთა ეპოქაშიაც. მაშასადამე „ქართლის ცხოვრებაში" შენახული სახელი ქართლის პირველი ქრისტიანი მეფისა, რეალურად სახელი კი არაა, არამედ გვარი; შემდეგ შ. ამირანაშვილს მოაქვს ლეონტი მროველის თხრობა მირიანის გამეფების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ მირიანი (ანუ მიჰრანი) იყო ძე სპარსთა მეფის ქასრესი და ქართლის მესვეურთა თხოვნით დაჯდა ქართლის ტახტზე უძეო ასფაგურ მეფის სიკვდილის შემდეგ. შ. ამირანაშვილი თვლის, რომ რეალურად აქ უნდა ვიგულისხმოთ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მიჰრანთა სახელოვან გვარისადმი კუთვნილება და ასკვნის, რომ ამ მიჰრანიანის პირადი სახელი უნდა იყოს ბაკური. „პეტრე ქართველის ცხოვრების პერსონაჟი ბაკური და ქართული მატიანეს მიჰრან-მირიანი ერთი და იგივე პირია. ამრიგად, საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იყო ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე — ბაკური თუ მირიანი, დამაჯერებლად არის გადაჭრილი"[72].

ვფიქრობთ, რომ მოტანილი მსჯელობა სწორედ დამაჯერებლობასაა მოკლებული და მეტად ხელოვნურად გამოიყურება. ჯერ ერთი, მას საფუძვლად უდევს მირიანის სპარსული ჩამომავლობის ლეონტისეული ვერსიის ისტორიულ ფაქტად აღიარება, რაც თავისთავად ძნელი გასაზიარებელია. ცნობილია, რომ ლეონტი მროველს და მასთან ერთად ჯუანშერს, ქართლის ყველა მეფე, დაწყებული ნებუთე მეფე არშაკიდან, ვიდრე ვახტანგ გორგასალამდე, უცხოური წარმოშობისად ჰყავთ დასახელებული — ჯერ არშაკიდებად, შემდეგ ხოსროიანებად. რაც გარკვეული ტენდენციის ნაყოფი უნდა იყოს და არა ისტორიული სინამდვილის ასახვა (იხ. ზევით, გვ. 42-43). ამას გარდა, ლეონტი მროველის ამ ვერსიას ეწინააღმდეგება „მოქცევაჲ ქართლისაჲ", რომელიც არაფერს ამბობს მირიან მეფის სპარსელობაზე და მას ქართველსავე მეფის ლევის (როგორც ჩანს რევის) შვილად აცხადებს[73]. თავისთავადაც ძნელი დასაჯერებელია,

---

72 შ. ამირანაშვილი, არმაზისხევში გათხრების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი, გვ. 91—92.

73 ძეგლები, I, გვ. 83.

რომ ქართული წყაროებისათვის უცნობი დარჩენილიყო ქართლის მეფის, ისიც პირველი ქრისტიანი მეფის ნაბდვილი სახელი, მით უფრო, რომ მოვსეს ხორენაციც ამ სახელს ინახავს და ლათინური წყარო ამბობენ მარცელინეც[74]. ამრიგად, ვერც ეს მოსაზრება ხსნის ბაკურის პირველ ქრისტიან მეფედ გამოცხადებას დაეჭვებლად.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დღევანდელ პირობებში, სანამ არ დამტკიცებულა უცილობლად ბერძენ იბერის ასურული „ცხოვრების" ცნობის ეტყუარობა, ქართლის იმ მეფედ, რომლის დროსაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, უნდა ვაღიაროთ მ ი რ ი ა ნ ი.

2. აზრთა მნიშვნელოვან სხვადასხვაობას იწვევს ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადების თარიღის საკითხიც. სხვადასხვა მკვლევარები (დიუბუა დე ნონპერე, დიმ. ბაქრაძე, პ. იოსელიანი, თ. ჟორდანია, მ. ბროსე, ა. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი. კ. ცინცაძე. ს. გორგაძე და სხვ.) სრულიად განსხვავებულ თარიღებს (317, 318, 326.330, 337 წწ.) ასახელებენ. ყველა ამ მოსაზრებათა აქ განხილვას არ მოვახდენთ, რადგან დასახელებული ავტორები ან საერთოდ დასაბუთების გარეშე იძლევიან ამა თუ იმ თარიღს, ან მხოლოდ წყაროთა ერთი რიგის საფუძველზე გამოაქვთ თავისი დასკვნები.

აზრთა არსებითი განსხვავება ისევ ივ. ჯავახიშვილსა და კ. კეკელიძეს აქვთ. ჯერ კიდევ 1913 წ. ივ. ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის" I ტომში ქართლის გაქრისტიანება დაათარიღა 330-იანი წლებით. 1926 წ. კ. კეკელიძე საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს და მივიდა დასკვნამდე, რომ ქართლის გაქრისტიანება შეუძლებელია 330 წ-ზე ადრე მოხდარიყო. რომ მას რეალურად ადგილი ჰქონდა არა კონსტანტინე I, არამედ კონსტანცის იმპერატორობის დროს. ე. ი. 337—361 წლებში, უფრო კონკრეტულად 355—356 წწ[75]. 1928 წ. ივ. ჯავახიშვილი ზემოხსენებული შრომის ახალ გამოცემაში უკვე საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს, განიხილა კ. კეკელიძის ყველა არგუმენტი, არ დაეთანხმა მათ და ყველავ 330-იანი წლები, უფრო კი 337 წ. დაადასტურა ქართლის გაქრისტიანების თარიღად[76]. კ. კეკელიძე დიდხანს არ გამოხმაურებია თავისი შე-

---

[74] გეორგიკა, I, გვ. 101, შეად. გვ. 60—61.

[75] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „მიმომხილველი", გვ. 31—36.

[76] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ეროს ისტორია, I, 1951, გვ. 225—228.

ხედულების ამ კრიტიკას, სხვა მკვლევარნი საკითხს სპეციალურად არ შეხებიან და ასე მოხდა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული თარიღი. მაგრამ 1955 წ. გამოქვეყნებულ სპეციალურ წერილში კ. კეკელიძე კვლავ დაუბრუნდა ამ პრობლემას, მოიშველია ზოგი ახალი არგუმენტი და გაიმეორა თავისი მოსაზრება, თანაც განაცხადა, რომ „დღეს უკვე გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქართლში ქრისტიანობა მიღებულ იქნა ოფიციალურად არა კონსტანტინე დიდის, არამედ მისი შვილის, იმპერატორ კონსტანცის დროს, IV ს. მეორე ნახევრის დასაწყისში. 350—356 წლებში"[77]. კ. კეკელიძის ამ განცხადებას არავინ გამოხმაურებია, მისი დებულებები და საბუთები არავის უარუყვია, მაგრამ საქართველოს ისტორიის შესახებ ნაშრომებში ძველებურად ივ. ჯავახიშვილის თარიღი იყო ყველგან აღნიშნული. ამავე დროს კ. კეკელიძის არგუმენტები გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს და არ შეიძლება მათი უბრალო უგულვებელყოფა, მით უფრო, რომ 1931 წ. კეკელიძისგან დამოუკიდებლად, მსგავსსავე დასკვნამდე მივიდა იოსებ მარკვარტიც; მანაც ქართლის მონათვლა იმპერატორ კონსტანცის ხანით, 350—356 წწ. დაათარიღა და ქართლში ქრისტიანობის არიანული ფორმის შემოსვლა აღიარა კ. კეკელიძის მსგავსად[78].

კ. კეკელიძეს თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მოაქვს საკმაოდ მრავალრიცხოვანი საბუთი, რომელთაგან ზოგიერთი უდავოდ ანგარიშგასაწევია და მოითხოვს საგანგებო განხილვას. ივ. ჯავახიშვილმა ამ საბუთთა უმეტესობა უარჰყო, მაგრამ, ვინაიდან კ. კეკელიძემ თავისი მოსაზრება კვლავ გაიმეორა და თანაც საბოლოოდ გარკვეულად ჩათვალა, საჭიროდ მივიჩნიეთ ამ მოსაზრებებს კვლავ დავუბრუნდეთ.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ყველა წყაროში იბერიის მოქცევის უახლოეს საბაბად დასახელებულია მზის დაბნელება, ხოლო ასტრონომ ოპოლცერის მიერ შემუშავებული ცხრილების თანახმად, ჩვენთვის საინტერესო ხანაში მზის დაბნელებას ადგილი ჰქონდა 319. 346, 348 და 355 წლებში. კ. კეკელიძე უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს, რადგან სწორედ 355 წ. 28 მაისს დაბნელება თითქმის სრული უნდა ყოფილიყო[79].

---

[77] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ეტიუდები", III, 16; შეად. მისივე, „მნათობი", გვ. 16.
[78] J. M a r k w a r t, Die Bekehrung Iberiens..., გვ.გვ. 112, 120.
[79] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „მიმომხილველი", გვ. 38.

მაგრამ ივ. ჯავახიშვილმა აჩვენა, რომ ეს საბუთი მეტად არაშეყარ საფუძველზეა აგებული. საქმე ისაა, რომ მზის დაბნელება ნახსენებია მხოლოდ წმ. ნინოს „ცხოვრების“ ჭელიშურ ვარიანტში, რომელიც IX საუკუნეშია შესრულებული, ხოლო ყველა დანარჩენ წყაროში (ქართულში, ბერძნულ-ლათინურში, სომხურში) ლაპარაკია მხოლოდ სქელ ბურუსზე, რომელმაც გარემო მოიცვა[80]. აღსანიშნავია, რომ შემდეგ კ. კეკელიძეს ეს არგუმენტი აღარ გაუმეორებია.

შემდეგ კ. კეკელიძე ეწყარება ქართულ წყაროებში მოცემულ ცნობას წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღის შესახებ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გადმოგვცემს, რომ ნინო გარდაიცვალა „ქართლად მოსვლითგან მეათხუთმეტესა წელსა და ქრისტეს ამაღლებითგან 338 წელსა. დასაბამითგან 1838 წელსა“[81]. ასეთივე ცნობაა ლეონტი ბროველთანაც, ოღონდ ნინოს გარდაცვალება ქართლში მოსვლიდან მეთოთხმეტე წელსაა დასახელებული[82].

აღნიშნულ ცნობას კ. კეკელიძე ასე განმარტავს: ქრისტეს ამაღლება მოხდა ახ. წ. 33 წ., ე. ი. ქრისტეს ამაღლებიდან 338 წ. მოდის 33+338=371 წ. და ნინო სწორედ 371 წ. გარდაცვლილა. რაკილა ის მომკვდარა ქართლში მოსვლის მე-15 თუ მე-14 წელს შამ მას ქართლი მოუქცევია 371—15=356 (თუ 371—14=357), ე. ი. 356/7 წ.[83]

მაგრამ ქართულ წყაროებში მოცემულ თარიღთა გამოყენება საკმაო სიძნელეებს აწყდება. ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა და კ. ცინცაძემ გასული საუკუნის ბოლოს აღნიშნეს, რომ აქ ყველაფერი არეულია და ყველგან სადაც წელთაღრიცხვას „ქრისტეს ამაღლებიდან“ იწყებენ, უნდა ვიგულისხმოთ „ქრისტეს დაბადებიდან“[84]. შემდეგ ს. გორგაძემ კონკრეტულ მაგალითებზე აჩვენა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ზოგიერთი თარიღის შეუსაბამობა თვით ამ ძეგლის ცნობებთან იმ შემთხვევაშიაც კი, თუ წელთაღრიცხვას ქრისტეს დაბადებიდან დავიწყებთ[85].

---

[80] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 225.

[81] ძეგლები, I, გვ. 20.

[82] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 127.

[83] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „მიმომხილველი“, გვ. 33—40.

[84] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, 1891, გვ. XVIII—XIX; კ. ც ი ნ ც ა ძ ე, რომელ წელს ბიიღეს ქრისტიანობა ქართველებმა“, „ივერია“, 1899, № 159, გვ. 3.

[85] ს. გ ო რ გ ა ძ ე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, გვ. 2—4; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ახალი ვარიანტი..., გვ. XVIII—XIX, XXIII—XXV.

თავისთავადაც კ. კეკელიძის გამოანგარიშება ძალზე სათუო ჩანს და თვით ქართული წყაროების მონაცემებს ეწინააღმდეგება. თუ ნინო 371 წ. გარდაიცვალა, ამ დროს ბიზანტიაში ვალენტინიანეს I და ვალენტი მეფობენ, ხოლო ორსავე ქართული წყაროთი აქ ამ დროს კონსტანტინეა. კიდეც რომ დავეთანხმოთ კ. კეკელიძეს, რომ კონსტანტინეს ნაცვლად უნდა კონსტანცი ვიგულისხმოთ, ეს უკანასკნელიც ამ დროს კარგა ხნის გარდაცვლილია. უფრო მეტიც, თუ ნინო ქართლში 356 წელს მოვიდა, ქართლის გაქრისტიანება ბევრად უფრო გვიან უნდა ვივარაუდოთ: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ ნინო, ქართლში მოსვლის მერე, სამი წელი ფარულად ცხოვრობდა, ე. ი. 359 წლამდე: მეოთხე წელს, ე. ი. 360 წლიდან იწყო ქადაგება, მეექვსე წელს, ე. ი. 362 წ. „არწმენა ცოლსა მეფისასა, ნანას“, მეშვიდე წელს, ე. ი. 363 წ. „მეფესა არწმენა და აღაშენეს ეკლესია“, მხოლოდ ამის შემდეგ წარავლინეს მოციქულნი მეფე კონსტანტინესთან და ითხოვეს მღვდლების გამოგზავნა: მოციქულთა უკან მობრუნების შემდეგ მონათლეს მხოლოდ ერი[86]. მაშასადამე ამ ანგარიშით ქართლის მოქცევა შეიძლებოდა მომხდარიყო არა უადრეს 363 წ. და ამ დროს კი არც კონსტანცი აღარ არის ცოცხალი, ბიზანტიის სამეფო ტახტზე ზის იულიანე განდგომილი და მის დროს კი მღვდელთა გამოგზავნა და ქართლის მონათვლისათვის ხელის შეწყობა გამორიცხული იყო, რადგან, როგორც ცნობილია, იულიანე ეცადა წარმართობის რესტავრაციას და ქრისტიანობას ებრძოდა.

ერთი სიტყვით, ცხადია, რომ ქართულ წყაროთა აღნიშნულ თარიღებზე დაყრდნობა და მათი ასე პირდაპირ გამოყენება არაა განმარტებული და კ. კეკელიძის ეს საბუთიც არამყარია.

უფრო სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს კ. კეკელიძის შემდეგი არგუმენტი. იგი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ გელასი კესარიელის (უფრო ზუსტად — გელასი კვიზიკელის), რუფინუსისა და თეოდორიტე კვირელის თხზულებებში იბერთა მოქცევის ამბავს წინ უსწრებს ეთიოპელთა გაქრისტიანების აღწერა და შემდეგ ნათქვამია: „ამავე დროს ღმრთის ცნება მიიღეს... იბერებმა“[87]. შემდეგ კ. კეკელიძე ემყარება ვ. ბოლოტოვის ლექციებს ეკლესიის ისტორიაში, სადაც ეთიოპელთა მოქცევა 355/6 წლებით არის დათარიღებული და დასძენს, რომ, რაკი ეთიოპია და იბერია

---

[86] ძეგლები, I, გვ. 84—85.

[87] გეორგიკა, I, გვ. გვ. 186, 201, 209.

ერთსა და იმავე დროს მოიქცნენ, მაშ იბერიაც 355/6 წლებში უნდა მოქცეულიყო[88]. ამასვე იმეორებს იგი 1955 წ. „ეტიუდებში“, ანგერად უკვე ი. მარკვარტზე დაყრდნობით[89]. ეს საბუთი მართლაც დამაფიქრებელი ჩანს. ზემოხსენებულ საეკლესიო ისტორიებში მოთხრობილია ეთიოპელთა მოქცევის შესახებ ფრუმენტიოსის მიერ და უკანასკნელის კურთხევა ეთიოპიის ეპისკოპოსად ათანასე აღექსანდრიელის მიერ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულად არის დადგენილი, ფრუმენტიოსის ხელდასხმა სწორედ 356 წ. უნდა მომხდარიყო[90]. ამას ეყრდნობა ი. მარკვარტიც, როცა კ. კეკელიძისგან დამოუკიდებლად, იბერიის მოქცევასაც IV ს. 50-იან წლებში, კერძოდ 350—356 წლებში ვარაუდობს[91].

ივ. ჯავახიშვილმა სცადა თავის დროს ამ არგუმენტის უარყოფა იმ საბუთით, რომ წყაროებში ნახმარი გამოთქმა „ამავე დროს“, „ამავე ხანებში“ — ზოგადი გამონათქვამია და მის საფუძველზე ქართლის მოქცევის წელიწადის გარკვევა ვერ მოხერხდება; მისი აზრით, „...ამ განუსაზღვრელი ცნობის გამოყენება მხოლოდ ხანის დაახლოებით გათვალისწინებისათვის შეიძლება“[92].

მაგრამ საკითხი ასე იოლად ვერ გადაწყდება და ამ არგუმენტის უარყოფისთვის უფრო სერიოზული კონტრსაბუთი იქნება საჭირო.

ვითარება ასეთია: გელასი კვიზიკელიც, რუფინუსიც და თეოდორიტე კვირელიც, ისევე როგორც მათზე დამოკიდებული სოკრატე სქოლასტიკოსი და სოზომენე, ფრუმენტიოსის შესახებ თხრობას საკმაოდ შორიდან იწყებენ, კერძოდ იმ დროიდან, როდესაც ის და მისი ბიძაშვილი ედესიუსი თავიანთ ბიძასთან და მასწავლებლებთან — მეროპიუსთან ერთად გაემგზავრნენ ეთიოპიისაკენ საგზაურად. შემდეგ მოთხრობილია მათი დატყვევება ერთ-ერთ აბისინიურ ნავსადგურში მეკობრეთა მიერ, ყმაწვილთა დანდობა და მათი მიყიდვა ადგილობრივი მეფისთვის, ფრუმენტიოსის მიერ აქ ნდობის მოპოვება, სამეფო კარზე მისი დაწინაურება, შემდეგ მის მიერ ქრისტიანობის ქადაგების დაწყება და ბოლოს ათანასე

---

[88] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „მიმომხილველი“, გვ. 34—37.

[89] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ეტიუდები“, გვ. 16.

[90] A. D i l l m a n, Zur Geschichte des Axumatischen Reiches im 4. bis. 6. Jahrhundert, ABA, 1880, გვ. 6—14; A. J u l i c h e r, Frumentius. RE, 7. Bd., გვ. 126.

[91] J. M a r k w a r t, Die Bekerung Iberiens..., გვ.გვ. 112, 120.

[92] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 227.

ალექსანდრიელის მიერ მისი ეპისკოპოსად კურთხევა[93]. მთელი ამ საკმაოდ ვრცელი მოთხრობის მანძილზე არსად არ არის გაკეთებული არავითარი მინიშნება, ესა თუ ის ფაქტი როდის, ან ვისი მეფობის დროს ხდება, მხოლოდ დასაწყისში, როდესაც მეროპიუსისა და მისი მოწაფეების სამოგზაუროდ წასვლაზეა ლაპარაკი, აღნიშნულია, რომ ეს მოხდა „ნეტარი კონსტანტინეს დროს". მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ მეროპიუსის მოგზაურობას ადგილი ჰქონდა სწორედ კონსტანტინე დიდის მეფობაში, დაახლოებით 330-იან წლებში[94]. შემდგომად ამისა მოთხრობილია ფრუმენტიოსის მთელი ზემოაღნიშნული თავგადასავალი და მოღვაწეობა, ბოლოს აღწერილია ფრუმენტიოსის ხელდასხმა ეპისკოპოსად და უშუალოდ ამის შემდეგ, მომდევნო თავი იწყება სიტყვებით „ამავე დროს მოიქცნენ იბერები". იქმნება შთაბეჭდილება, რომ იბერთა მოქცევა დროის მიხედვით მართლაც უკავშირდება ეთიოპიის გაქრისტიანების ამ ბოლო ეტაპს — ფრუმენტიოსის ეპისკოპოსად კურთხევას, ე. ი. 356 წ.

მაგრამ ჩვენ საქმე სხვაგვარად წარმოგვიდგება. ფრუმენტიოსის ეპისკოპოსად ხელდასხმა რეალურად იმპერატორ კონსტანცის დროს მოხდა: საერთოდაც მისი მთელი საეკლესიო მოღვაწეობა ამ იმპერატორის ზეობაში მიმდინარეობს; მაგრამ ყველა ზემოაღნიშნული ავტორი, როგორც ჩანს, თავის საერთო წყაროზე — გელასი კესარიელზე დაყრდნობით, ამ ამბებს კონსტანტინე დიდის ღვაწლის აღწერისას მოგვითხრობს. როგორც სამართლიანად აღნიშნა ი. შარკვარტმა, აქ ჩვენ შეცდომასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სრულიად გარკვეულ ტენდენციასთან — გაზარდონ კონსტანტინე დიდის დამსახურება და დაამცირონ არიანობის მიმდევარი იმპერატორის კონსტანცის ღვაწლი[95]. მაგრამ ეს თავისებური, ასე ვთქვათ ფალსიფიკაცია ძალზე მოხერხებულად კეთდება: გელასი კესარიელი (და შემდეგ მასზე დამოკიდებული ავტორები) არსად გარკვევით არ ამბობს, რომ ეთიოპიაში ფრუმენტიოსის საეკლესიო საქმიანობა კონსტანტინე დიდის დროს ხდება, მაგრამ ფრუმენტიოსის მოღვაწეობის შესახებ თხრობას შორიდან იწყებს, იმ დროიდან, როცა ყრმა ფრუმენტიოსი ბიძაშვილთან და მასწავლებელთან ერთად

---

[93] Rujin., Hist. eccl., I, 9; Theodorit, I, 22; Sosom., I, 6; Socrat., I, 19.

[94] A. Dillmann. Zur Geschichte..., გვ. 6—10; RE, 7. Bd., გვ. 126.

[95] J. Markwart, Die Bekehrung Iberiens..., გვ. 112.

ეთიოპიისაკენ მიემგზავრება. ამის მერე მოთხრობილია დანარჩენი ამბები, ვიდრე ფრუმენტიოსის ეპისკოპოსად კურთხევამდე და, როგორც აღნიშნული გვქონდა, მთელი ამ საკმაოდ ვრცელი და დაწვრილებითი თხრობის ბანძილზე არსად არ არის მცირე მინიშნებაც კი, როდის, რომელი იმპერატორის მეფობაში მოხდა ესა თუ ის მოვლენა. მხოლოდ დასაწყისში არის ნათქვამი, რომ კონსტანტინე დიდის დროს გაემგზავრნენ ეთიოპიაში მეროპიუსი და ამისი მოწაფეები. ასე მაგალითად, გელასი კვიზიკელის თხრობა ფრუმენტიოსის შესახებ ასე იწყება: „ღმრთისაგან რჩეულმა მეფე კონსტანტინემ, ღმრთისმოსავლებითა და რწმენით აღძრულმა, ღმრთისაგან წარმძღვარებულმა, იღეწა, რათა მრავალი ბარბაროსული ხალხი მისდამი მეგობრულად განწყობილიყო, მიანიჭა რა მათ ღმრთის კურთხევა"... და ამის მერე იწყება თხრობა ფრუმენტიოსზე[96].

რუფინუსი შესაბამის ამბავს იწყებს იმით, რომ აღნიშნავს: დიდი ხნის მანძილზე „შინაგანი ინდოეთი" (ეთიოპია) მოკლებული იყო ნოციქულთა ქადაგების ზემოქმედებას, მაგრამ კონსტანტინე მეფის დროს პირველად შეიქმნა შესაძლებლობა ამაც განეცალებინათ ღმრთისადმი რწმენა; ამას მოსდევს ფრუმენტიოსის თავგადასავალი[97].

ამრიგად ის ფაქტი, რომ ფრუმენტიოსის მოგზაურობა ეთიოპიაში დაიწყო კონსტანტინე I-ის დროს, საეკლესიო ისტორიის ავტორმა გამოიყენა საბაბად, რათა ფრუმენტიოსის მოღვაწეობის აღწერა შეეტანა სწორედ კონსტანტინეს ცხოვრების მოთხრობაში; ეკითხველს შეეძლო ეფიქრა, რომ ფრუმენტიოსის მთელი დანარჩენი მოღვაწეობაც კონსტანტინეს დროს მოხდა, თუმცა, მეორეს მხრივ, მას ვერავინ დასდებდა ბრალს ფაქტების გაყალბებაში — იგი ხომ არსად აღნიშნავს, რომ ფრუმენტიოსის დანარჩენი საქმიანობაც, კერძოდ ეთიოპიის მონათვლა, კონსტანტინეს დროს ხდება.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიტყვები — „ამავე ხანებში", რომლითაც იწყება თხრობა იბერთა მოქცევის შესახებ, უნდა დაუკავშირდეს არა ფრუმენტიოსის მოღვაწეობის ბოლო სტადიას — მის ეპისკოპოსად კურთხევას, არამედ მისი თავგადასავლის აღწერის დასაწყისს. ამდენად, ჩვენ არ უნდა ვეძიოთ კავშირი იბერიის მოქცევასა და ფრუმენტიოსის ხელდას-

---

[96] Gelas. Caesar., Hist. eccl., III, 9.
[97] Rufin., Hist., eccl., I, 9.

ხნის რეალურ თარიღს შორის. საეკლესიო ისტორიის ავტორთა ტენ-დენციის გათვალისწინებით, იბერთა მოქცევა ქრონოლოგიურად უნ-და დაუკავშირდეს სწორედ კონსტანტინე დიდის ხანას. ისტორიკო-სებმა, რომელნიც თავიანთი „საეკლესიო ისტორიების“ შესაბამის თავებში სწორედ კონსტანტინე I-ის საეკლესიო მოღვაწეობაზე მო-გვითხრობენ, აღნიშნეს, რომ ეთიოპიის მომავალი განმანათლებელი კონსტანტინეს დროს გაემგზავრა „შინაგან ინდოეთში“; ამან მათ საბაბი მისცა ფრუმენტიოსის მთელი შემდგომი საქმიანობაც აქვე მოეთხროთ და შეფარვით ეს ფაქტიც — ეთიოპიის გაქრისტიანე-ბაც — კონსტანტინეს მოღვაწეობასთან დაეკავშირებინათ; ამი-ტომ ისინი ბოლომდე გაჰყვნენ ფრუმენტიოსის საქმიანობის აღწე-რას, თუმცა მკითხველს დაუმალეს, რომ ეთიოპიის მოქცევა რეა-ლურად არა კონსტანტინეს, არამედ კონსტანცის დროს მოხდა, ხოლო შემდეგ თავში კვლავ მიუბრუნდნენ კონსტანტინეს ხანას და აღნიშნეს: „ამავე დროს (ე. ი. იმავე კონსტანტინეს ხანაში. — ნ. ლ.) მოიქცნენ იბერებიო“.

ჩვენს მოსაზრებას უნდა ადასტურებდეს სოკრატე სქოლასტი-კოსისა და სოზომენეს ნაშრომთა შესაბამისი თავების ცოტა თავი-სებური დასაწყისი. სოკრატე ასე იწყებს თავს იბერთა მოქცევის შესახებ: „დროა, ვთქვათ იმის შესახებაც, თუ როგორ გაქრისტი-ანდნენ იმავე ხანებში იბერებიც“ (Καιρὸς δὲ ἤδη λέγειν, ὅπως καὶ Ἴβηρες ὑπὸ τὸν αὐτὸν χρόνον ἐχριστιάνισαν).[98] იქნება შთაბეჭდილება, რომ წინამავალ თხრობაში ავტორმა გადა-უხვია თავის ძირითად თემას და ახლა მიიჩნევს, რომ დროა მას დაუბრუნდეს. სოკრატე, როგორც ჩანს, უნებურად გაჰყვა თავის წყაროს (რუფინუსს), კონსტანტინეს დროს დასცილდა, წინ წავი-და. მერმინდელ ამბებს შეეხო, ბაგრამ იგრძნო რა, რომ მკითხველ-ნა შეიძლება კარგად ვერ გაიგოს, ვის დროს მოხდა იბერთა მოქ-ცევა, უბრალოდ კი არ გაიმეორა რუფინუსის „per idem tempus“, არამედ აღნიშნა „დროთა ვთქვათ“ იბერთა გაქრისტიანებაზე და ამით მკითხველს თითქოს მიანიშნა „დროა დავუბრუნდეთ“ ჩვენს ძირითად თემას, ე. ი. კონსტანტინეს დროის აღწერას.

უფრო ნიშანდობლივია ერმია სოზომენეს კონტექსტი: სათანა-დო თავს იგი ასე იწყებს: „ზემოხსენებული მეფობის დროს (Ἐπὶ δὲ τῆς προκειμένης βασιλείας λέγεται...) იბერებმა აღიარეს ქრისტე[99]“..

---

[98] Socrat., Hist. eccl., I, 20.

[99] Sosomen., Hist., eccl., VII, 7.

ოლო ზემოთ კი, ფრუმენტიოსის ღვაწლის თხრობისას, მას მხოლოდ კონსტანტინე ჰყავს მოხსენიებული, ფრუმენტიოსისა და მის თანამგზავრთა სამოგზაურად წასვლის აღწერისას[100]. ცხადია, რომ სოზომენმაც საჭიროდ ჩათვალა დაზუსტება, ვის დროს მოხდა იბერთა მოქცევა.

ამას უნდა შემდეგიც დაემატოს: იმ დროს, როდესაც ფრუმენტიოსის მოღვაწეობის აღწერისას „ეკლესიო ისტორიები" არსად არ ასახელებენ ამა თუ იმ მოვლენის თანამედროვე იმპერატორს, ქართლის მოქცევის აღწერისას ისინი ყველანი სრულიად გარკვევით და არაერთგზის ახსენებენ კონსტანტინეს ე, ი., როდესაც ისინი „ფალსიფიკაციას" მიმართავენ, ცდილობენ კონსტანტინეს მიაწერონ მის შემდეგ მომხდარი ფაქტი, ისინი ამას მაინც შეფარვით აკეთებენ. არ ასახელებენ პირდაპირ იმპერატორს, მხოლოდ დასაწყისში ახსენებენ კონსტანტინეს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც მართლაც მის დროს მოხდა (ფრუმენტიოსის გამგზავრება ეთიოპიაში). ეს გასაგებია, აშკარა სიყალბის ჩადენა არ შეიძლებოდა; უნდა ვიფიქროთ, რომში იყო ისეთი წყაროები (შესაძლოა დოკუმენტებიც), რომელთაც კარგად იცოდნენ, ვის დროს მოხდა ეთიოპიის გაქრისტიანება. იბერთა მოქცევის კონსტანტინეს ხანაში გადმოტანა, რომ მომხდარიყო, ისეთივე ტენდენციის შედეგად, როგორც ფრუმენტიოსის მოღვაწეობის კონსტანტინეს ღვაწლის აღწერისას მოთხრობა, საეჭვოა ავტორებს ასე ხაზგასმით და გარკვევით დაესახელებინათ აქ კონსტანტინე.

ამრიგად, კ. კეკელიძის არგუმენტაცია საკმაოდ საეჭვოდ და არადამაჯერებლად გამოიყურება; ხოლო წყაროებში მოიპოვება მონაცემები, რომლებიც მის მოსაზრებას სრულიად აშკარად ეწინააღდეგება და მხარს უჭერს იმ თვალსაზრისს, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება სწორედ იმპერატორ კონსტანტინე I-ის დროს მოხდა.

ქართლის მოქცევის თანამედროვედ სწორედ კონსტანტინეს ასახელებენ ქართული წყაროები, თანაც აქ ეს იმპერატორი გაკვრით კი არაა ნახსენები, ისე რომ მისი სახელის შეცვლა კონსტანტის სახელით უმტკივნეულოდ შეიძლებოდეს, არამედ საკმაოდ ნიშანდობლივ და გარკვეული ისტორიული ატრიბუციით.

ასე მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" იწყებს რა ქართლის გაქრისტიანების ამბავს, მოგვითხრობს, რომ ეს იყო „ღმერთა კონს-

---

[100] Sosomen., Hist. eccl., VII, 6.

ტანტინე მეფისათა", როცა მეფე კონსტანტინეს, „ძესა კოსტანტინესა" ეპირდა მტერთაგან. შემდეგ მოთხრობილია, რომ კონსტანტინეს მოაყვანინა ეპისკოპოსები იერუსალიმიდან, ანტიოქიიდან, რომიდან და ალექსანდრიიდან; შემდეგ, რომ მან სძლია მტერს ძალითა ჯვრისა[101]. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ს. გორგაძე, აქ ზოგიერთი უზუსტობით ასახულია მაქსენციუსთან კონსტანტინეს ბრძოლა და მილანოს ედიქტი[102].

ამავე მოვლენათა გამოძახილი ჩანს ლეონტი მროველის მატიანეშიაც. აქ მოთხრობილია, რომ მირიანი და სპარსთა მეფე შეიპრონენ სომხეთში, ხოლო შემდეგ საბერძნეთში, ე. ი. რომის იმპერიაში. „და ვერ წინააღუდგა მათ ბერძენთა მეფე კონსტანტინე და შთავარდა მწუხარებასა დიდსა"; მაშინ ეახლნენ იმპერატორს კაცნი ღმრთის-მსახურნი და უთხრეს, რომ „ვიხილეთ საკკრველება ქრიატესი და ძლევა მტერთა მოსავთა მისთაგან, ვითარ ყოველნი მოსავნი ქრისტესნი წარძღუანებითა ჯუარისათა სძლევენ მტერთა მათთა". კონსტანტინემ ირწმუნა მათი, ნათელიღო „და წარმოიღეანა სახე ჯუარისა" და სძლია მტერს[103].

მართალია, აქ მოვლენები აღმოსავთელშია გადმოტანილი, გაუნათებლად არიან საქმეში ჩარეულნი სპარსნი და ქართველნი, მაგრამ აღწერილობის დეტალები აშკარას ხდიან, რომ რეალურად აქ კონსტანტინეს მაქსენციუსთან ბრძოლაა გადმოცემული. თუ შევადარებთ ამ ადგილს ევსევი კესარიელის „კონსტანტინეს ცხოვრებაში" მოცემულ თხრობას კონსტანტინეს და მაქსენციუსის უკანასკნელი ბრძოლის შესახებ რომის მისადგომებთან, მილვიის ხიდთან, დავინახავთ, რომ ბევრი რამ ნიშანდობლივ ემთხვევა და განსხვავება მხოლოდ დეტალებშია: ევსევი წერს, რომ ბრძოლის წინ კონსტანტინეს მოეჩვენა ცაზე ჯვრის გამოსახულება წარწერით: „τούτῳ νίκα", რაც ნიშნავდა „ამით გაიმარჯვებ" ანუ „ძალითა ჯვრისა სძლევ". ამ ფორმულის სრული შესატყვისობა ლეონტისეული „წარძღუანებითა ჯუარისათა სძლევ მტერთა". შემდეგ ევსევის გადმოცემით, კონსტანტინეს დაუმზადებია დროშა, რომელიც ჯვრის ფორმის ტარზე იყო მიმაგრებული და რომელზედაც ქრისტეს სახელის პირველი ასოები იყო გამოსახული (X P). ამ ჯვრის და ქრისტეს სახელით გაიმარჯვა კონსტანტინემ, რომელმაც ქრისტე ირ-

101 ბეგლები, I, გვ. 83.
102 ს. გ ო რ გ ა ძ ე, საქართველოს ეკლესია..., გვ. 24.
103 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 69—70.
104 E u s e b., Vita Const., 28.

წმუნაო — გვარწმუნებს ევსევი[104]. ლეონტი მროველიც წერს: „ნათელ-იღო კოსტანტინე, და წ ა რ მ ო ი ძ ღ უ ა ნ ა ს ა ხ ე ჯ უ ა რ ი-ს ა... და ძ ა ლ ი თ ა ქ რ ი ს ტ ე ს ი თ ა ა ოტა ბანაკი მათი, და მოსრა სიმრავლე მათი“, თანაც უმატებს: „ვითარცა წერილ აოს ეაე განცხადებულად მოქცევასა ბერძენთასა“[105].

აღსანიშნავია, რომ ქართლის მოქცევის შესახებ თხრობისას, ქართული წყაროები არაერთგზის ასახელებენ კონსტანტინე I-ის დედას, დედოფალ ელენესაც. ლეონტი მროველით, წმ. ნინო მიდის რომში ელენე დედოფლის მოსაქცევად[106]; როცა მირიანმა ქრისტე ირწმუნა და მოციქულები გაგზავნა კონსტანტინესთან, ნინო წერილს წერს დედოფალ ელენეს[107], ელენე საპასუხო წერილს წერს ნინოს[108]; მირიანი გზავნის კონსტანტინესთან მოციქულებს და ითხოვს ნაწილს „ძელი ცხოვრებისაჲ“, რომელიც იმ დროს ეპოვნა დედოფალ ელენეს[109]. ეს უკანასკნელი ცნობა ცხადჰყოფს, რომ მეფეტიანეს იცის ელენე დედოფლის მოგზაურობა იერუსალიმში ქრისტეს ჯვრის საპოვნელად.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ც იცნობს ელენე დედოფალს; აქ ნათქვამია, რომ „წარვიდა ჰელენე იერუსალიმად ძიებად პატიოსანისა ჯვარისა“[110], აქაც დასახელებულია ნინოს წერილი ელენესთან და სხვ.

ერთი სიტყვით ცხადია, რომ ქართულმა წყაროებმა კარგად იციან, რომელი იმპერატორის თანამედროვეა მირიანი და ვისთან აქვს მას ურთიერთობა.

იგივე ითქმის მოვსეს ხორენაციზეც. აღწერს რა ნეტარი ნუნეს მიერ ქართლისა და მეფე მიჰრანის მოქცევას, იგი მთელ ამ მოთხრობას მოაქცევს კონსტანტინე მეფის ხანაში; ქართლის მოქცევის აღწერის შემცველ თავს მიჰყვება კონსტანტინეს მიერ ლიციინიუსის შეპყრობის, დედაქალაქის კონსტანტინეპოლში გადმოტანის, არიანობის წარმოქმნის და ნიკეის საეკლესიო კრების აღწერა. ამასთან მიჰრანის თანამედროვე სომხეთის მეფე თრდატი კონსტანტინეს მოკავშირეა[111]. აღსანიშნავია, რომ მოვსეა ხორენაცი იცნობს კონსტანტინესაც: მეფე თრდატის სიკვდილის შემდეგ უმ-

[105] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 69—70.
[106] იქვე, გვ. 78.
[107] იქვე, გვ. 111.
[108] იქვე, გვ. 116.
[109] იქვე, გვ. 117.
[110] ძეგლები, I, გვ. 837.
[111] მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, II, 83—89.

ეფოდ დარჩენილი სომხეთის ნახარარები სწორედ კონსტანცისთან კეთავნიან ელჩებს დახმარების თხოვნით, უკანასკნელი უგზავნის ჯარს და ეხმარება თრდატის ვაჟს ხოსროვს გამეფებაში, შემდეგ უფრო გვიან მასვე ტახტზე აჰყავს ხოსროვის ვაჟი ტირანი, აღწერილია კონსტანცის სპარსეთის მეფის შაპუხის წინააღმეადგ ბრძოლაც[112].

აშკარაა, რომ სომეხი ისტორიკოსი, რომელიც ამ ამბების აღწერისას. საკუთარი განცხადების თანახმად. ძირითადად იყენებს IV ს. ავტორის აგათანგელოსის თხზულებას, შესანიშნავად იცნობს კონსტანტინესაც და კონსტანცისაც, ასხვავებს მათ ერთმანეთისაგან და გარკვევით უფარდებს ქართლის მოქცევას სწორედ კონსტანტინე I-ის ხანას.

მაშასადამე, ქართლის მოქცევის შესახებ არსებული ყველა წყარო, როგორც ბერძნულ-ლათინური, ისე ქართული და სომხური, ერთხმად ასახელებს ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების თანამედროვედ სწორედ კონსტანტინე I და, თუ ბერძნულ-ლათინურ წყაროებში შეიძლება კიდევ დაშვებულ იქნას რაიმე შეცდომის, ან დოგმატური მიზეზის საფუძველზე კონსტანცის სახელის შეცვლა კონსტანტინეს სახელით, ქართული და სომხური წყაროები ამის საფუძველს არ იძლევა. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ქართლში (იბერიაში) ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება მოხდა სწორედ კონსტანტინე I-ის დროს, ე. ი. 312—337 წლებს შორის.

ყველა წყაროს ცნობით, სწორედ კონსტანტინე კეისრის მიერ გამოგზავნილმა მღვდელმთავრებმა მონათლეს იბერიის ერი და მაშასადამე, წყაროთა მიხედვით, თვით ფაქტი იბერთა მოქცევისა კონსტანტინეს სიცოცხლეში მომხდარა. ამრიგად, ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებისათვის terminus pots quem non 337 წ. ენდა იქნას მიჩნეული.

ბაგრამ ჩვენ ხელთ არის ზოგიერთი მითითება, რომელიც ამ ზედა ქრონოლოგიური მიჯნის ცოტა ქვევით ჩამოწევის საშუალებას იძლევა. საქმე ისაა, რომ ლეონტი მროველის თანახმად, არა მარტო ქართლის მონათვლის დროისთვის, არამედ ნინოს გარდაცვალებისა დროსაც კონსტანტინე I ჯერ კიდევ ცოცხალია: ნინოს სიკვდილის მერე უბრუნებს იგი მირიანს კონსტანტინეპოლში მძევლად მყოფ უფლისწულ ბაქარს და სწერს წერილს[113]. ამდენად 337

[112] იქვე, III, 4—12.

[113] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 128.

წ. ნინოს გარდაცვალებისათვის უნდა იყოს უკიდურესი ზედა ქრონოლოგიური ზღვარი და არა ქართლის მოქცევისათვის, რადგან სამეფო სახლის მონათვლასა და ნინოს გარდაცვალებას შორის რამდენიმე წელი ჩანს გასული მატიანეს მიხედვით. კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნინო გარდაიცვალა ქართლში მოსვლიდან მეთხუთმეტე წელს, ხოლო ლეონტი მროველით — მეთოთხმეტე წელს; ისე რომ, აღნიშნულ წყაროთა მიხედვით, მეფისა და მისი ოჯახის მონათვლასა და ნინოს გარდაცვალებას შორის გასულა 7 თუ 8 წელი, რადგან, იმავე წყაროთა მიხედვით, მირიანი მონათლულა ნინოს ქართლში მოსვლიდან მეშვიდე წელს. კიდეც რომ მივიღოთ ნინოს გარდაცვალების თარიღად 337 წ., გამოდის, რომ იბერიის სამეფო სახლის მონათვლა დაახლოებით 330 წელს უნდა მომხდარიყო.

ამავე დროს ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება: არც რუფინუსს, არც თეოდორიტე კვირელს, არც მათზე დამოკიდებულ გვიანდელ ავტორებს, არც ქართულ წყაროებს არა აქვთ არც ერთხელ დასახელებული ქალაქი კონსტანტინეპოლი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ გელასი კვიზიკელი, რომელიც წერს, რომ იბერთა მეფის ელჩები მიდიან კონსტანტინეპოლში[114]. სწორედ ეს უკანასკნელი ცნობა გამოიყენა თავის დროს კ. კეკელიძემ იმის დასადასტურებლად, რომ იბერთა მოქცევა არ შეიძლებოდა 330 წელზე ადრე მომხდარიყო, რადგან სწორედ ამ წელს დაარსდა კონსტანტინეპოლი[115].

მაგრამ ეს მოსაზრება უარჰყო ივ. ჯავახიშვილმა ს. ყაუხჩიშვილზე დაყრდნობით. საქმე ისაა, რომ უკანასკნელმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ კონსტანტინეპოლის ხსენება არ ყოფილა თვით გელასი კესარიელის თხზულებაში, რადგან იგი არაა მოხსენიებული არც მის ლათინურ თარგმანში (რუფინუსი) და არც მის უშუალო გამომყენებელ თეოდორიტესთან. ასე რომ ეს გვიანდელი ჩანართია და თვით გელასი კვიზიკელს უნდა ეკუთვნოდეს[116].

რაც შეეხება ქართულ წყაროებში კონსტანტინეპოლის მოუხსენებლობას, ამას ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ ქართლის მოქცევა მოხდა მანამ, სანამ

---

114 გეორგიკა, I, გვ. 193.

115 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „მიმომხილველი“, გვ. 32.

116 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, „მიმომხილველი“, 1926, გვ. 64—65.

კონსტანტინეპოლი აშენდებოდა, „არამედ კონსტანტინე ჯერეთ რომსავე იყო“[117].

მართლაც, თუ კი ეს მოვლენა შემთხვევითი არაა (ხოლო ყველა წყაროსთვის საეჭვოა ის შემთხვევითი იყოს), ეს ფაქტი შეიძლება იმის საბუთად გამოდგეს, რომ ქართლის მოქცევა 330 წელზე ადრე მოხდა.

ნიშანდობლივია კიდევ ერთი გარემოება: როგორც აღვნიშნეთ, ლეონტი მროველს აქვს ცნობა, რომ სამეფო კარისა და ერის მონათვლის შემდეგ, მირიანმა წარგზავნა მოციქულნი კონსტანტინესთან. თხოვნით გამოეგზავნა მისთვის „ნაწილი ძელი ცხოვრებისა, რომელიც მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღმრთისმოყვარესა ელენე დედოფალსა“[118]. ელენე დედოფალმა ქრისტეს ჯვრის საპოვნელად იერუსალიმს იმოგზაურა დაახლოებით 322—329 წლებში; მოგზაურობიდან დაბრუნდა 328 თუ 329 წ., ხოლო ზოგიერთი მკვლევრის აზრით 330 წ[119]. მაშასადამე, ქართლის ოფიციალური მონათვლა დედოფლის დაბრუნების ახლო ხანებში („...მას ოდენ ჟამსა...“) უნდა მომხდარიყო და ეს ცნობაც დაახლოებით 330 წელზე მიგვანიშნებს.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ყველა წყაროს მიხედვით ქართლის მოქცევის დროისთვის კონსტანტინე ქრისტიანობის მფარველად, ღმრთისმოშიშად, ქრისტიანობისათვის მოღვაწედ არის დასახელებული; ამას ხაზს უსვამენ გელასი კვიზიკელიც, რუფინუსიც, თეოდორიტე კვირელიც[120] და ქართული წყაროებიც[121].

მართალია, ევსევი კესარიელისა და ლაქტანციუსის მიხედვით, კონსტანტინემ ნათელი იღო უკვე მაქსენციუსზე გამარჯვების დროს, როცა ჯვრის გამოსახულების დახმარებით სძლია მეტოქეს, მაგრამ რეალურად ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადება რომში ბევრად უფრო გვიან ხდება. პირველი აქტი, რომლითაც ქრისტიანობა ერთადერთ ჭეშმარიტ სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული 324 წ. ეკუთვნის[122], ხოლო სახელმწიფოებრივ, რელიგიად მისი აღიარების თარიღად ითვლება 325 წ., როცა ნი-

---

[117] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., წ. I, გვ. 67, შენ. I.

[118] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 117.

[119] S e e k, Helena, RE, 7. Bd., გვ. 2821—2822.

[120] გეორგიკა, I, გვ.გვ. 193, 206—207, 213.

[121] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 128.

[122] E u s e b., Vita Const., II, 24—42.

კეის მსოფლიო საეკლესიო კრების მსვლელობაში იმპერატორი აქტიურად ჩაერია.

ამრიგად, ის აქტიური დახმარება, რომელსაც კონსტანტინე I უწევს ქართლის გაქრისტიანებას, მის და არა რომელიმე მღვდელ-მთავრის მიერ აქ ღვდელ-დიაკვანთა გამოგზავნა, მისი ღვთისმსახურებისა და მხურვალე კეთილმორწმუნეობის არაერთგზისი ხაზგასმა წყაროებში, თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ყველა ეს მოვლენა სწორედ 324—325 წლებს შემდეგ უნდა მომხდარიყო.

არსებული რეალიების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება 325—330 წლებს შორის უნდა მომხდარიყო, მეფე მირიანის დროს.

თუ ჩვენი მოსაზრება მართებულია, მაშინ თავისთავად იხსნება კ. კეკელიძისა და ი. მარკვარტის მტკიცება, რომ თითქოს ქართლში თავდაპირველად ქრისტიანობის არიანული მიმართულება დამკვიდრდა, რამდენადაც IV საუკუნის 30-იან წლებში, და მით უფრო 325—330 წლებს შორის, არიანობა დევნას განიცდიდა რომის იმპერიაში და კონსტანტინე დიდი ამ დროს სხვა ქვეყანაში არიანული მიმართულების დამკვიდრებას ხელს ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეუწყობდა. მართალია, მან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში არიანობისაკენ იბრუნა პირი, მაგრამ უშუალოდ ნიკეის საეკლესიო კრების შემდეგ იგი, ცხადია, ვერ შეიძლებოდა ამ მწვალებლობად გამოცხადებული მოძღვრების მხარდამჭერად გამოსულიყო. ამდენად, ჩვენი ცდა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოცხადების თარიღი დაგვეზუსტებინა, გვაძლევს საფუძველს დავადასტუროთ სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც გამოთქმული მოსაზრება (ს. გორგაძე, ე. თაყაიშვილი, კ. ცინცაძე და სხვ.) ქართლში იმთავითვე ქრისტიანობის მართლმადიდებლური, ორთოდოქსალური მიმართულების დამკვიდრების შესახებ.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების გარეპოლიტიკური მნიშვნელობა

როგორც ცნობილია, ქრისტიანობის გავრცელებას და შემდეგ მის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებას ყველა ქვეყანაში და კერძოდ ქართლშიაც თავისი მიზეზები და საფუძვლები ჰქონდა. ეს მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებით იყო გაპირობებული და ასახავდა იმ შინაგან ძვრებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა სოციალურ-ეკონომიურ ბაზისში.

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრება-გამარჯვების სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში და ჩვენ ამჟამად ამ პრობლემას არ შევეხებით[1].

ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების გარეპოლიტიკური მხარე, მისი მნიშვნელობა ქართლის რომთან და სასანურ ირანთან ურთიერთობაში.

როგორც აღნიშნავდა ს. ჯანაშია, „..ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად ქცევა ქართლში გულისხმობდა არა მარტო გარკვეულ შინაურ სოციალურსა და პოლიტიკურ პირობებს, არამედ გარკვეულს გარეპოლიტიკურ პირობებსაც. ეს გარეპოლიტიკური პირობები განსაზღვრული იყო რომისა და ირანის ბრძოლებით პირველობისათვის წინა აზიაში, მებრძოლ მხარეთა დაინტერესებით ამიერ-კავკასიის ქვეყნებისა და, კერძოდ, ქართლის მი-

---

[1] ამ საკითხზე იხილე ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, გვ. 212—224.

მართ და, დასასრულ, თვით ქართლის მმართველ წრეების გაწყობილებითა და მიდრეკილებებით ამ ბრძოლაში"[2].

როგორც ცნობილია, IV ს. 30-იან წლებში ქრისტიანობა რომის იმპერიაში ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადდა. თუ ადრე, როგორც რომში დევნილნი, ქრისტიანები ირანში ერთგვარი მფარველობით სარგებლობნენ, მეჰ მერე, რაც ქრისტიანობა რომში სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად იქცა, მისი მიმდევრები ირანში უკვე დევნას განიცდიან.

რასაკვირველია, ირანში ქრისტიანებისადმი ასეთი დამოკიდებულება მარტო ამ გარემოებით არ იყო გაპირობებული. როდესაც სასანიდებმა თავის პოლიტიკურ მოღვაწეობის მსვლელობაში ფარსის (პერსიდის) ფარგლები დასტოვეს და მთელი ირანის გაერთიანებელთა როლში გამოვიდნენ, მათ იმთავითვე ირანის ძველი რელიგია — ზოროასტრიზმი გაიხადეს თავის იდეოლოგიურ საფუძვლად. მაგრამ ირანის დასავლეთ ოლქებში და მათ მეზობელ ხალხებში, რომელთა დაპყრობა პირველმა სასანიდებმა თავის უპირველეს ამოცანად გაიხადეს, ზოროასტრიზმი არ იყო პოპულარული: აქაურ მოსახლეობაში მრავალი სხვადასხვა რელიგიური რწმენა იყო გავრცელებული: ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ძველი ბაბილონური კოსმოგონიური და კოსმოლოგიური რწმენები, ღმერთების ბელის, შამაშის და სხვათა თაყვანისცემა, ბევრგან. სადაც რომაული გავლენა იყო შემოჭრილი, თაყვანს სცემდნენ ბერძნულ-რომაული პანთეონის ღმერთებს, პოპულარული იყო აქ მითრაიზმი და იუდაიზმი[3].

მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა აქ ქრისტიანობაც. ირანის მეზობელ ოლქებში და თვით ირანშიაც ქრისტიანობა საკმაოდ ფართოდ ვრცელდება და ბევრგან აქ III ს-ის 20-იანი წლებისათვის უკვე საეპისკოპოსო კათედრებიც იყო დაარსებული[4].

იმისთვის, რომ ირანის დასავლეთ ოლქებში მტკიცე ძალაუფლება დაემკვიდრებინათ და მესოპოტამიის ოლქებში სანდო მოკავშირეები შეეძინათ, პირველ სასანიდებს აქ არ შეეძლოთ უკიდურესი ზომების მიღება, რათა რელიგიური შუღლი არ გაემწვავებინათ[5]. სწორედ ამით აიხსნება, რომ თავდაპირველად სასანიდები სა-

---

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 224.

[3] В. Г. Л у к о н и н, Культура сасанидского Ирана, стр. 71—72.

[4] M. L. C h a u m o n t, Les Sassanides et la christianisation de l'Empire Iranien au III sciecle de u. è., RHR, vol. CLVI, № 2, 1964, გვ. 165—202.

[5] В. Г. Л у к о н и н, Культура сасанидского Ирана, стр. 72.

ერთად სხვა რელიგიებს შემრიგებლურად ექცეოდნენ. მაგრამ, მეორე მხრივ, ახლადშექმნილ სახელმწიფოს შინაგანი სიმტკიცის დაცვისთვის, ერთიანობის შენარჩუნებისათვის სჭირდებოდა მტკიცე რელიგიური იდეოლოგია. თავდაპირველად ირანის შაჰან-შაჰებმა სცადეს ასეთად ე. წ. მანიქეიზმის გამოყენება, მაგრამ მანიქეველთა უჩვეულო პესიმიზმმა, სექტების შეზღუდულობამ, ასკეტიზმისაკენ მიდრეკილებამ, ამ მოძღვრების ცალკეული მიმართულებათა დემოკრატიზმმა და მისი ფილოსოფიური იდეების დიდმა სირთულემ ცხადჰყო, რომ მანიქეიზმი ვერ გამოდგებოდა დასაყრდენად სასანიდების ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის.

მეორე მხრივ, შაბურ I-ის წარმატებებმა დასავლეთში წამოჭრეს ახალი ამოცანა — დაპყრობილ ოლქთა ირანიზაცია, რაშიაც გარკვეული და ძალზე მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა სწორედ წმინდა სპარსული რელიგიის გავრცელება-დამკვიდრებას. მაგრამ პირველი სასანიდების დროს ზოროასტრიზმი როგორც კანონიზირებული რელიგიური სისტემა, ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული; და აი, სასანიდების წინაშე დაისვა ამოცანა ზოროასტრიზმის კოდიფიკაციისა და მისი მწყობრ, მტკიცე რელიგიურ სისტემად ჩამოყალიბებისა. ეს საქმე განახორციელა მაგუპატმა (უმაღლესმა მოგვმა) კარტირმა, რომლის მოღვაწეობა აქტიურად შაბურ I-ის დროს იწყება და III საუკუნის ბოლოს, ვარახრან II-ის დროს აღწევს თავის დაგვირგვინებას[6]. სწორედ ზოროასტრიზმის კოდიფიკაციისა და მის ერთადერთ ჭეშმარიტ და სავალდებულო რელიგიად გამოცხადების შემდეგ იწყება სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შევიწროება და დევნა.

„ზოროასტრის ქააბაზე" ამოკვეთილ, ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ, თავის წარწერაში, მაგუპატი კარტირი ამბობს: „...შაჰრიდან შაჰრამდე, ოლქიდან ოლქამდე, მთელს ქვეყანაში საქმენი აჰურამაზდასი და ღმერთებისა განდიდდნენ და მაზდეანურმა სარწმუნოებამ და მოგვებმა მიიღეს მთელ ქვეყანაში ბატონობა... და იუდეველნი, და ბუდას ქურუმნი, და ბრამინები, და ნაზარეველნი, და ქრისტიანნი და მანიქეველები განადგურებულ იქნენ და მათი ღმერთების გამოსახულებანი დანგრეული"[7].

ივივე წარწერაში კარტირი აღნიშნავს, რომ ყველგან იქ, სადაც

---

[6] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. М. М. Дьяконов. Очерк истории древнего Ирана, стр. 292—303.

[7] მოგვაქვს ე. ლუკონინის წიგნიდან.: Культура сасанидского Ирана, стр. 87

კი მიაღწიეს შაბურ I-ის ცხენებმა და მეონრებმა", დაფუძნებულ იქნა ცეცხლთაყვანისმცემლური ტაძრები და დასხდნენ მოგვები (იხ. ზევით, გვ. 37).

ამრიგად, მტკიცე რელიგიური სისტემის შექმნა იწვევს ამსახელმწიფოებრივი რელიგიის ძალით დამკვიდრებას დაპყრობილ და დამოკიდებულ ქვეყნებში, სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა დევნას და, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე ძლიერი და გავრცელებული რელიგიისა — ქრისტიანობის, მით უფრო მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა რომის სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად იქცა.

რომისა და ირანის მეზობელ სახელმწიფოთათვის ქრისტიანობის მიღება-არმიღება გახდა მათი პოლიტიკური ორიენტაციის თავისებური საზომი: ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს მ ი ღ ე ბ ა ნ ი შ ნ ა ვ დ ა რ ო მ ი ს მ ხ ა რ ე ზ ე ა შ კ ა რ ა გ ა დ ა ს ვ ლ ა ს. ი რ ა ნ ი ს ა დ მ ი მ ტ რ უ ლ ბ ა ნ ა კ ი ს ა დ მ ი მ ი მ ხ რ ო ბ ა ს.

IV ს. დასაწყისში იბერიის მმართველი წრეების წინაშე პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი იდგა. მართალია, ნიზიბისის ზავის შემდეგ რომსა და სპარსეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა, მესოპოტამიის დიდი ნაწილი რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო სომხეთის ტახტზე კვლავ არშაკიდების დინასტიის წარმომადგენელი, პრორომაულად განწყობილი თრდატ III (287—330) იჯდა და რომის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ ასეთი სიტუაცია სრულიად არ ხსნიდა რომისა და ირანის მეზობელი სახელმწიფოებისათვის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს.

აშკარა იყო, რომ ირანი საბოლოოდ ვერ შეურიგდებოდა არმენიის დაკარგვას და ვერც მესოპოტომიას შეელეოდა; თუ ნიზიბისის ზავის შემდეგ ირანმა კარგა ხანს ვერ შეძლო არმენიისა და შუამდინარეთისათვის ბრძოლის განახლება, ეს გამოწვეული იყო იმ შინაგანი არეულობით, რომელიც სპარსეთში IV ს. დასაწყისში სუფევდა. ჰორმიზდ II-ის (302—309) მეფობაშივე დაიწყო სამეფო კარზე შუღლი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მის შვილთა და მათ მომხრე დიდებულთა შორის გაგრძელდა ბრძოლა; ბოლოს წარჩინებულმა დიდკაცობამ ტახტზე ჰორმიზდ II-ის უმცროსი ვაჟი, მცირეწლოვანი შაბურ II (309—379) აიყვანა[8]. ცხადია სანამ შაბურ II დავაჟკაცდებოდა და ძალაუფლებას განიმტკიცებდა, აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

---

[8] Eutrop., 9, 14—15; Ioann. Mal., 308.

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის ქვეყნები კიდევ უფრო მეტად უახლოვდებოდნენ რომს და გადაწყვეტით იღებდნენ მასზე ორიენტაციას. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ 301 წ. თრდატ III ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოაცხადა სომხეთში[9]. როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. დიაკონოვი, „სომხეთის მმართველი ზედაფენის მიერ ქრისტიანობის მიღება მოასწავებდა ირანისაგან შემდგომ ჩამოშორებას და რომის აღმოსავლეთ ოლქებთან შემდგომ დაახლოებას"[10].

ჩვენ არ ვიცით, რა კონკრეტული ურთიერთობა იყო ირანსა და რომს, ან ირანსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის შაბურ II-ის მეფობის პირველ ათწლეულებში. მოვსეს ხორენაცის მოთხრობილი აქვს, რომ თრდატმა ილაშქრა სპარსეთზე და დაამარცხა შაპუხ (იგივე შაბურ) მეფე, შემდეგ კი მოუცადა მრავალრიცხოვან რომაულ ჯარს, რომელიც ასურეთზე გავლით მოვიდა სპარსეთის საზღვრებთან. შაპუხი გაიქცა, სომეხ-რომაელთა ჯარმა კი სასტიკად გაძარცვა და მოარბია სპარსეთი. ამასთან სომხეთის მეფის მოკავშირე ამ ომში იყო იბერიის მმართველი მიჰრანი[11].

საბწუხაროდ, მოვსეს ხორენაცი აქ კვლავ ქრონოლოგიურ უზუსტობას უშვებს, რადგან თრდატ III-ის თანამედროვედ აცხადებს შაპუხ არდაშირის ძეს; ეს გაურკვეველს ხდის, რეალურად ირანის რომელი მეფის დროინდელ ბრძოლებზეა აქ სინამდვილეში ლაპარაკი — შაბურ I თუ შაბურ II-ის. ამას გარდა, ამ მონათხრობის ჰეშმარიტებაში გვაეჭვებს ის გარემოება, რომ არც რომაულ-ბიზანტიურ, არც სპარსულ წყაროებში ჩვენ არსად არ გვაქვს ცნობა სომეხ-რომაელთა რაიმე ლაშქრობაზე ირანის წინააღმდეგ შაბურ II-ის მეფობაში და საერთოდ ირანისა და რომის რაიმე ომზე იმპერატორ კონსტანცის ხანამდე, ე. ი. 337—338 წლებამდე. მაგრამ, თავისთავად გამორიცხული არაა, რომ შექმნილ ვითარებაში სომხეთის მეფეს მართლაც რაიმე სამხედრო აქციები ჩაეტარებინა ირანის მიმართ, რამაც ერთგვარად გაზვიადებული ასახვა ჰპოვა ხორენაცის შრომაში.

ცნობილია აგრეთვე, რომ იმპერატორ კონსტანტინეს სიკვდილმა შეუშალა ხელი დაეწყო ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ[12]. ეს

---

[9] История армянского народа, Ереван, 1951, стр. 63.

[10] М. М. Дьяконов, Очерк..., стр. 264—265.

[11] მოვსეს ხორენაცი, II, 85—87.

[12] Н. А. Машкин, История древнего Рима, стр. 532.

უნდა მოწმობდეს, რომ საამისო მიზეზები არსებობდა და ირანის თავდასხმა არმენიაზე, რაც კონსტანცის დროს მოხდა, წინასწარ მზადდებოდა. ამ მზადების შესახებ უნდა სცოდნოდათ როგორც რომში, ისე ამიერკავკასიის ქვეყნებში და შესაძლოა, კონსტანტინე I-ის მიერ განზრახული ლაშქრობა სწორედ ირანელებისათვის სამხედრო მოქმედების დაწყებაში დასწრებას ისახავდა მიზნად. ამიერკავკასიის ქვეყნებში კი ირანის თანდათანობითი მომძლავრება შაბურ II-ის მეფობის დასაწყისში, იწვევდა სათანადო რეაქციას, რაც რომთან შემდგომ დაახლოებაში გამოიხატებოდა.

თავის მხრივ სასანიდებიც არ ეგუებოდნენ არმენიის დაკარგვას და, რადგან გარკვეულ დრომდე აქტიური მოქმედების შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ფარულად ხელს უწყობდნენ და ზურგს უმაგრებდნენ სომეხ დიდებულთა იმ ნაწილს, რომელიც რომთან კავშირის მოწინააღმდეგე იყო. მოვსეს ხორენაცის მონათხრობი იმის შესახებ, როგორ აუჯანყა შაპუხმა თრდატს სელკუნთა საგვარეულოს მამამთავარი სლუკი[13], იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ არმენიის ნახარართა შორის შეიქმნა ანტირომაული დაჯგუფება, რომელიც სპარსეთის ნახარდაქერას ეყრდნობოდა[14].

რაც შეეხება იბერიას, ჩვენ არ გაგვაჩნია კონკრეტული ცნობები აქ პრორომაული და ანტირომაული, სპარსეთის მომხრე დაჯგუფებათა არსებობის შესახებ. მაგრამ საერთო პოლიტიკური სიტუაციის და არმენიაში დამოწმებული ვითარების გათვალისწინება გვავარაუდებინებს, რომ ქართლის მმართველ წრეებში იყო როგორც პრორომაულად განწყობილი დაჯგუფება, რომელიც შესაბამისად ქრისტიანობის მომხრედ გამოდიოდა, ისე ირანის მომხრე პარტია, რომელიც მხარს უჭერდა ძველ, წარმართულ რელიგიას და ქრისტიანობას ეწინააღმდეგებოდა. ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ ამ უკანასკნელ დაჯგუფებას მივაკუთვნებთ ძველი მონათმფლობელური არისტოკრატიის გარკვეულ ნაწილს და წარმართული კულტის მსახურთ — ქურუმობას.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც ქართულ წყაროებში შემოინახა ქართლის ცალკეულ ოლქებში ქრისტიანობის ძალით დამკვიდრების შესახებ. ს. ჯანაშიამ ეს ცნობები გამოიყენა მაშინდელ ქართლში სოციალური ბრძოლის საილუს-

---

13 მოვსეს ხორენაცი, II, 84.

14 М. М. Дьяконов, Очерк..., стр. 265—268.

ტრაციოდ[15]. ეს სავსებით სწორი შიდგომაა ამ მოხაცემებისადმი, მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ საკითხს მეორე მხარეც გააჩნია: ქართლის ცალკეულ ოლქთა მცხოვრებლების ბრძოლაში ქრისტიანობის წინააღმდეგ აისახებოდა აგრეთვე საერთოდ ანტიქრისტიანული ელემენტების ბრძოლა ახალი რელიგიის წინააღმდეგ და ამ ელემენტებს შორის, უდავოდ, უნდა უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები და ქურუმობა ვიგულისხმოთ. გაბატონებული კლასის ეს დაჯგუფება იყენებს ხალხის დაბალი ფენების უკმაყოფილებას ახალი რელიგიით თავისი საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის. რომ ჩვენი ვარაუდი უსაფუძველო არ უნდა იყოს, ამას ადასტურებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ლეონტი მროველის ზოგიერთი ცნობა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ სამეფო კარის მონათვლის შემდეგ, წმ. ნინო მიემართება ქთიან ოლქებში, აქ ქრისტიანობის დასამკვიდრებლად: მას მიჰყვებიან დედოფალი, მღვდელმთავარი და მღვდელნი და აგრეთვე ერისთავი. მაგრამ „მთიელნი ყოველნი“, ჭართალელნი, ფხოელნი, წილკნელნი წინაღუდგნენ ნინოს ქადაგებას, არ ისურვეს ახალი რჯულის მიღება; „ხოლო ნინო უბრძანა ერისთავსა, რ ა ჲ თ ა წ ა რ მ ა რ თ ო ს მ ც ი ნ ე ლ ე ბ ა ; ... ...

მართალია, აქაც ძალის გამოყენებაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ კახეთის მთავართა მოხსენიება ერთ კონტექსტში იმათთან, ვინც ძალით იქნა მოქცეული, გვავარაუდებინებს, რომ კახეთის მთავარნი ამავე გზით აიძულეს მიეღოთ ახალი სარწმუნოება.

ლეონტი მროველს შენახული აქვს უფრო ნიშანდობლივი ცნობა: მისი მოთხრობით ,როცა მეფე მირიანმა, მისმა კარმა და „ყოველმა ერმა" აღიარა ქრისტეს რჯული, „არა ნათელ-იღო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდე მიცემული მირიან მეფისაგან"[18]... ცოტა უფრო ქვევით ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ მირიანმა უთხრა ნინოს: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახვილთა მოვაქცევნეთ მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ, და დავამონნეთ ძესა ღმრთისასა და ვათაყუანნეთ პატიოსანსა ჯუარსა"[19].

აქ უკვე სრულიად გარკვევითაა დასახელებული დიდკაცობის წარმომადგენელი, თვით მეფის სიძე, რომლის მოქცევისათვის მეფეს აუცილებლად მიაჩნია მიმართოს მახვილის ძალას.

უდავოდ მართალია ს. ჯანაშია, როდესაც ზემომოტანილ ცნობებში ხედავს სოციალური ბრძოლის ანარეკლს. მისი სამართლიანი მსჯელობით „ქრისტიანობა საქართველოს მოევლინა როგორც აზნაურთა რელიგია და ძველი მონარქიის ოფიციალური კულტი", ამიტომ მას ნაკლებად ეგუება და ზოგჯერ ებრძვის კიდეც ხალხის დაბალი ფენა, მით უმეტეს მთაში, სადაც „ამ დროს ფეოდალური ურთიერთობა ან სრულიადსარ არსებობდა, ან სუსტად იყო ჩასახული და, მაშასადამე აქ არსებობდა ჯერ კიდევ ის სოციალური ფენა, რომელსაც ქრისტიანობა დაეპყარებოდა"[20].

მაგრამ, ამასთან ერთად, იმავე ცნობებში, ჩვენის აზრით, აირეკლება აგრეთვე ის პოლიტიკური წინააღმდეგობაც, რომელიც ქართლში არსებობდა საგარეო ორიენტაციის გამო და რომელიც ქრისტიანობისადმი სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა განწყობილებაში ვლინდებოდა. მაგალითად, რანის ერისთავი და მეფის სიძე ფეროზ, ჩვენი რწმენით, განასახიერებს სწორედ იმ ანტირომაულ და პროირანულ დაჯგუფებას, რომელიც, შესაბამისად, ქრისტიანობის მოწინააღმდეგედ გამოდიოდა.

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ლეონტი მროველი მო-

---

18 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 117.

19 იქვე, I, გვ. 125.

20 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 121—123.

გვითხრობს რა მირიან მეფის მართვის პირველ წლებზე, აღგვიწერს მის მჭიდრო კავშირს სასანურ სპარსეთთან და ბრძოლას რომთანაც და უკანასკნელის მოკავშირე სომხეთის მეფე თრდატთანაც. სპარსეთის მეფესთან ერთად ულაშქრია მირიანს რომის (საბერძნეთის) წინააღმდეგაც, მაგრამ კონსტანტინე კეისარს გაუმარჯვია, სპარსეთისა და ქართლის მეფეები თავთავის ქვეყანაში გადაურეკია და მირიანს ბოლოს ზავი უთხოვია; კონსტანტინე ზავზე დათანხმებულა, მირიანის ძე ბაქარ მძევლად გამოუთხოვია, ქართლის მეფე თრდატთან შეურიგებია და დაუმოყვრებია, თან მათ შორის მტკიცე საზღვრები განუმწესებია[21].

მართალია, აქ აშკარა შეცდომებია დაშვებული, რადგან ცნობილია, რომ ირანსა და რომს შორის კონსტანტინეს დროს ომი არ ყოფილა და გარდა ამისა, როგორც ზევით იყო აღნიშნული (გვ. 78), სპარსელ-ქართველთა ლაშქარზე გამარჯვების აღწერა ზედმიწევნით იმეორებს რომაულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში მოცემულ აღწერილობას კონსტანტინეს მაქსენციუსზე გამარჯვებისა, მაგრამ შესაძლოა, რომ ამ მონათხრობში დამახინჯებულად აირეკლა გარკვეული რეალური ვითარება: თავდაპირველი პროირანული ორიენტაცია იბერიის სამეფო კარისა, მტრული ურთიერთობა რომთან და მის მოკავშირე არმენიასთან; მაგრამ შემდგომ ეს ორიენტაცია, რაღაც პოლიტიკური ვითარების ზეგავლენით, შეცვლილა და ქართლის მეფეს რომთან კავშირი უფრო ხელსაყრელად უცვნია. შესაძლოა, რომ მას თავისი ახალი ორიენტაციის სიმყარის დასამტკიცებლად რომის იმპერატორისათვის მძევლის მიცემაც მოუხდა:

თუ ჩვენი ვარაუდი საფუძვლიანია, უნდა ვაღიაროთ, რომ თავდაპირველად იბერიის საგარეო პოლიტიკას პროირანული დაჯგუფება განსაზღვრავდა, შემდეგ კი მას მარცხი განუცდია და ამ პოლიტიკის წარმმართველად უკვე ანტიირანული, პრორომაული პარტია გამხდარა. ამ უკანასკნელის წარმატების გამოხატულება იყო იბერიაში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებაც.

ზემოთქმულს გარდა უნდა შევნიშნოთ კიდევ ერთი საინტერესო გარემოება: წმ. ნინოს მცხეთაში მოსვლის აღწერისას ლეონტი მროველი აღნიშავს: „ხოლო ვითარ-იგი მიიწივნეს ქალაქად მცხეთად, წიალ მოგუთსა ჯიდსა ზედა, და დადგეს მუნ. და ხედვიდა წმინდა ნინო ცეცხლის მსახურთა მათ ერთა მო-

---

[21] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 69—70.

გ უ ე ბ ა ს ა დ ა ც ი თ ო ბ ა ს ა: და ტიროდა წმიდა ნინო წარწყმედასა მას ზედა მათსა"[22]...

როგორც ცნობილია, ზოროასტრულ რელიგიაში, მის კულტში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ცეცხლის სტიქიისადმი თაყვანისცემა. ეს იმდენად მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო ზოროასტრიზმისა, რომ უცხოელნი, მათ შორის ქართველნიც, ზოროასტრის მიმდევართ ცეცხლთაყვანისმცემლებსაც უწოდებდნენ[23]. „ცეცხლის მსახურთა" მოხსენიება „მეფეთა ცხოვრებაში" ამტკიცებს, რომ ქრისტიანობის დამკვიდრებამდე ქართლში გავრცელებული იყო ზოროასტრიზმი. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ წარმართობის ეპოქაში მაზდეანობა საქართველოში, და კერძოდ ქართლში, საკმაოდ გავრცელებული იყო[24]. შემთხვევითი არაა, რომ V საუკუნეშიაც, ე. ი. ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ქრისტიანობას უხდება ზოროასტრიზმის (მაზდეანობის) წინააღმდეგ არა მარტო ფიზიკური, არამედ ლიტერატურულ-პოლემისტური ბრძოლა და ეს პოლემიკა შემდგომ საუკუნეებშიაც გრძელდება[25].

ლეონტი მროველის ეს ცნობა ეხმაურება იმ მონაცემებს, რომელსაც იძლევა ირანის დიდი მაგუპატის კარტირის ჩვენ მიერ უკვე დამოწმებული წარწერა; კარტირი აღნიშნავს რა თავის დამსახურებას ირანის ოფიციალური რელიგიის განმტკიცებისა და გავრცელების საქმეში, ჩამოთვლის იმ ქვეყნებს — ირანისა და არაირანისა, სადაც მან დააფუძნა ცეცხლის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) ტაძრები და დააფუძნა მოგვები; ამ ქვეყნებს შორის დასახელებულია იბერიაც[26].

ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ქართლში ირანის გავლენის გავრცელებას შაბურ I-ის დროს მოჰყვა აქ ზოროასტრიზმის, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის გაძლიერება. ცხადია, რომ ზოროასტრიზმის მიმდევრები და განსაკუთრებით მოგვები, უნდა ყოფილიყვნენ, პირველ რიგში, პროირანული ორიენტა-

---

[22] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 88.

[23] М. М. Дьяконов, Очерк..., стр. 299.

[24] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 284—285.

[25] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ ლიტერატურაში, „ეტიუდები", ტ. III, გვ. 42—60; მ ი ს ი ვ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, წ. I, გვ. 475—477.

[26] В. Г. Луконин, Картир и Мани, ВДИ, 1966, № 1, стр. 76.

ციის მატარებელნი და ქრისტიანობის წინააღმდეგ ყველაზე აქტიური მებრძოლნი.

ერთი სიტყვით, ჩვენ უდავოდ გვეჩვენება, რომ ქართლის მოსახლეობის გარკვეულ წრეებში, კერძოდ კი მის მმართველ ფენაში, მიმდინარეობდა საკმაოდ მწვავე ბრძოლა გარეპოლიტიკური ორიენტაციის საკითხის გარშემო: ეს ბრძოლა რელიგიურ-იდეოლოგიურ წინააღმდეგობასა და პოლემიკაშიაც ვლინდებოდა.

ჩვენს ხელთ არის ერთი გვიანდელი წყარო, რომელიც, მართალია, მერმინდელ მოვლენებს ეხება, მაგრამ შესანიშნავად გადმოსცემს ქრისტიანობის წინააღმდეგ სპარსეთის ბრძოლის კავშირს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხთან. VI—VII ს. აგიოგრაფი აღწერს რა ქართლის ვითარებას V ს. მეორე ნახევარში, წერს „აღდგეს სპარსნი ქრისტიანეთა ზედა... რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლაჲ და დაუცხრომელი მტერობაჲ ქრისტიანეთა ზედა და უფროჲსად ბერძენთა მიმართ. ხოლო ჩუენ ქართველთა მომართ ამისთჳს, რამეთუ ეძჳნებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყუარული და ერთობაჲ და ესე იყო ნებაჲ მათი, რათა ჩუენცა მათთანა მტერ ვიქმნეთ ბერძენთა“[27].

(მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება პრორომაული ორიენტაციის გამარჯვებას და იბერიის სამეფო კარის რომაელთა მხარეზე აშკარა და საბოლოო გადასვლას ნიშნავდა.) ამ დროიდან დაწყებული, ქართლის მმართველნი ყოველთვის სასანური ირანის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფებოდნენ. ასე იყო რომსა და ირანს შორის ხანგრძლივი ომების მთელ მანძილზე, ომებისა, რომლებიც, მცირე ხარვეზებით, თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა IV—VI საუკუნეებში.

მაგრამ ამ ორიენტაციის გამარჯვება უმტკივნეულოდ არ მომხდარა და არც საბოლოო იყო: იბერიაში, როგორც ჩანს, პროირანულად განწყობილი ძალებიც რჩებოდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პერიოდის (ე. ი. IV ს. პირველი ნახევრის) სხვადასხვა ორიენტაციის დაჯგუფებათა ბრძოლაში უნდა ვეძიოთ ერთერთი საფუძველი იმ მოვლენებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა ქართლში შემდგომ სა-

---

[27] წამებაჲ რაჟდენისი, მ. ჯანაშვილის გამოცემა: Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. III, 1908, стр. 154.

უკუნეებში, როდესაც სპარსელები საკმაოდ ძლიერ დასაყრდენს პოულობენ ადგილობრივ ფეოდალთა წრეში. რასაკვირველია, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ქართლის ფეოდალთა გადასვლას სპარსეთის მხარეს და საკუთარ მეფესთან დაპირისპირებას, რასაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ვახტანგ გორგასალის დროს, უფრო ღრმა სოციალური მიზეზები ამირობებდა[28], მაგრამ არც ჩვენ მიერ აღნიშნული მომენტია გამოსარიცხი და ვარქსენ პიტიახში, გარკვეული თვალსაზრისით, იმ ქართველ დიდებულთა მემკვიდრედ გვევლინება, რომელთაც ჯერ კიდევ III—IV სს-ში ორიენტაცია ირანთან კავშირზე და მასთან დაახლოებაზე აიღეს.

ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად აღიარება რომ გარეპოლიტიკური ორიენტაციის გადაწყვეტასაც ნიშნავდა, კარგად ესმოდათ იმ მწერლებსაც, რომლებიც ქართლის მოქცევის ისტორიას ეხებოდნენ.

ასე, მაგალითად, გელასი კესარიელი აგვიწერს რა იბერიის მეფისა და სამეფო კარის მიერ ქრისტიანობის აღიარებას, მოგვითხრობს, რომ, როცა იბერიის მეფის მოციქულნი მივიდნენ იმპერატორ კონსტანტინესთან, აუწყეს მას იბერიაში ქრისტეს რწმენის განმტკიცება და სთხოვეს მათთვის ეპისკოპოსის გაგზავნა, „სათნო და ქრისტეს მოყვარე კონსტანტინე მეფემ ისინი მეგობრულად მიიღო, რადგან უხაროდა უფლისათვის; მან შეიწყნარა თხოვნა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს ალექსანდრეს ხელთ-დაასხმევინა იბერთა ეპისკოპოსი; ამავე დროს მას კარგად ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უცხოთესლთ (ἀλλόφυλοι) უქვემდებარებს მას."[29]

ამავე ამბავს ისტორიკოსი რუფინუსი ასე გადმოგვცემს: „კონსტანტინემ დიდის სიხარულით და პატივით გაიტუმრა მოციქულები; ის ამით უფრო მეტად იყო გახარებული, ვიდრე მაშინ იქნებოდა, რომ რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები შეეერთებინა (... quam si incognitas Romano imperio gentes et regna ignota iunxisset)"[30].

---

[28] ამ საკითხზე იხ. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 288—295.

[29] Gelas Caes., Hist. eccl., „გეორგიკა", I, გვ. 193—194.

[30] Rufin., Hist. eccl. „გეორგიკა", I, გვ. 206—207.

ბოლო, ლეონტი მროველი წერს: როცა მირიანმა მიიღო ქრისტიანობა, კონსტანტინე I-მა დაუბრუნა მას რომში მძევლად მყოფი მისი ვაჟი ბაქარი და წერილი მისწერა: „..ვინათგან იცან შენ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა, არღარა მიკმს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომლად ქრისტე, ძე ღმრთისა... და შუამდგომლობითა ღმრთისა დამბადებელისათა ვიყვნეთ ჩუენ სიყუარულსა ზედა ძმებრივ. და შვილი შენი შენადვე მიმინიჭებიეს, იხილე და განიხარე; და ღმრთისაგან მოვლინებული ანგელოზი მშვიდობისა იყავს შენ თანა ნარადის; განდევნენ ღვერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცდური საზღვართაგან შენთა“[31].

ბნელი სათქმელია, საიდან აიღო ლეონტი მროველმა ეს წერილი და რამდენად შეიძლება ის ნამდვილად კონსტანტინესეულად მივიჩინოთ, მაგრამ ერთი რამ სრულიად აშკარაა: ეს წერილი ასახავს იმ დროის რეალურ ვითარებას. როგორც ჩანს, ძველადაც კარგად ესმოდათ, რომ იბერიის მეფის მიერ ქრისტიანობის აღიარება ნიშნავდა ირანთან ურთიერთობის აშკარა გაწყვეტას და რომის იმპერიასთან მტკიცე კავშირის დამყარებას.

ამრიგად, III ს. ბოლოსა და IV ს. დასაწყისიდან ქართლის მმართველი წრეების რომისადმი დამოკიდებულებაში მკვეთრი ცვლილება შეიმჩნევა. წინარე საუკუნეებში იბერიის სამეფო რომისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ყველა ღონეს ხმარობდა, ხოლო II საუკუნეში აღწევს რა ასეთ დამოუკიდებლობას და სარგებლობს რა იმპერიის დასუსტებით, მის წინააღმდეგ მტრულ აქციებსაც არ ერიდება. ეხლა კი, სასანური ირანის გაძლიერებისა და გააქტიურების შემდეგ, იბერიის მმართველნი იძულებულნი არიან რომთან კავშირი ეძიონ; უკანასკნელი ერთადერთ ბუნებრივ მოკავშირედ ხდება იბერიისათვის ირანის აგრესიული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი ვითარება რჩება შემდგომ საუკუნეებშიაც: იბერია ეძიებს ბიზანტიის იმპერიასთან უფრო მყარ კავშირს, მით უფრო, რომ IV საუკუნის ბოლოდან სულ უფრო ძლიერდება ირანის შემოტევა ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ.

---

[31] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 128.

ОЧЕРКИ ИЗ ИСТОРИИ КАРТЛИЙСКОГО (ИБЕРИЙСКОГО) ЦАРСТВА В III — НАЧАЛЕ IV ВВ. Н. Э.

Резюме

В данных «Очерках» рассматриваются некоторые вопросы политической истории Картлийского (Восточногрузинского, Иберийского) царства в III в. н. э. и в начале IV в. В нашей историографии этот период изучен недостаточно, исследователи редко привлекают персидские эпиграфические памятники, такие, как надписи Шабура I и магупата Картира на т. н. «Каабе Зороастра». Поэтому характеристика данной эпохи истории Картли выглядит довольно поверхностной. Мы делаем первую попытку более подробного анализа этих памятников, в частности, впервые привлекаем данные надписей Картира, да и трилингву Шабура I используем полнее и подробнее, чем до сих пор. Мы также даем грузинский перевод тех частей надписей, которые содержат сведения о Грузии. Сопоставление этих данных со сведениями других источников позволило нам уточнить некоторые вопросы истории Картли в III в. и внести определенные коррективы в раннее высказанные предположения.

I. Политическое положение Картлийского царства в III в.

В начале III в. на политической арене Ближнего Востока произошли значительные изменения, коснувшиеся как Римской империи, так и ее основного соперника — Парфянской державы.

В результате все отчетливее выявляющегося социально-экономического и политического кризиса, Римская империя значительно ослабла; она уже не в состоянии не только вести завоевательную политику, но и всегда успешно отражать нашествия «варваров», или нападения соседних государств.

На Востоке ослабленное внутренними междоусобицами, децентрализованное Парфянское царство уступает место более мощному и агрессивному персидскому государству Сасанидов, которое уже при первых царях этой династии (Ардашире I и Шабуре I) вступает в борьбу с Римом, пытаясь отторгнуть у последнего Месопотамию и Закавказье, в первую очередь — Армению.

Сведения позднейших арабских источников, а также армянских и грузинских летописей (Мовсеса Хоренаци, Ухтанеса, Леонтия Мровели) о завоевании Армении и Иберии Са-

санидами уже при Ардашире I, не соответствуют действительности. Не подтверждается и высказанное в научной литературе мнение, что якобы при Ардашире между Иберией и Ираном был заключен союз, направленный против Рима (Г. А. Меликишвили). Основным аргументом этого предположения служит персидская надпись на серебряной чаше из Армазисхеви (Мцхета), вернее, чтение этой надписи, предложенное Ш. Я. Амиранашвили. Однако, анализ надписи показывает необоснованность ее такой интерпретации и заставляет относить эту чашу (и надпись) ко второй половине III в. Следовательно, она не может служить источником для эпохи Ардашира I. Анализ источников и общей политической ситуации исключает наличие ирано-иберийского договора или союза при Ардашире I.

Лишь при втором Сасаниде — Шабуре I, в результате его успешных войн с Римом, Сасанидский Иран смог установить свое господство в Армении и распространить определенное политическое влияние на Картли. Разбор персидских эпиграфических памятников и данных нарративных источников позволяет установить относительно точную дату этих исторических событий: по нашему мнению, покорение Армении Ираном и подчинение последним Картлийского царства произошло между 253 и 255 годами, а не между 244 и 253 годами, как считалось прежде.

Вместе с тем, анализ названных источников дает основание утверждать, что подчинение Иберии Ирану, засвидетельствованное в надписи Шабура I на «Каабе Зороастра», носило реально формальный характер, влияние Сасанидов здесь было весьма непрочным и правящие круги Иберии все определеннее берут ориентацию на союз с Римом. Одним из проявлений этой ориентации явилось принятие царским домом Картли христианства и объявление его государственной религией.

2. Из истории объявления христианства государственной религией в Картли.

Из ряда спорных вопросов, связанных с историей установления в Картли христианства, мы касаемся двух: 1) При ком, при каком царе, произошло крещение картли и 2) когда, в каком году имело место это событие?

1) Грузинские летописи («Обращение Картли» и «Житие царей» Леонтия Мровели) называют первым христианским царем Картли Мириана. Однако, в т. н. сирийской

версии «Жития Петра Ивера» таковым назван Бакур, дед Петра Ивера. В зависимости от того, который из этих источников считают исследователи более достоверным, часть из них признает первым христианским царем Картли Мириана (К. С. Кекелидзе и др.), другие же — Бакура (И. А. Джавахишвили). Примыкая к точки зрения тех исследователей, которые отрицают принадлежность сирийской версии «Жития Петра Ивера» перу грузинского писателя Захария Грузина, реальное существование которого, само по себе, вызывает серьезные сомнения, мы приходим к выводу, что при решении данной проблемы, предпочтение следует отдать грузинским источникам, сведения которых подтверждают и армянские историки, а так же грузинской церковной традиции, признающим Мириана первым христианским царем Картли.

2) Относительно даты обращения Картли в христианство существуют различные точки зрения, однако научно аргументированы фактически две датировки — И. А. Джавахишвили и К. С. Кекелидзе. Первый считает, что это событие произошло в 30-ых годах IV в., точнее около 337 г., тогда как второй полагает, что крещение Картли имело место не при императоре Константине I, а при Констанции, т. е. после 337 г., конкретнее в 355—356 гг. К такому же выводу, независимо от К. С. Кекелидзе пришел и И. Маркварт.

Проанализировав все доводы К. С. Кекелидзе и И. Маркварта и изучив целый ряд источников, мы пришли к выводу, что точка зрения этих ученых не достаточно обоснована; по нашему мнению, нет реальных оснований относить крещение Картли к событиям правления Констанция и датировать его столь поздним временем. Вместе с тем, мы считаем возможным точнее датировать это событие: сопоставление сохранившихся исторических реалий позволяет нам сделать вывод, что христианство было обявленно в Картли официальной религией между 325 и 330 годами.

Уточнение этой датировки облегчает решение задачи выяснения конкретной историчесчой ситуации, обусловившей объявления христианства государственной религией в Картли, события, имевшего столь большое значение в истории Картли, да и всей Грузии.

3. Внешнеполитическое значение объявления христианства государственной религией в Картли.

В период обострения враждебных взаимоотношений между Римом и Сасанидским Ираном, принятие или непринятие христианства стало своеобразным мерилом внешнеполитической ориентации соседних с этими державами госу-

дарств. Принятие христианства означало открытый переход на сторону Рима, присоединение к враждебному Ирану лагерю. Официальное объявление христианства государственной религией в Картли, явилось демонстрацией именно такой ориентации. Это подтверждают грузинские и византийские летописи, авторы которых ясно представляли себе политическую подоплеку христианизации Картли. Грузинские источники рассказывают, что в некоторых областях страны христианство распространялось и утверждалось силой оружия; эти сведения, в свое время, использовались исследователями для иллюстрации социальной борьбы в картли, мы же привлекаем их в другом аспекте: активное противодействие населения отдельных областей Картли христианству отображало и те политические противоречия, которые существовали между различными группировками в вопросе внешней ориентации. Источники дают нам основание предполагать, что некоторые группы иберийской знати сочувствовали Ирану; мы считаем, что отдельные представители правящего класса Иберии (среди них и эристави Пероз, зять царя Мирнана), а также языческое жречество, отвергавшие крещение, принадлежали к проиранской группировке. Приверженность к Ирану, по-видимому, особенно сильно проявлялась среди той части населения Картли, которая до того примкнула к зороастризму. Наличие последователей этой религии в Картли в это время отмечается грузинскими летописцами, а также вышеупомянутыми надписями верховного жреца Ирана — Картира. Нам представляется, что события последующих времен, когда персы нашли в Картли довольно сильную поддержку среди части местной феодальной знати (вторая половина V в., эпоха царствования Вахтанга Горгасала), в значительной мере объясняются борьбой различных ориентаций; истоки этих явлений следует искать именно в событиях IV в.

Таким образом, с конца III и начала IV вв. правители Иберии были вынуждены искать прочный союз с Римом, их единственным и естественным союзником в борьбе против агрессивного Ирана. Несмотря на противодействие проиранских сил, цари Иберии неуклонно проводили эту политику и впоследствии, в условиях постоянно растущего давления и все более агрессивных посягательств со стороны Сасанидского Ирана.

N. LOMOURI

ESSAYS ON THE HISTORY OF THE KARTLIAN (IBERIAN) KINGDOM IN THE THIRD AND EARLY FOURTH CENTURIES A. D.

These essays are a discussion of some problems of the political history of the Kartlian (East-Georgian, Iberian) kingdom in the third century A. D. and at the beginning of the fourth century. This period is as yet insufficiently studied by our historiography; researchers rarely make use of Persian epigraphic monuments, such as the inscriptions of Shahpur I and of the magupat Kartir on the so-called „Kaaba of Zoroaster"; in any case, such studies are, at least, superficial. Ours is the first attempt at making a more detailed analysis of these monuments; we have also translated into Georgian those parts of the above inscriptions in which Georgia is referred to. A comparison of these data with the information provided by other monuments has enabled us to elucidate some problems of the history of Kartli in the third century and to suggest some emendations of previous solutions.

I. The Political Situation in the Kingdom of Kartli in the Third Century

In the early third century considerable changes took place on the political arena in the Near East, involving both the Roman Empire and her principal rival — Parthia.

The incipient socio-economic and political crisis greatly weakened the Roman Empire, in consequence of which Rome was no longer able to pursue her policy of conquest; in fact, it was no easy task for her to repulse the «barbarians», or to counteract encroachments on the part of neighbouring states.

In the East, the Parthian kingdom, extenuated and disintegrated, was superseded by the powerful, centralized and aggressive Sassanian State. Under the first Sassanids (Ardashir I and Shahpur I) the new Persian state warred against Rome, the main objectives being Mesopotamia and the Transcaucasus, Armenia in the first place.

The information contained in later Arabic sources, as well as in Armenian and Georgian chronicles (Moses Khorenatsi, Leonti Mroveli) concerning the conquest of Armenia and Iberia (Kartli) as early as in the reign of Ardashir I is not based upon facts. Neither is there anything to corroborate the opinion put forward in scholarly publications, to the effect that in the time of Ardashir I Iberia and Iran formed an alliance directed against Rome (G. Melikishvili). The principal argument to support this opinion is a Persian inscription on a silver dish from Armaziskhevi (Mtskheta), or, rather, the reading of it proposed by Sh. J. Amiranashvili. An analysis of the inscription proves that it belongs to the latter half of the third century and, consequently, cannot be regarded as a source of information on the epoch of Ardashir I. The analysis of extant sources, and of the general political situation, precludes the possibility of such an alliance under the first Sassanid king.

It was only in the reign of Shahpur I, the successor of Ardashir I, and as a result of the former's successful wars against Rome, that Sassanian Iran succeeded in establishing her domination over Armenia and broadened its sphere of influence to include Kartli. A study of Persian epigraphic monuments and literary sources enables us to establish the date of these events more exactly: we suggest that the conquest of Armenia by Iran, and the relative subjection of Kartli to the latter state, took place between 253 and 255, but not between 244 and 253, as has been hitherto supposed.

At the same time, a thorough analysis of the sources mentioned above gives us grounds to state that the submission of Iberia to Iran, recorded in the inscription of Shahpur I on the Kaaba of Zoroaster, was of a purely formal nature; the hold of the Sassanids on Iberia was precarious, and the ruling circles of the country were more and more in favour of an alliance with Rome. One of the manifestations of this orientation was the fact that the royal house of Kartli adopted Christianity and declared it the state religion.

II. On the History of the Adoption of Christianity as the State Religion in Kartli

We dwell, basically, on two of the controversial problems connected with the Christianization of Kartli: 1. — Under whom, in the reign of which king Christianity was declared the state religion, and 2. — When, in which year this event took place.

1. — The Georgian chronicles ("The Conversion of Kartli" and "The Tale of Kings" by Leonti Mroveli) are unanimous in naming Mirian the first Christian king of Kartli; however, the so-called Syrian version of the "Life of Peter the Iberian" also mentions Bakur, the grandfather of Peter the Iberian. Depending on the degree of authenticity ascribed by researchers to this or that source, some of them recognize Mirian as the first Christian king (C. Kekelidze et al.), while others favour Bakur (I. Djavakhishvili). Accepting the opinion of the scholars who do not agree that the Syrian version of the "Life of Peter the Iberian" was written by the Georgian chronicler Zakharia the Georgian, the very fact of whose existence is open to serious doubts, we consider that in solving this problem preference should be given to Georgian sources and to the Georgian ecclesiastical tradition which recognize Mirian as the first Christian king.

2.—There is no unity of opinion about the date of the Christianization of Kartli. Essentially, there are two opposed views, that of I. Djavakhishvili and that of C. Kekelidze. The former considers that this event took place in the thirties of the fourth century, more exactly, in 337, while the latter supposes it to have taken place not under Constantine I, but in the reign of the Emperor Constantius, i. e. after 337, more exactly in 355 or in 356. The same opinion was expressed by J. Markwart, independently of C. Kekelidze.

Having analyzed all the argumentation of Kekelidze and Markwart, and having studied various sources, we have come to the conclusion that their opinion is insufficiently well grounded. At the same time, we consider it quite possible to assign an exact date to the event in question: a comparison of surviving historic-

al realia enables us to conclude that the official adoption of Christianity by Kartli took place between 325 and 330.

This dating will facilitate the task of revealing the concrete historical situation which led to this event, a task of signal importance for the study of the history of Iberia in the early fourth century.

III. The Political Significance of the Official Adoption of Christianity in Kartli

At a time of open hostilities between Rome and Iran, acceptance or non-acceptance of Christianity became a kind of touchstone in appraising the political orientation of states bordering on these two countries: adoption of Christianity was tantamount to siding openly with Rome, to joining the camp hostile to Iran. The official conversion of Iberia was a demonstration of this orientation. The fact is attested by Byzantine and Georgian chronicles, whose authors were well aware of the political implications of Kartli's Christianization. Georgian sources state that in some parts of the country Christianity was forced upon the population. This information has often been quoted by researchers, to serve as an illustration of social strife in Georgia; we allude to it from a quite different angle: the active antagonism of the population of some parts of Kartli to Christianity was a manifestation of antagonistic political orientations. Historical sources give us grounds to suppose that certain groups of Iberian nobility were pro-Iranian in their sympathies. We suggest that certain members of Iberia's ruling class who refused baptism (among them, the Eristavi Peroz, King Mirian's son-in-law, as well as the pagan priesthood) belonged to the pro-Iranian group. These sympathies must have been particularly strong in that part of Kartli's population who had adopted the Zoroastrian creed. The fact of the existence, at the time, of followers of this creed in Kartli is recorded by the Georgian chronicler, as well as in the above-mentioned inscription of Kartir, the High Priest of Iran. It appears to us that the events which took place in Kartli in subsequent centuries, when the Persians found rather powerful supporters among some of the local

feudal lords, are largely attributable to the clash of opposed orientations.

Thus, since the close of the third century and at the beginning of the fourth, the rulers of Iberia were compelled to seek a firm alliance with Rome, the latter becoming their only and natural ally in the struggle against the aggressive Iranian state. Despite the opposition of pro-Iranian forces, the kings of Iberia unswervingly pursued this policy in later times, under conditions of constantly growing pressure and increasingly aggressive encroachments on the part of Sassanian Iran.